

პარლამენტის პრეზენტი ბიბლიოთეკა



გუგუშვილი

K 125.985/3



# თანამედროვე გუჩუაზიუდი სოციალიზმის შესახებ

გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი

1966

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ И ПРАВА



1966



П. В. ГУГУШВИЛИ



О СОВРЕМЕННОЙ  
БУРЖУАЗНОЙ СОЦИОЛОГИИ

K 125.985



ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“  
ТБИЛИСИ  
1966

პაატა გუგუშვილი



თანამედროვე გურქუაზიუდი  
სოციოლოგიის შესახებ

გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1966

1ФБ

301ზ

ვ927

ნაშრომში გადმოცემულია ავტორის — სოციოლოგ-  
თა IV მსოფლიო კონგრესის მონაწილის — შთაბე-  
ჭდილებები ხსენებული კონგრესის მუშაობასა და სა-  
ერთოდ, თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის  
მდგომარეობაზე; ამასთან კრიტიკულად არის გაშუ-  
ქებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლის-  
ში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და იაპო-  
ნიაში უახლეს სოციოლოგიურ მიმართულებათა (ზო-  
გადი და კონკრეტული სოციოლოგიის მთავარი და-  
გების) ზოგიერთი ძირითადი მომენტი.

## 1. ზოგი რამ საერთოდ

სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი შედგა იტალიაში, 1959 წლის სექტემბერს. საჭიროა ამათვეთვე აღინიშნოს, რომ როგორც პირველი სამი, ისე მეოთხე კონგრესის მუშაობაში ბურჟუაზიული სოციოლოგები მიისწრაფოდნენ მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიისათვის დაეპირისპირებინათ ბურჟუაზიულ-წარმოებრივ ურთიერთობათა იდეალისტური, უპირატესად პოზიტივისტური, არსებითად აპოლოგეტური გაგება.

მაგრამ სანამ უშუალოდ ამ კონგრესის მუშაობას შევეხებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ ზოგიერთ მასალას, როგორც თვით კონგრესის ორგანიზაციის, ისე საერთოდ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის მდგომარეობისა და მისი წარმმართველი ძალების შესახებ.

სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია (სსა) დაარსდა 1949 წლის სექტემბერს, ქ. ოსლოში, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალმა სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგებმა. „დარწმუნებული იყვნენ რა ყველა ქვეყნის სოციოლოგთა შორის კავშირურობის სასურველობასა და საჭიროებაში“, შექმნეს ეს ორგანიზაცია.

სსა მიზანია სოციოლოგიური ცოდნის გავრცელება მსოფლიოში, რისთვისაც ის მიმართავს ყველა ღონისძიებას საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისათვის, რათა ხელი შეუწყოს სოციოლოგიის სფეროში ცნობიერების, სწავლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარებას.

სსა ცდილობს: გააფართოოს და გაამრავლოს მთელი მსოფლიოს სოციოლოგთა შორის პირადი კონტაქტები, ხელი შეუწყოს

სოციოლოგიის სფეროში მნიშვნელოვან მიღწევათა გავრცელება-  
სა და გაცვლას საერთაშორისო ინფორმაციის გზით, გააადვილოს  
და წაახალისოს საერთაშორისო მასშტაბის სოციოლოგიური  
კვლევა.

სსა ამჟამად აქვს კვლევა-ძიების სამი განყოფილება (ქვეკომი-  
ტეტი), რომლებიც სპეციალურად მუშაობენ: 1. სოციალური სტრუ-  
ქტურისა და სოციალური მობილურობის, 2. მრეწველობის  
სოციოლოგიისა და 3. ქალაქური და სოფლური რაიონების სო-  
ციოლოგიის საკითხებზე.

ქვეკომიტეტები დროდადრო იკრიბებიან, რათა განიხილონ შე-  
სწავლის ობიექტად აღებული მოვლენები, მოაწყონ დისკუსია ამა-  
თუ იმ პრობლემის გარშემო. ამ შეკრებებზე წაკითხული მოხსე-  
ნებები და პაექრობის ანგარიშგება ჩვეულებრივ ქვეყნდება კი-  
დევატ<sup>1</sup>.

სსა წევრებად მიიღებიან ნაციონალური სოციოლოგიური ორ-  
განიზაციები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია არ-  
სებობენ ან ამიერიდან შეიქმნებიან, ხოლო იმ ქვეყნებიდან სადაც  
ასეთი გაერთიანებები არაა — ცალკე პირებიც გამოჩენილ სოცი-  
ოლოგთა სახით.

სსა უმაღლესი ორგანოა საბჭო, ხოლო საბჭოს სხდომათა ინ-  
ტერვალში — აღმასკომი. ყოველ ქვეყანას, რომლის სოციოლოგი-  
ური ორგანიზაციები მიიღებიან სსა, უქანასკნელს საბჭოში ჰყავს  
1 წევრი და აქვს 1 ხმა, მაქსიმუმ — 2 წევრი და 2 ხმა (ასეთებია:  
აშშ, სსრ კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია). საბჭოს წევრე-  
ბი ინიშნებიან 3 წლით სსა შემავალი ქვეყნების ეროვნული სო-  
ციოლოგიური ასოციაციების მიერ<sup>2</sup>. სსა საბჭო ირჩევს პრეზი-  
დენტს, ვიცე-პრეზიდენტებს და აღმასკომის წევრებს. საბჭო იკ-  
რიბება 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღმასკომი შედგება 7—11  
წევრისაგან, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების ჩათვლით. აღ-  
მასკომის წევრთა მანდატი 6 წლის ვადით გაიცემა. აღმასკომის  
მდივანი აირჩევა 3 წლით და ის განაგებს სსა ადმინისტრაციულ  
საქმეებს. პრეზიდენტი არ შეიძლება განმეორებით იქნას არჩეული  
იმავე თანამდებობაზე.

თავისი წესდების მიხედვით სსა მხოლოდ და მხოლოდ მეც-  
ნიერულ მიზნებს ემსახურება. ნამდვილად კი ის, ამასთანავე, უაღ-  
რესად პოლიტიკური ორგანიზაციაა.

<sup>1</sup> იხ. Archives of Sociology Cooperation, 1957, ორ ტომად.

<sup>2</sup> სსრ კავშირიდან სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევ-  
რებად აირჩიეს აკად. გ. ფრანცოვი და პროფ. პ. გუგუშვილი.

აღსანიშნავია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებებმა, მერმე საერთოდ, დემოკრატიული, სოციალისტური ქვეყნების უდიდესმა წარმატებებმა ამერიკისა და საერთოდ დასავლეთის ბურჟუაზია აიძულა ბევრად უფრო მეტი ყურადღება მიექცია სოციოლოგიისათვის.

\*

\* \*

ამერიკის სოციოლოგიური ორგანიზაციების გამრავლება უშუალო კავშირშია აგრეთვე, მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გაშლილი ჭარბი წარმოების კრიზისსა და, მას მოყოლილი დეპრესიის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან.

ამჟამად აშშ არსებობს 11 ეროვნული სოციოლოგიური ასოციაცია და გამოდის 8 დიდტანიანი სოციოლოგიური ჟურნალი, რაც უკვე თავისთავადაც მოწმობს იმ ყურადღებაზე, რომელსაც ამერიკის მონოპოლიური კაპიტალი იჩენს თავისი გარდევული „სოციოლოგიური ფრონტის“ გასამაგრებლად.

აშშ ეროვნულ-სოციოლოგიურ ასოციაციათა შორის ამჟამად წამყვან როლს თამაშობს არა ყველაზე ადრინდელი (1895 წ.), არამედ 1905 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან შექმნილი „ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოება“ (American Sociological Society)¹.

წესდების მიხედვით, ესაა „საერთო ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც მიისწრაფვის სტიმული და სრულყოფილება შეიტანოს სოციოლოგიურ კვლევა-ძიებაში, ინსტიტუტებისა და დისკუსიების საქმიანობაში, რათა წააქეზოს თანამშრომლობა იმათ შორის, რომლებიც ჩაბმულნი არიან სოციოლოგიურ კვლევა-ძიებაში“.

ეს ეროვნული საზოგადოება აერთიანებს ყველაზე გამოჩენილ ბურჟუაზიულ სოციოლოგებს, განურჩევლად მათი მუშაობისა და ცხოვრების ადგილისა. ამ საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობს რიგი რეგიონალური სოციოლოგიური საზოგადოება. „ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოების“ 5 000-მდე წევრი უმთავრესად უნივერსიტეტებისა და კოლეჯების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტებისაგან შედგება.

¹ H. Faulkner, American Political and Social History, New-York, 1946.



ამ სოციოლოგიური საზოგადოების ყოველწლიურ ყრილობებზე მიმდინარეობს მსჯელობა და დისკუსიები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სოფლის სოციოლოგია, სოციალური სტატისტიკა, პოლიტიკური სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, სოციოლოგია და ფსიქიატრია; იხილავენ უმაღლეს სასწავლებლებში სოციოლოგიის სწავლებისა და სოციოლოგიური ლიტერატურის (სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და სხვ.) შინაარსობრივ საკითხებს.

აშშ შტატებში ამ სოციოლოგიური საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ პ. ოდუმი თავის შემაჯამებელ წიგნში, „ამერიკული სოციოლოგია“, წერს: „პროფესიულად ორგანიზებული ამერიკული სოციოლოგია წარმოიშვა სწორედ ამ — „ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოების“ დაარსების მომენტიდან“<sup>4</sup>.

აშშ რეგიონალურ-სოციოლოგიური ასოციაციებიდან შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ოჰაიოს (დაარს. 1925 წ.), წყნარი ოკეანის (დაარს. 1930 წ.), აღმოსავლეთის (1936 წ.), შუა-დასავლეთის (1936 წ.), სამხრეთ-დასავლეთის (1938 წ.) მრავალწევრიანი საზოგადოებები, რომელთა დაარსებამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ამერიკის ბურჟუაზიულ სოციოლოგთა მოღვაწეობის აქტივიზაციას.

არსებითად დასახელებული რეგიონალური ასოციაციების ანალოგიურ ორგანიზაციას წარმოადგენს „ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოების“ განყოფილება კოლუმბიაში (1931 წ.), რომელიც აერთიანებს ასიოდე „ოფიციალურ“ სოციოლოგს, რომლებიც აშშ სახელმწიფოებრივ აპარატში (ვაშინგტონში) მუშაობენ.

ასეთ გაერთიანებათა გარდა აშშ არსებობს კიდევ ე. წ. სპეციალიზებული სოციოლოგიური საზოგადოებები, როგორიცაა, მაგალითად, „სოციალურ პრობლემათა შემსწავლელი საზოგადოება“ (1952 წ.), რომლის ამოცანები, მისი პირველი პრეზიდენტის ერნესტ ვერჯესის სიტყვებით, იმ კონკრეტული სოციალური პრობლემების კვლევა-ძიების ხელის შეწყობაში მდგომარეობს, რაც წარმოიშვა „კრიტიკული სიტუაციის პირობებში, რაშიც აღმოჩნდა ამერიკული საზოგადოება,... დაუახლოვოს სოციოლოგიური მეცნიერება პრაქტიკას და სტიმული მისცეს მეცნიერების მონათესავე და მოსაზღვრე (კერძოდ, ანთროპოლოგიის, ეკონომიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და სხვ.) დარგებში თანამშრომლობის გაშლას განვითარებას“<sup>5</sup>.

<sup>4</sup> H. Odum, American Sociology, 1951, New-York. p. 28.

<sup>5</sup> იქვე.

ამ ახალმა სოციოლოგიურმა საზოგადოებამ თავისი მეცნიერული პრობლემატიკის გაქანებით და გამომცემლობის მასშტაბით უკანასკნელ ხანებში ამერიკულ ასოციაციებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიჭირა და, როგორც IV კონგრესზე ითქვა, იგი, ამ მხრივ მხოლოდ „ამერიკის სოციოლოგიურ საზოგადოებას“, ე. ი. მთავარ ეროვნულ ასოციაციას თუ ჩამორჩება.

სპეციალიზებული სოციოლოგიური საზოგადოებაა, აგრეთვე „სოფლის სოციოლოგიის საზოგადოება“ (1937 წ.)—ნიუ-ჯერსში. მისი ძირითადი თემაა აშშ ფერმერული მეურნეობა, რომლის ბედი, თვით ბურჟუაზიულ სოციოლოგთა აზრითაც, „სულ უფრო დამაფიქრებელი ხდება“.

დასასრულ. შეიძლება დავასახელოთ, კერძოდ, ე. წ. „სოციოლოგიური კვლევა-ძიების ასოციაცია“, რომლის წევრებად ირჩევენ ფრიად გამოჩენილ ამერიკელ სოციოლოგებს, „რომელთაც ყველაზე მეტ შედეგს მიადწიეს კვლევა-ძიებითს მოღვაწეობასა და პუბლიკაციაში“. ამ ასოციაციის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია 100 კაცით. ამჟამად მას ჰყავს ოთხმოცამდე წევრი. იგი არ აწყობს დამოუკიდებელ ყრილობებს, დისკუსიებს და არც სხვა რაიმე პრაქტიკულ მუშაობას ეწევა. ჰ. ოდუმის სიტყვებით, ეს ასოციაცია „სხვა, არაფერია თუ არა კატალოგი დამსახურებული წევრებისა, რომელთაც თვითონ აირჩიეს თავიანთი თავი“<sup>6</sup>.

აშშ სოციოლოგიაში დიდ როლს თამაშობს უნივერსიტეტები, კოლეჯები, რომელთაგან ბევრს აქვს სპეციალური სოციოლოგიური განყოფილება, ფაკულტეტი. ასეთი ფაკულტეტები პირველად გაჩნდნენ ჩიკაგოს, კანზასის, ინდიანას, ნებრასკის, ილინოისისა და სხვ. შტატების უნივერსიტეტებში. ამჟამად მათი რაოდენობა საპოცდაათს აღემატება. ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვან მეცნიერულ ცენტრს წარმოადგენს. აქ ამზადებენ სოციოლოგიურ კადრებს. როგორც ჩანს, უკანასკნელ ხანებში აშშ სოციოლოგიის დარგებში ყოველწლიურად, საშუალოდ, 130 კაცისთვის დოქტორისა და 350 კაცისთვის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება ესწრება.

სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობენ ოცდაათამდე სხვადასხვა სასწავლო სოციოლოგიური დისციპლინის კურსს, რომელთა საგანია უმთავრესად სოციალური და ეკონომიკური პრობლემები; აგრეთვე კრიმინოლოგია, ოჯახისა და ქორწინების, სოციალური ფსიქოლოგიის, სოციალური გეოგრაფიისა და სხვა საკითხები.

<sup>6</sup> H. Odum, დასახ. თხზ. გვ. 38—39.



სოციოლოგიური ასოციაციები, უნივერსიტეტებისა და კოლე-  
ჯების სოციოლოგიური ფაკულტეტები და განყოფილებები სცემენ  
თავიანთ პერიოდულ ორგანოებს. ასეთ ჟურნალთა შორის უძვე-  
ლესია ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციოლოგიური განყოფილების  
მიერ 1895 წ. დაარსებული „The American Journal of Socio-  
logy“, მის რედკოლეგიაში შედის მთელი რიგი ცნობილი ამერი-  
კელი სოციოლოგებისა — ე. ჰიუზი (რედ.), ტ. პარსონსი, პ. სო-  
როკინი, მაინჰაიმი და სხვ.

1921 წლიდან გამოდის ჟურნ. „Sociological and Social Res-  
earch“ — სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სოციოლო-  
გიური განყოფილების ორგანო; 1922 წლიდან — ჟურნ. „Social  
Forces“, ჰოვარდ ოლდუმის ინიციატივით, გამოიცემა ჩრდ. კარო-  
ლინის უნივერსიტეტის მიერ. 1936 წლიდან იბეჭდება „American  
Sociological Review“ — ამერიკის სოციოლოგიური საზოგადოების  
ოფიციალური ორგანო, დაარსებული ამ საზოგადოების მაშინდელ  
პრეზიდენტის ჯ. ბერნარდის მიერ.

სპეციალიზებულ სოციოლოგიურ ჟურნალთა შორის აღსანიშ-  
ნავია, მაგალითად, 1953 წ. დაარსებული „Social Problems“, რომ-  
ლის თანამშრომელთა შორის არიან ეკონომისტები, ანთროპოლო-  
გები, ფსიქოლოგები და სხვ.; 1936 წლიდან გამოდის „Rural So-  
ciology, რომლის რედაქციაში მოღვაწეობენ სხვადასხვა შტატის  
სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების თანამშრომლები. გამოდის  
აგრეთვე რიგი წვრილი, ცალკე შტატების სოციოლოგიურ გაერ-  
თიანებათა და ორგანიზაციების ჟურნალები.

\* \* \*

საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ აშშ არსებული სოციოლოგიუ-  
რი დაწესებულებები და გამოცემები არ არიან, ანდა უკეთ რომ  
ვთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ თუ არიან, ფილოსოფიური ორგა-  
ნიზაციებისა და საერთოდ ფილოსოფიური მუშაობის შემცვლელე-  
ბი<sup>7</sup>.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფილოსოფიური ორგანიზა-  
ციები სოციოლოგიურზე ბევრად უფრო ადრე წარმოიშვნენ. მათ  
შორის ერთ-ერთი უძველესია, ჯერ კიდევ ბ. ფრანკლინის მიერ  
1743 წ. დაარსებული „ფილოსოფიური საზოგადოება“.

---

7 მხედველობაში მყავს ამ ნაშრომის — „თანამედროვე ბუტყუაზიელი სო-  
ციოლოგიის შესახებ“ (1960, თბ.) — პირველი გამოცემის ზოგიერთი მკითხვე-  
ლი, რომლებმაც ამის შესახებ წერილობითაც მომცეს შეკითხვა.

ამგვარ დაწესებულებათა შორის ამჟამად ყველაზე უფრო პოპულარულია „ამერიკის (დასავლეთის) ფილოსოფიური ასოციაცია“ (დაარს. 1900 წ.), სადაც გაერთიანებული არიან დასავლეთის შტატების ფილოსოფოსები, ისე როგორც 1901 წელს დაარსებულ „აღმოსავლეთის ფილოსოფიურ ასოციაციაში“ აღმოსავლეთის შტატების ფილოსოფოსები. მერმე ესენი შეერთდნენ, როგორც „ამერიკის ფილოსოფიური ასოციაციის“ განყოფილებები, რომელთაც 1924 წელს მიემატა წყნარი ოკეანის განყოფილებაც.

აშშ არსებობს აგრეთვე „ამერიკის მეტაფიზიკური საზოგადოება“ (რომელიც შეისწავლის ფილოსოფიის „მეტაფიზიკურ პრობლემებს“, აგრეთვე პოლიტიკის, სოციოლოგიის, ეთიკის, რელიგიის, ესთეტიკის, ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებს), „სიმბოლური ლოგიკის ასოციაცია“, „მეცნიერების ფილოსოფიის ასოციაცია“, „ესთეტიკის ამერიკული საზოგადოება“, „საერთაშორისო ფენომენოლოგიური საზოგადოება“ (ფილიალი), „ამერიკელ კათოლიკეთა ფილოსოფიური ასოციაცია“ და სხვ.

სხენებულ ფილოსოფიურ დაწესებულებებს აქვთ თავიანთი პერიოდული ორგანოები, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული და გავლენიანია — „Review of Metaphysics“, „Journal of Symbolic Logic“, „Philosophy and phenomenological Research“, „Philosophical Review“ და სხვ.

სოციოლოგიასა და ფილოსოფიას შორის ურთიერთდამოკიდებულების მხრივ არსებითად ანალოგიური მდგომარეობაა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია, რა მხრივაც აშშ, ცხადია, არც ერთი სხვა სახელმწიფო არ შეედრება.

ამ მხრივ საჭიროა ისიც ითქვას, რომ საერთოდ წიგნის ბაზარზე აშშ სოციოლოგიურ გამოცემებს მეოთხე ადგილი უჭირავს; ტირაჟისა და სახელწოდებათა რაოდენობის მიხედვით ის ჩამორჩება მხოლოდ მხატვრულ, რელიგიურ და ახალგაზრდობის (საყმაწვილო) ლიტერატურას, ხოლო კერძოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგების გამოცემლობაში ის პირველ ადგილზე დგას. აშშ უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის ნახევარი მილიონი სტუდენტი გადის რამდენიმე ათეულ სხვადასხვაგვარ სოციოლოგიური დისციპლინის კურსს და ისეთი უნივერსიტეტები, როგორიცაა, მაგალითად, ჰარვარდის, კოლუმბიის, ჩიკაგოს, კალიფორნიის და სხვ. წარმოადგენენ ერთგვარ ცენტრებს ამა თუ იმ სოციოლოგიური სკოლისა, მიმართულებისა თუ დაჯგუფებისა.

ინგლისური სოციოლოგიის მთავარ მიმართულებათა მიმოხილვა სოციოლოგთა მესამე საერთაშორისო კონგრესზე გააკეთა ბრიტანეთის სოციოლოგიური ასოციაციის მდივანმა პროფ. ჯ. მეიჯმა. აქ მან დაახასიათა: 1. ზოგადი, თეორიული ხასიათის მიმართულება, რომელიც უპირატესად, სოციოლოგიური კონცეფციების, სისტემების პრობლემებზე მუშაობს; 2. მეთოდოლოგიური ხასიათის გამოკვლევები; 3. საზოგადოებრივი სტრუქტურის საკითხებზე გამოქვეყნებული ნაშრომები; და დარგობრივი სოციოლოგიის ისეთი პრობლემები, როგორიცაა: 4. წარმოებრივი მოღვაწეობის, კერძოდ მრეწველობის სოციოლოგია; 5. აღზრდისა და საერთოდ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებათა, მაგალითად, რადიოსა და სხვ. სოციოლოგია; 6. პოლიტიკური სოციოლოგია; 7. მედიცინის სოციოლოგია; 8. სოციალური დემოგრაფიკა; 9. ეკონომიკური სოციოლოგია და გამოკვლევები საერთოდ ადმინისტრაციის (ხელისუფლების) საქმიანობისათვის; 10. რასობრივი ურთიერთობანი.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური არსენალი, ე. ი. დასახლებულთაგან პირველი და მეორე მიმართულებები მთავარ საზღვრებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან და ამდენად მათ შესახებ მსჯელობა ქვემოთ საერთო ასპექტში გვექნება, აქ მოკლედ შევეხებით დანარჩენ მიმართულებებს.

საზოგადოებრივი სტრუქტურის საკითხები შეიცავენ დემოგრაფიის, საზოგადოებრივი სტრატეფიკაციის, ოჯახის, ეკოლოგიისა და სხვ. სოციოლოგიას. ამ მხრივ კვლევა-ძიების საგანს შეადგენს, მაგალითად, ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პრობლემები, მათს ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებში; ქალაქის მცხოვრებთა ზოგიერთი ჯგუფის მარტოობისა და მეზობლებთან უფრო მეგობრული კავშირის საკითხები. კლასობრივი და სოციალური მობილურობის პრობლემას ეძღვნება ისეთი ნაშრომები, როგორიცაა „დიდი ბრიტანეთის სოციალური მობილურობა“ (1954 წ.) პროფ. გლესის რედაქციით, ა. კოულის „გამოკვლევები კლასობრივი სტრუქტურის შესახებ“ (1955 წ.) და სხვ.

მრეწველობის სოციოლოგის მხრივ ინგლისში კარგა ხანია, რაც ზოგადიდან გადადიან კონკრეტული, დეტალური, რეგიონალური საკითხების, და თვით ცალკე საწარმოთა შესწავლაზე. იკვლე-

ვენ სწრაფი ტექნიკური პროგრესიდან გამომდინარე სოციალური ორგანიზაციის ცვლილებებსა და მათს ურთიერთობას, მმართველობის სხვადასხვა ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულებას, მმართველთა (გამგებელთა) მდგომარეობასა და ყოფაქცევაში მომხდარ ცვლილებებს, ინდუსტრიულ შრომასა და საერთოდ საზოგადოების ურთიერთობას, გათხოვილ ქალთა ფაბრიკებში დასაქმებულობას, ხანდაზმულობის (მოხუცებულობის) დადგომასთან დაკავშირებით შრომითი საქმიანობის ასპექტში მომხდარ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს და სხვ.

აღზრდის პრობლემათა შემსწავლელი ნაციონალური ფონდი სწავლობს: მოწაფეთა უნარიანობასა და წარმატებას შორის არსებულ მიმართებას, აღზრდის სისტემაში მიმდინარე ცვლილებასა და მასწავლებელთა, მშობელთა და მოწაფეთა პოზიციებს, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის მოზარდთა შეხედულებებს, უნივერსიტეტების სტუდენტთა სოციალურ წარმომადგენლობას, სწავლიდან მწარმოებლურ შრომაზე გადასვლის ვითარებას, ყმაწვილებსა და ბავშვებს შორის სოციალურ ურთიერთობებს და სხვ.

მაგრამ, განათლების ძირითად საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა რადიოს, კინოს, ბავშვებსა და ახალგაზრდებზე მასობრივი ზემოქმედების სხვა საშუალებათა შესწავლას. ბირმინგჰემის უნივერსიტეტის აღზრდის დეპარტამენტმა გამოიკვლია ყმაწვილებზე კინოს და მოზარდებზე წიგნის კითხვის ემოციური ზემოქმედება; მიმდინარეობს ასევე ტელევიზიისა და რადიოს ბავშვებზე ზეგავლენის შესწავლა და სხვ.

პოლიტიკური სოციოლოგია უპირატესად შემოიფარგლება არჩევნების საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, დ. ბატლერის ნაშრომები (1951 წ. და 1955 წ.) ბრიტანეთის საყოველთაო არჩევნების შესახებ, საზოგადოებრივი აზრის ბრიტანული ინსტიტუტის წიგნი „ხმას აძლევს საშუალო კლასი“ (1951 წ.), პროფ. ი. ეისენის ნაშრომი „პოლიტიკის ფსიქოლოგია“ (1954 წ.) და სხვ. ესენი იკვლევენ ამომრჩეველთა სოციალურ, პარტიულ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, პოლიტიკურ მრწამსზე პიროვნების გავლენას, პოლიტიკური ელიტის სტრუქტურას, პოლიტიკური პარტიებისა და ტრედუნიონების სიძლიერეს და სხვ.

მედიცინის სოციოლოგია „სოციალური პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერების“ სპეციალისტებისა და მედიკოსების გაერთიანებული ძალეებით შეისწავლის, მაგალითად, ბავშვთა სიკვდილიანობას მის სოციალურ ასპექტში, ოჯახის ჯანმრთელობაზე საბინაო პირობების გავლენას, დედობისა და შვილიერების, ასაკისა

და პროფესიის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და სხვ. პრობლემებს.

„სოციალური დეზორგანიზაციის“ საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები ემყარება ფსიქოლოგიურ თეორიას, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევა (მოქმედება) გამოწვეულია პიროვნების დეზორგანიზაციით. ამ მხრივ ინგლისელი ბურჟუაზიული სოციოლოგები, უპირატესად იურისტები, სწავლობენ „დაბალი ინტელექტის“ როლს ბოროტმოქმედებაში; ბოროტმოქმედების სოციალურ და ემოციურ საფუძვლებს; მცირეწლოვან დამნაშავეთა და საერთოდ ბოროტმოქმედთა გამოსწორების შესაძლებლობის, ბოროტგანზრახვის წარმოშობის, ბოროტმოქმედის პიროვნების, ბოროტმოქმედების ფაქტორების, მემკვიდრეობითი ბოროტმოქმედების, პროსტიტუციის, უკანონოდშობილთა და სხვ. პრობლემებს.

ეკონომიკური სოციოლოგიის პრობლემათა შორის აქ უკანასკნელ ხანებში წინა პლანზეა სიღარიბის, ხელფასის, სოციალური დაზღვევის, ოჯახის ბიუჯეტის, ოჯახს შიგნით შემოსავლის განაწილების, სასურსათო მომარაგების, საბინაო პირობების, ფასების, სოციალური მომსახურებისა და სხვ. საკითხები, რასაც სწავლობენ როგორც მთავრობის ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებები და ცალკე სოციოლოგებიც.

ინგლისური სოციოლოგია შეისწავლის აგრეთვე რასობრივ ურთიერთობათა პრობლემებს, უპირატესად ინგლისში მცხოვრებ სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა მაგალითზე; მაგალითად, კარდიფს, ლივერპულს მოკალათებულ აზიურ, აფრიკულ და ვესტ-ინდურ თემებს, უცხოელ სტუდენტთა ასიმილაციას მანჩესტერის, ლონდონისა და სხვა ინგლისურ უნივერსიტეტებში და სხვ.

1950 წ. შექმნილ სოციოლოგთა ბრიტანული ასოციაცია აწყოებს კონგრესებს, საჯარო მოხსენებებს, ხელს უწყობს გამოკვლევათა წარმართვას და სხვადასხვა სოციოლოგთა შორის კავშირების დამყარება-განვითარებას. ამ ასოციაციაში 1960 წ. 500-მდე წევრი ითვლებოდა. უნდა ითქვას, რომ ეს ასოციაცია საკმაოდ აქეზებს სოციოლოგიის თეორიული პრობლემისადმი ყურადღებას. ეხება რა ინგლისური სოციოლოგიის პერსპექტივებს, პროფ. ტ. ბოტომორს მის უახლოეს ამოცანად მიაჩნია, რათა ხელი შეუწყოს პრაქტიკული ამოცანების ეფექტიან გადაჭრასა და საერთო კეთილდღეობის საქმეს<sup>8</sup>.

<sup>8</sup> Cahiers Internationaux de Sociologie, 1955, V. XVIII, janvier-juin.



სოციოლოგიას, როგორც სასწავლო დისციპლინას, გადიან ინტელისის (განსაკუთრებით ედინბურგის, ლივერპულის, ბირმინგჰემის, შეფილდის, გლაზგოს, ბრისტოლისა და სხვ.) უნივერსიტეტების სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტებში (განყოფილებებში, ფაკულტეტებში). სადაც ამ მხრივ ეწევიან საკვლევადიებო მუშაობასაც.

ესა თუ ის უნივერსიტეტი, ჩვეულებრივად, დაწინაურებულია სოციოლოგიის რომელსამე ცალკე დარგის კვლევაში. მაგალითად, ბირმინგჰემის უნივერსიტეტში სწავლობენ საბინაო მშენებლობის სოციალურ ასპექტებს (კოვენტრის მაგალითზე), მრეწველობაში მუშაძალის გამოყენების სტიმულაციას, ქალაქისა და სოფლის დაგეგმარების სოციოლოგიური ფაქტორებისა და სხვ. საკითხებს.

სოციოლოგიურ კვლევა-ძიებათა სფეროში უნივერსიტეტებს დახმარებას უწევენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, თუ კერძო დაწესებულებები; მაგალითად, ისეთი ფონდები, როგორიცაა ნუფილდის, როკფელერის, კარენგისა და სხვ.

სოციოლოგიური დისციპლინების სწავლება და სოციოლოგიური კვლევა-ძიება ფართოდაა დაყენებული ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. აქ გაშლილია მუშაობა განსაკუთრებით დემოგრაფიისა და კრიმინოლოგიის სფეროში და აგრეთვე, ზოგად, თეორიული ხასიათის პრობლემებზე.

მაგრამ აქ არსებობს აგრეთვე სოციოლოგიური კვლევა-ძიების სპეციალური დაწესებულებები. ასეთებია, მაგალითად, 1948 წ. დაარსებული The Action Society Trust, სადაც სწავლობენ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, უმთავრესად კი მრეწველობის ნაციონალიზებული დარგების გამგებლობისა და ორგანიზაციის საკითხებს, აგრეთვე თვით ნაციონალიზაციის სოციალურ შედეგებს; ეკონომიკურ და სოციალურ გამოკვლევათა ნაციონალური ინსტიტუტი; საერთაშორისო აფრიკული ინსტიტუტი Political and Economic Planning (PEP) ეწევა ისეთი ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლას, სადაც საქიროდაა მიჩნეული ხელისუფლების "მომწესრიგებელი" ჩარევა; გარდა იმისა, რომ სოციოლოგიურ გამოკვლევებს აფინანსებს, დამოუკიდებელი მიზანდასახულობა (მედიცინისა, ჯანდაცვისა და სოციალურ გამოკვლევათა განვითარება) აქვს ნუფილდის ფონდს (Nuffield Foundation), რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი (10 000 000 გირ. სტ.) კორპორაციული ორგანიზაციაა. იგი ხელს უწყობს ინგლისში სოციოლოგიური კვლევის განვითარებას.



აღსანიშნავია, აგრეთვე, სოციალური გამოკვლევის (Social Survey) ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს უშუალოდ მთავრობის მიერ შეკვეთილ პრობლემებზე და მხოლოდ ნაწილობრივ აქვეყნებს თავისი კვლევა-ძიების შედეგებს. „ადამიანურ ურთიერთობათა შემსწავლელი ტავისტოკის ინსტიტუტი“ მიჩიგანის უნივერსიტეტთან ერთად სცემს ჟურნ. „Human Relations“ და უმთავრესად მუშაობს სოციალური, კერძოდ ინდუსტრიული ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე.

\*

\* \*

მე-20 ს. 30-იან წლებამდე სოციოლოგია გერმანიაში წარმოადგენდა საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართოდ განშტოებულ დარგს, რომელსაც ამკობდა არა ერთი აღიარებული ავტორიტეტი. კიდევ მეტი, 1933 წლამდე გერმანული სოციოლოგია სწვდებოდა, ყოველ შემთხვევაში ცდილობდა გასწვდომოდა, გერმანულ ქვეყნებზე უფრო ფართო ჰორიზონტის პრობლემებს და გერმანულ სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ პერიოდულ გამოცემებში — როგორც სოციოლოგიის საერთაშორისო ხასიათის ორგანოებში — ხშირად იბეჭდებოდა არაგერმანულ (მაგალითად, ამერიკელ, რუს, ფრანგ, იტალიელ) მეცნიერთა შემაჯამებელი გამოკვლევები.

ვ. მილმანი, რომელმაც ჰ. ბეკერისა და ა. ბოსკოვის კრებული-სათვის („თანამედროვე სოციოლოგიური თეორია...“, 1957, ნიუ-იორკი) დაწერა ახალი გერმანული სოციოლოგიის მიმოხილვა, აცხადებს, რომ ე. წ. ვაიმარის რესპუბლიკის (1919—1933 წწ.) პერიოდი წარმოადგენდა გერმანიაში სოციოლოგიის „ოქროს საუკუნეს“, როდესაც ძლიერი იყო თეორიული აზროვნება და ყოვლისშემძველი სოციოლოგიური სისტემების კონსტრუირებისადმი მისწრაფება. ამ ხანებში აქ შეიქმნა რიგი ფილოსოფიური სკოლა, რომელთა გავლენა შემდეგშიც დიდხანს იგრძნობოდა<sup>9</sup>.

ასეთ სკოლის დამფუძნებელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ა. ვებერის უფროს ძმას გამოჩენილ სოციოლოგს, ეკონომისტს, ფილოსოფოსს, ისტორიკოსს მაქს ვებერს (Max Weber, 1864—1920 წწ.), სუბიექტურ-იდეალისტური სოციოლოგიის უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელს, ე. წ. „გამგები სოციოლოგიის“ დამფუძნებელს. მაქს ვებერის გავლენა მისი სიკვდილის შემდეგაც მეტ-ნაკლები ზომით განიცადეს ისეთმა გამოჩენილმა

<sup>9</sup> Modern Sociological Theory, 1957.

ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა, როგორც იყვნენ და არიან, ვ. ზომ-  
ბარტი, კ. იასპერსი, რ. არონი, დ. პეტრუშევსკი და სხვ.

ზოგადი სოციოლოგიის, სოციალური პოლიტიკის, რელიგიის  
სოციოლოგიის, სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, მეურნეობისა  
და საზოგადოების და სხვ. შესახებ მ. ვებერის ნაშრომები გამოიცა  
მისი გარდაცვალების შემდეგ. მათი ავტორის შემოქმედების ბუნების  
განსნისა და პოპულარიზაციის საკითხზე გამოქვეყნებულია მრავალ-  
ლი გამოკვლევა, როგორც ბურჟუაზიულ, ისე მარქსისტ მეცნიერთა  
მიერ.

ამ ასპექტში აღსანიშნავია აგრეთვე ფერდინანდ ტიონისი  
(F. Tönnies, 1856—1936 წწ.), რომლის ძირითადი ნაშრომი „თემი  
და საზოგადოება“ მრავალჯერ გამოიცა. ამ წიგნმა და თვით საკი-  
თხის ავტორისეულმა გაგებამ გავლენა მოახდინა უცხოელ სოციო-  
ლოგებზედაც, თუმცა, ვ. მილმანის აზრით, ცნებები Gemeinschaft  
და Gesellschaft სხვა ენებზე ექვივალენტურ ტერმინოლო-  
გიურ შესატყვისებს ვერ პოულობენ და ასახავენ სპეციფიკურ  
გერმანულ თვალსაზრისს, რაც წარმოიშვა მე-19 ს., მას მერმე რაც  
ძველი წოდებრივი საზოგადოება გადაიქცა თანამედროვე ინდუს-  
ტრიულ ანუ კლასობრივ საზოგადოებად. ამ გაგებით „თემი“ უკავ-  
შირდება ოჯახს, სოფლის ცხოვრებას, თანხმობას, ადამ-ჩვეულებ-  
ბას, რელიგიას, ოჯახურ მეურნეობას, მიწათმოქმედებასა და ხე-  
ლოვნებას, ხოლო „საზოგადოება“—დიდ ქალაქს, ნაციას, პირო-  
ბითობას, პოლიტიკას, საზოგადოებრივ აზრს, საქმოსნურ ოპერა-  
ციებს, ინდუსტრიასა და მეცნიერებას. თავის სოციალურ-ფსიქო-  
ლოგიურ ასპექტში „არსობითი ნება“ (Wesenwille) შეესაბამება  
თემს, ხოლო „შეგნებული არჩევითი ნება“ (Kürwille) — საზო-  
გადოებას.

ფ. ტიონისის შეხედულებით საზოგადოებრივი აზრი სოცია-  
ლური ნების ერთ-ერთი ფორმაა: სახელდობრ ის ფორმა, რასაც  
იგი „შეგნებულ არჩევით ნებას“ უწოდებს. ის ისეთსავე ვოლუნ-  
ტარისტულ ხასიათს ატარებს როგორც რელიგია, რაც ისევ ერთ-  
ერთი ფორმაა სოციალური ნებისა, სახელდობრ „არსობითი ნები-  
სა“. ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორივე მოვლენისთვის სა-  
ერთოა „შინაგანი გამაერთიანებელი ძალა და მავალდებულებელი  
ნება, რაც ხშირად გამოიხატება, როგორც მორალური შეურიგებ-  
ლობა და შეუწყნარებლობა სხვარიგად მოაზროვნეთა შეხედულებ-  
ების მიმართ“.

მართალია, ტიონისი სწავლობდა არა მხოლოდ გერმანულ,  
არამედ აგრეთვე აშშ, ინგლისურ, ფრანგულ საზოგადოებრივი აზ-  
რის მამოძრავებელ ძალებსა და როლს მოქალაქეობრივ ცხოვრება-



ში, მაგრამ უფრო დეტალურად, და ამდენადვე ორიგინალურ ასპექტებში, ის აშუქებდა გერმანული საზოგადოებრივი აზრის პრობლემებს, რასაც ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ მის მიერ შემოღებული ცნებები და ტერმინები საყოველთაოდ გასაგებ და არა—„სპეციფიკურ“ გერმანულ სიტყვებში ყოფილიყო გადმოცემული.

ფ. ტიონისის მიმდევრებმა, მაგალითად, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ალფრედ ფირკანდტმა (A. Vierkandt, 1867—1953 წწ.) — რამდენადმე უფრო მიუახლოვა ერთმანეთს ანტითეზა „თემი“ და „საზოგადოება“ იმიტომ, რომ აღნიშნა განსხვავებულობანი იმ ადამიანურ ურთიერთობათა შორის, რომლებიც ახლოა ან შორსაა „თემობრივ“ ურთიერთობებთან.

მაგრამ ა. ფირკანდტმა განიცადა სხვა გავლენებიც, მაგალითად, გ. ზიმელისა (G. Simmel, 1858—1918 წწ.), რის გამოც მისი სოციოლოგია, ვ. მილმანის დახასიათებით, წარმოადგენდა არა იმდენად ორიგინალურ შემოქმედებას, რამდენადაც სხვადასხვა მიმართულებათა გავლენით წარმოშობილ იმპრესიონისტულ სინკრეტიზმს, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ა. ფირკანდტი იყო ყოველგვარი ილუზიებისგან თავისუფალი პესიმისტურად განწყობილი მოაზროვნე, რომელზედაც ღრმა კვალი დააჩნია „ადამიანთა მოქმედების მოტივებში გაბატონებულმა ტრივიალობამ“.

სოციოლოგიის რამდენადმე თავისებური განმარტება ეკუთვნის ლაიპციგელ პროფესორს ჰანს ფრეიერს (H. Freyer), რომელიც გამოვიდა გ. ზიმელისა და ლ. ვიზეს „ფორმალური სოციოლოგიის“ წინააღმდეგ. ჰ. ფრეიერი, წიგნში „სოციოლოგია როგორც მეცნიერება სინამდვილის შესახებ“, წერს: „ფენომენი, რომელსაც ეწოდება «საზოგადოება» და რომელსაც შეისწავლის სოციოლოგია, როდი წარმოადგენს მონათესავე და სტრუქტურულ ფორმათა მრავლობითობას, რომლებიც იდენტურად მეორდებიან და რომლებიც ამიტომ ვითომდა შესაძლებელია განვიხილოთ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციათა გარეშე და სისტემაში მივიყვანოთ როგორც წმინდა ფორმები. ფენომენი «საზოგადოება» უწინარეს წარმოადგენს ტოტალურ სიტუაციასა უკუმიუქცეველ თანმიმდევრობას, რომელთა წილში მოძრაობს ისტორიული ცხოვრების დინება“<sup>10</sup>.

ჩვენი მიმომხილველი ვ. მილმანი აქ შენიშნავს, რომ ჰ. ფრეერმა მხედველობიდან გაუშვა ეთნოლოგთა მიერ მერმე აღმოჩენილი ის ვითარება, რომ საზოგადოებაში არსებობენ დროებითი პრო-

<sup>10</sup> H. Freyer, *Soziologie als Wirklichkeitswissenschaft...*, 1930, Leipzig, S. 67.

ცესების ტიპური ფორმები, რომლებიც მეორდებიან რომელიმე გარკვეული ადგილისა და ეპოქისაგან დამოუკიდებლად. ასე რომ, ღრობითი თანმიმდევრობითობა წარმოადგენს არა ისტორიულ, არამედ ევოლუციურ ცნებას<sup>11</sup>.

ემპირიულმა სოციოლოგიამ გერმანიაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია უპირატესად სოციალური მობილურობისა და სოციალური სტრატეფიკაციის პრობლემებში. ეს, იქნებ, გამოწვეული იყო იმითაც, რომ აქ აღრითგანვე დაინერგა სოციალიზმის დიდი ტრადიცია და რიგი ცნობილი სოციოლოგი თავდაპირველად გამოდიოდა, როგორც მარქსისტი.

ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ვერნერ ზომბარტი (W. Sombart, 1863 — 1941 წწ.), რომელმაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნა კაპიტალიზმის ისტორიისა და სოციოლოგიის პრობლემებს. გარდა ისეთი ფუნდამენტური წიგნებისა, როგორიცაა მისი „თანამედროვე კაპიტალიზმი“, „ბურჟუა“ და სხვ., ვ. ზომბარტი 1931 წელს ა. ფირკანდტის მიერ გამოცემულ სოციოლოგიურ ლექსიკონში („Handwörterbuch der Soziologie“) მოათავსა სტატიები: „მუშა“, „პროფესია“, „ადამიანთა ჯგუფობრივი ცნობრების ძირითადი ფორმები“, „კაპიტალიზმი“, „ქალაქის მოსახლეობა“, „ეკონომიკა“.

ინდუსტრიული მუშის სოციალური ბუნების შესწავლა სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევდა. ჯერ კიდევ მ. ვებერმა გაამახვილა ამ მხრივ სოციოლოგთა ყურადღება თავისი მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომით „ინდუსტრიული შრომის ფსიქოფიზიკისათვის“ (1909 წ.). მაგრამ სულ მალე ინდუსტრიული პროლეტარიატის პრობლემა გაართულა ახალმა მოვლენამ, რაც საზოგადოებაში აისახა ახალი სოციალური კლასის, სახელდობრ მოსამსახურეთა (Angestellten) ზვედრიწონის გადიდებით. სტატისტიკა უკვე მეტყველებდა, რომ ეს ახალი „კლასი“ რიცხობრივად უფრო სწრაფად მრავლდებოდა, ვინემ დაქირავებული მუშათა კლასი და სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცნობრების სტრუქტურასა და, მაშასადამე, განვითარებაზე. სულ მალე იგივე მოვლენა სხვა ინდუსტრიული ქვეყნების სოციოლოგებმაც აღნიშნეს და აღიარეს, რომ იგი ინტერნაციონალური ხასიათისაა.

რაც უფრო მეტი გამოკვლევა იწერებოდა ამ ახალი „კლასის“ პრობლემაზე, მით უფრო რთულდებოდა მისი სოციალური ბუნების გახსნა:—წარმოადგენდა ის საერთოდ დამოუკიდებელ კლასს თუ არა და როგორი უნდა ყოფილიყო მისი შემდგომი განვითარე-

<sup>11</sup> Modern Sociological Theory, 1957, New-York.

ბის გზა, ხომ არ შესცვლიდა იგი პროლეტარიატის (მუშათა კლასის) შესახებ სოციალისტურ პროგნოზებს და, ამდენადვე, ხომ არ გამოიწვევდა ამ მოძღვრების გაფასებისა და, მათთანადამე, დისკრედიტიზაციას.

ამ პრობლემებზე მომუშავე გერმანელ სოციოლოგთა შორის ემილ ლედერერი (E. Lederer) და იაკობ მარშაკი (I. Marschak) ფიქრობდნენ, რომ ეს „ახალი საშუალო წოდება“, შეიძლება მომავალში გაითქვიფოს მუშათა კლასში, ხოლო იოსებ შუმპეტერი (I. Schumpeter) იმ აზრს დაადგა, რომ ეს „თეთრსაყელოიანი პროლეტარიატი“ თავის საკუთარ კლასობრივ შეგნებას შეიმუშავებსო; იგი ირწმუნებოდა, რომ საზოგადოებაში ამ კლასის იდეური გავლენა სულ უფრო გაიზრდება და რომ მომავალი მსოფლიო „ბიუროკრატის მსოფლიო“ იქნებაო.

1920-იანი წლების ბოლოდან პროფესიათა აღწერების გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო სტრატეფიკაციის საკითხების უფრო გაღრმავებულ შესწავლას. თეოდორ გაიგერი (Th. Geiger) ამ მასალათა შესწავლით მივიდა დასკვნამდე, რომ „აზროვნება და იდეოლოგია ყოველთვის არ შეესაბამება ადამიანის სოციალურ მდგომარეობას და რომ, ეტყობა, არსებობს ერთგვარი კავშირი თავისი პრესტიჟისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის მებრძოლ „ახალ საშუალო წოდების“ ლაბილურ ფენასა და ნაციისტურ მოძრაობას შორისო.

დავა „კლასისა“ (Klasse) და „წოდებას“ (Stand) შორის განსხვავების საკითხზე უბრალო ტერმინოლოგიური კამათი როდი იყო, თუმცა ი. შუმპეტერი ცდილობდა მათ ნიველირებას და, ამგვარად, ინგლისურ-ამერიკული სიტყვახმარების შესაბამისი გაგების დანერგვას. მაინც სოციოლოგთა უმრავლესობა (ტიონისი, გაიგერი და სხვ.), მსგავსად მ. ვებერისა, გადაჭრით იცავდა მათი გამიჯვნის საჭიროების იდეას. გაიგერს, მაგალითად, აუცილებლად მიაჩნდა „კლასისა“ და „წოდების“ განსხვავება, თუმცა, მისი აზრით, საზოგადოების ძველი წოდებრივი და ახალი კლასობრივი სტრუქტურა ურთიერთისგან იშვიათად თუ ყოფილა მკაცრად გათიშული და ყოველთვის მიმდინარეობს მათი ურთიერთშედწევის პროცესი, რაც „სოციალურ-ისტორიული შეწყობილობის“ ხასიათს ატარებს.

თავდაპირველად მ. ვებერი, როგორც სოციოლოგი, ეკონომიკური ფაქტორების შესწავლით იყო გატაცებული. მაგრამ იგი თანდათანობით საერთოდ „სოციალური მოქმედების“ ანალიზშია მიიზიდა და ამ ასპექტში შექმნა საფუძვლიანი გამოკვლევები რელიგიის სოციოლოგიაში, შეიჭრა ეთნოლოგიურ მასალათა მორევში, რადგან, მისი აზრით, თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის



მრავალი პრობლემის ახსნა შეუძლებელი იყო პრიმიტიული და კერძოდ აღმოსავლური კულტურის გათვალისწინების გარეშე. ამ მიდრეკილებისათვის ზოგიერთი მას კ. მარქსის მიმდევრადაც კი თვლიდა<sup>12</sup>.

გერმანულ სოციოლოგიაში ამ ტენდენციის გზაზე დიდ შედეგებს მიაღწია რიხარდ თურნვალდმა (R. Thurnwald, 1869—1954 წწ.), რომლის აზრით, სოციოლოგია თავის განზოგადებებში უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ „დასავლური მსოფლიოს“, არამედ საერთოდ მთელი კაცობრიობის, მისი ყველა ეპოქისა და ტერიტორიის სოციალურ ფაქტებს. ამგვარად, მისი შეხედულება უპირისპირდებოდა ჰ. ფრეიერის მოსაზრებას, რომ სოციოლოგია ასახავს მხოლოდ თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების კონცენტრირებულ თვითშეცხობას.

თავისი იდეების მიხედვით, რ. თურნვალდს აუცილებლად მიაჩნდა მდიდარი ეთნოგრაფიული და თვით პრეისტორიული მასალის სოციოლოგიური შესწავლა, რისი შედეგებიც წარმოდგენილია ხუთტომიან თხზულებაში — „ადამიანთა საზოგადოება მის ეთნო-სოციოლოგიურ საფუძვლებში“ (Die menschliche Gesellschaft in ihren ethno-soziologischen Grundlagen“, 1931—1935 წწ.).

ვ. მილმანი წერს, რომ რ. თურნვალდის ეს ქმნილება „...თუმცა არ არის ლიტერატურული შედეგრი, მაგრამ ის დაწერილია ისტატის მიერ. თურნვალდი ფლობდა დიდ ცოდნას ეთნოგრაფიის სფეროში, მაგრამ ის არ იყო ენციკლოპედიისტი მეცნიერის ტიპი, უფრო ის შეიძლება ითქვას, რომ იგი თვალსაჩინოდ ხსნიდა ხოლმე კავშირებს. იყო რა ფრიად ფართო ემპირიული ერუდიციის ადამიანი, ის ყოველთვის სკეპტიკურად ეპყრობოდა „თეორიულ პრინციპებს“, თუმცა მისი ხსენებული ნაშრომის მეოთხე ტომი შეიცავს სოციალურ, კულტურულ და ცივილიზაციის პროცესთა მოხდენილ (ღრმა) თეორიულ ანალიზს“<sup>13</sup>.

ამასთანავე თურნვალდი ერთ-ერთი პირველი სოციოლოგი იყო, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა დასავლეთის ინდუსტრიული ცივილიზაციის გავლენით პირველყოფილი კულტურის საფეხურებზე მდგარ ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები. მან თავისი წვლილი შეიტანა კოლონიალიზმის სოციოლოგიაში. მისი, როგორც მეცნიერის, ტრავედიად იქცა ის გარემოება, რომ მან დიდხანს შეინარჩუნა თავისი კოსმოპოლიტური განწყობილება,

<sup>12</sup> მაქს ვებერის კონცეფციის დახასიათებაზე — ვრცლად ჩერდება ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რაიმონ არონი, რომელსაც ეკუთვნის გერმანული სოციოლოგიის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა: R. Aron, *La Sociologie Allemande Contemporaine*, 1956, Paris.

<sup>13</sup> *Modern Sociological Theory*, 1957, New-York, p. 716.



რაც შემუშავებული იყო ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც გერმანია იმპერიას წარმოადგენდა, ე. ი. კოლონიების მფლობელი სახელმწიფო იყო, რომლის დაშლით გარკვეულ წრეებში ეგოცენტრული პროვინციალიზმის სულისკვეთებამ დაისადგურა.

30-იან წლებში პოპულარობით სარგებლობდა ვილჰელმ ლანგე-აიხბაუმის (W. Lange- Eichbaum) ნაშრომი „გენია, სიგიჟე და დიდება“ (1931 წ.). ამ ნაშრომის საწყისი იყო ვენელი ფსიქოლოგის გუსტავ იხპაიზერის (G. Ichheiser) თეზისი, რომ საზოგადოებაში ყოფაქცევის იდეალურად აღიარებულ სქემასა („პატიოსნება — საუკეთესო პოლიტიკა“, „წარმატების ღირსია ნიჭიერი“ და სხვ.) და წარმატების ფაქტიურ მექანიზმს შორის არსებობს შეუსაბამობა, რისთვისაც აუცილებელია, რომ მიზნის მისაღწევად გამოყენებული მექანიზმები შეისწავლებოდეს სიტყვიერად გამოხატულ ნორმებისა და ფასეულობათაგან დამოუკიდებლად.

ფსიქიატრი ვ. ლანგე-აიხბაუმი, რომელიც თავისი მიმართულების ამოსავალ საწყისებშივე განსხვავდება მის წინამორბედად საგულეებელ ლომბროზოსაგან, აღცხადებს: გენიოსობა — ეს არაა ემანაცია განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანისა.., არამედ ესაა ფასეულობათა წარმოქმნის ხშირად ძლიერ ხანგრძლივი და, როგორც მიმდინარეობის, ისე თავისი ხასიათის მიხედვით, გაურკვეველი სოციალურ-ფსიქიური პროცესის შედეგი. მისი აზრით, გენიის შესახებ მითის წარმოშობა ყველაზე უკეთ შეიძლება აიხსნას რელიგიის ფსიქოლოგიის დახმარებით, რომელიც შეისწავლის „ნუმენალურ“, ანუ რელიგიურ-ქარიზმატიკულ თვისებათა მოქმედებას. ჩვეულებრივ გენიოსისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება გენიოსადმი თაყვანისმცემელი თემის შემფასებლური მსჯელობით.

ამგვარად, გენია არაა შემკვიდრეობითი თვისება. ესაა „მითოსი“. ეს არაა პიროვნება, არამედ ნიმიბი (ორეოლი). ფასეულობა რაც გენიოსს თემისთვის მოაქვს, უკუმიიქცევა მისსადმი და განიმარტება როგორც, „ზეციდან მინიჭებული ტალანტი“. ლანგე-აიხბაუმი დიდძალი მასალის მობილიზაციისა და თავისებური ფსიქოლოგიური ანალიზის გზით შეეცადა დაემტკიცებინა ეს თეზისი. მან გულმოდგინედ შეისწავლა აგრეთვე რიგი ტალანტიანი ადამიანის „დიდების მრუდეები“ და უჩვენა, რომ ეს მრუდეები მერყეობენ ეპოქიდან ეპოქამდე, აპოთეოზიდან სრულ გახუნებამდე. მაგრამ არა მხოლოდ გამოჩენილ ადამიანთა რეპუტაციები განიცდიან რაოდენობრივ რყევადობას, არამედ ისინი რაღაც თვისობრივ სხვანაირობასაც ასახავენ კულტურის ყოველი ეპოქისათვის.

მისტიკასა და მეცნიერებას შორის მოქანავე ლანგე-აიხბაუმის თეზისის მეცნიერული ღირებულება არსებითად უნდა შეფას-

დეს როგორც მოდიდან გასული საჭინელი, რომელიც არა ოქრო-ზე, არამედ მხოლოდ მის ჩხრიალზე შეიძლება გაიცვალოს.

ნაციზმის ბატონობის პერიოდი გერმანიაში აღინიშნა სოციოლოგიური ორგანიზაციების დაშლით. შეწყდა სოციოლოგიური ჟურნალებისა და კრებულების გამოცემა, სოციოლოგთა გერმანული საზოგადოება დაიშალა. გერმანელი და მერმე ავსტრიელი სოციოლოგები საზღვარგარეთ გაიხიზნენ, ხოლო ვინც გერმანიაში დარჩა, იმათ თავი შეაფარეს მეცნიერების „ნეიტრალურ“ დარგებს, როგორიცაა ეთნოლოგია, ფოლკლორი, ლიტერატურათმცოდნეობა, დემოგრაფია და სხვ., სადაც პოლიტიკური კონტროლი ნაკლებად მკაცრი იყო. ამგვარად, სოციოლოგია, როგორც მეცნიერება გერმანიაში ჩაკედა, ნაციტური სახელმწიფოს მოღვაწეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ სოციოლოგიასა და საერთოდ მსოფლმხედველობრივ მეცნიერებებში უფრო მეტი იცოდნენ, ვინემ ამ დარგების სპეციალისტმა პროფესორებმა. მართალია, სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში მიმდინარეობდა ერთგვარი მუშაობა, მაგრამ რაიმე მხრივ ღირსშესანიშნავი ახალი სოციოლოგიური თხზულება 1933—1945 წწ. გერმანიაში არ გამოქვეყნებულა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში ნელ-ნელა დაიწყო სოციოლოგიური ორგანიზაციების აღდგენა-განახლება. რადგან ახალგაზრდა კადრები ცოტა იყო, ძირითადი სიმძიმე „დიდ მოხუცთა“ მხრებს უნდა დასწოლოდა. 1946 წელს ლეობოლდ ფონ ვიზემ აღადგინა სოციოლოგიის გერმანული საზოგადოება. განახლდა რიგი სოციოლოგიური ჟურნალის გამოცემა.

ომის შემდგომ დასავლეთ გერმანიაში ახალი ვითარების შესაბამისად განსაკუთრებით ვითარდება ემპირიული სოციოლოგია, რაშიც სულ უფრო ვლინდება და ძლიერდება ამერიკული სოციოლოგიისა და საერთოდ „ამერიკანიზმის“ გავლენა. საკმაოდ გააქტიურდა მუშაობა „სოციოგრაფიისა“ და სტატისტიკის, განსაკუთრებით დემოგრაფიული სტატისტიკის პრობლემებზე. ამ სოციოლოგიის ყურადღების ცენტრშია უმთავრესად გადაადგილებულ პირთა პრობლემა; ზოგიერთი ცნობით ეს შეეხება 14 მილიონი გერმანელის გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში გაადგილების მოვლენას.

სხვა პრობლემათაგან, რომლებიც ომისმერმინდელ წლებში შეიქმნენ დასავლეთ-გერმანული სოციოლოგიის აქტუალურ ფენომენებად, შეიძლება დავასახელოთ ქალაქის, ინდუსტრიის (ანუ ფაბრიკის), სტრატეფიკაციისა და სხვ. საკითხები.

1949 და შემდეგ წლებში სტრატეფიკაციის საკითხებზე გამოქვეყნებული ნაშრომებით თეოდორ გაიგერმა (Theodor Geiger) ამ მხრივ წამყვანი ადგილი დაიკავა საერთოდ დას. ევროპის სოციო-

ლოგიაში. დანიაში სოციალური სტრატეგიკაციის მასალათა თავი-  
სებური შესწავლა-ანალიზის საფუძველზე იგი შეუდგა სოციალუ-  
რი კლასების შესახებ კ. მარქსის თეორიის კრიტიკას, რომ თითქოს  
არაა სწორი კ. მარქსის „აბსოლუტური გაღატაკების თეორია“,  
„ნამდვილი კლასობრივი ინტერესის“ შესახებ დებულება, საშუა-  
ლო კლასების გაქრობის პროგნოზი და სხვ. და რომ მუშათა მოძ-  
რაობის „გმირულმა ეპოქამ“ უკვე გაიარა, ე. ი. „პროლეტარულ“  
სტილზე ცხოვრებით შესაძლებლობის რეალიზაცია შეუძლებელია.  
იგი უარყოფს იმ ზოგად დებულებასაც, რომ „დახშული წოდებრი-  
ვი საზოგადოებისაგან“ განსხვავებით კლასობრივი საზოგადოება  
„ლია“, რომ იგი ნაწილობრივ ასეთი იყო მხოლოდ წოდებრივი სა-  
ზოგადოების პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში.  
რაც შეეხება ინტელიგენციას, — მისი სოციალური ბუნების გახს-  
ნა, გაიგერის შეხედულებით, არ შეიძლება არც კლასობრივი მდგო-  
მარეობით, არც კლასობრივი შეგნებითა და არც წოდებრივი მდგო-  
მარეობით.

ომის შემდგომი დას. გერმანული სოციოლოგიის, ასევე ისტო-  
რიისა და ფილოსოფიის მიმზიდველ საკითხად იქცა: ხელისუფლე-  
ბა, ბატონობა, ძალდატანება. როგორც ცნობილია, ამ პრობლემებ-  
ში ღრმად ჩაიხედა ჯერ კიდევ მ. ვებერმა. ვ. მიულმანმა რამდენიმე  
ნაშრომი მიუძღვნა მაპატმა განდის მიერ ინდოეთის რევოლუციაში  
გამოყენებული არაძალდატანებითი წინააღმდეგობის თეორიისა და  
პრაქტიკის ურთიერთობის საკითხს. პოლიტიკასა და ეთიკას შორის  
კავშირს ვრცლად შეეხო თავის წიგნში ლუდვიგ ფროინდი  
(L. Freund), რომელიც ამჟამად ამერიკაში (ჩიკაგოში) მუშაობს და  
ამერიკაში ჩემის ძლიერ გავლენას განიცდის.

ჩნდება აგრეთვე საკმაოდ დიდძალი სოციოლოგიური ლიტერა-  
ტურა, რომელიც მიზნად ისახავს ახსნას თანამედროვე, უპირატესად  
დასავლური მსოფლიოს მდგომარეობა. ასეთებია, მაგალითად, ნიც-  
შესა და შპენგლერის ერთგვარი მიზაძვით დაწერილი კარლ იასპერ-  
სის ნაშრომი „ეპოქის სულიერი სიტუაცია“, კარლ მანჰაიმის —  
„ჩვენი დროის დიაგნოზი“, აგრეთვე ა. ვებერის, ა. მიულერ-არმა-  
კისა და სხვ. წიგნები, რომელთაც კარგახნის მანძილზე მკითხველ-  
თა დიდი ნაწილი აღიქვამდა, როგორც რომელიმე „დიდი მოხუ-  
ცის“ კონცენტრირებულ ფილოსოფიას<sup>14</sup>. მაგრამ თანდათანობით  
ამგვარი „უნივერსალური ფილოსოფიური ჩანაფიქრებით“ დიდი

<sup>14</sup> L. von Wiese, Soziologie. Geschichte und Hauptprobleme. Berlin, 1950., W. Zeigenfuss, Handbuch der Soziologie, I, Stutt-  
gart, 1955.

გატაცება, ჩანს, თავისებურ ზომიერებისაკენ ისრება და წინა პლანზე გამოდის კონკრეტული და ემპირიული სოციოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის საერთო მანკიერება ისევე, როგორც საერთოდ დასავლური ბურჟუაზიული მეცნიერებისა, ესაა სოციალური წვრილმანებით, ხშირად თვით ინტიმური მოვლენებით გატაცება, დილეტანტიზმი, სუბიექტივიზმი, ზოგჯერ მისტიციზმში გარდამავალი იდეალიზმი.



ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი სოციოლოგიის მდგომარეობის მიმოხილველი ა. კიუვიე<sup>15</sup> წიგნში „საით მიდის ფრანგული სოციოლოგია?“ (1958 წ.) წერს, რომ იბადება „თეორიასა და ექსპერიმენტულ პრაქტიკას შორის“ განხეთქილების“ საშიშროებაო. საქმე ისაა, რომ ფრანგული ბურჟუაზიული სოციოლოგიის აპრიორულ, ფორმალურ, ვითომ ზოგად და კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს შორის არსებითად დიდი ხანია, რაც თავი იჩინა განხეთქილებამ, და იგი, ეტყობა, სულ უფრო ღრმავდება.

ჟან სტეტცელის 1957 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „სოციოლოგია საფრანგეთში“, მოცემულია საკითხის საკმაოდ საფუძვლიანი მიმოხილვა<sup>16</sup>. იგი იმთავითვე აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ფრანგული სოციოლოგია ხასიათდება სოციოლოგიური პრობლემებისადმი ფილოსოფიური მიდგომის შენელებითა და ემპირიული გამოკვლევების ზრდით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთში სოციოლოგებმა მიეძალგნენ დოკუმენტურ, სტატისტიკურ და განსაკუთრებით ეთ-

<sup>15</sup> არმან კიუვიე (A. Cuvillier) დაიბ. 1887 წ. სხედასხვა უნივერსიტეტის პროფესორი. არის საფრანგეთის ფილოსოფიური საზოგადოებისა და საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის წევრი. იგი სოციოლოგიის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. ბოლო ხანებში სულ უფრო უახლოვდება საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ პოზიციებს.

პროფ. ა. კიუვიე ქადაგებს ყოველგვარი წინასწარი ფილოსოფიური პოსტულატისაგან თავისუფალი მეცნიერული სოციოლოგიისათვის. მისი „სოციოლოგიის შესავალი“ რამდენჯერმე გამოიცა. იგი თავისი პოზიტივისტური პოზიციების შესაბამისად მკვეთრად გამოყოფს ერთმანეთისაგან მეცნიერებასა და მორალს, მეცნიერებასა და ფილოსოფიას, მეცნიერებასა და პრაქტიკას.

მისი მთავარი ნაშრომებია: *Precis de philosophie, Introduction à la Sociologie, Manuel de Sociologie, La philosophie, Ou vala sociologie française?* და სხვ.

<sup>16</sup> იხ. კრებული *Modern Sociological Theory in Continuty and Change*, 1957, New-York.

ნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევებს, ხოლო რაც შეეხება ზოგადი სოციოლოგიისა და მორალის სოციოლოგიის პრობლემებს, რაც ხელოვნების სოციოლოგიასთან ერთად 20-იანი და 30-იანი წლების პირველ ნახევარში აქ წინა პლანზე იდგა, მათ ზურგი შეაქცევს. გაიზარდა ყურადღება პოლიტიკური, სოციალური ფსიქოლოგიისა და დემოგრაფიული სოციოლოგიისადმი, კერძოდ მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისა და მიგრაციის საკითხებისადმი.

ემპირიზმით გატაცებამ გამოიწვია კოლექტიური ხასიათის (ავტორთა ჯგუფების) გამოკვლევებისა და თვით სოციოლოგიურ დაწესებულებათა გამრავლება. ისეთი აკადემიური დაწესებულების, როგორიცაა სოციოლოგიის ფრანგული ინსტიტუტი (დაარს. 1924 წ.), პარალელურად გაჩნდა რიგი ახალი სახელმწიფოებრივი და კერძო სოციოლოგიური დაწესებულება.

გარდა ხსენებული ინსტიტუტისა, სოციოლოგიური კვლევიძიება საფრანგეთში წარმოებს უმთავრესად პარიზის (2 კათედრა), ბორდოსა და სტრასბურგის უნივერსიტეტთა კათედრებზე. მაგრამ ამ მხრივ სპეციალური დაწესებულებებია: სოციოლოგიურ გამოკვლევათა ცენტრი (დაარს. 1946 წ.), დემოგრაფიულ გამოკვლევათა ნაციონალური ინსტიტუტი (დაარს. 1945 წ.), საზოგადოებრივი აზრის ფრანგული ინსტიტუტი (დაარს. 1938 წ.), სტატისტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ნაციონალური ინსტიტუტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ნაციონალური ინსტიტუტი. შრომის სოციოლოგიის ინსტიტუტი, უმაღლეს პოლიტიკურ ცოდნათა ინსტიტუტი, გამოყენებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ფსიქოლოგიურ და ფსიქოსოციოლოგიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი, სოციოლოგიისა და რელიგიის კათოლიკური ცენტრი, სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, რომელიც შეისწავლის შრომის საკითხებს, უმაღლეს გამოკვლევათა პრაქტიკული სკოლა (დაარს. 1868 წ.), რომლის მიზანია თეორიული სწავლების გაძლიერება და გაფართოება პრაქტიკულ გამოკვლევებთან მისი შეთანაწყობის გზით.

ეს დაწესებულებები მუშაობენ არსებითად სხვადასხვა პრობლემებზე; მათ ამ მხრივ ახასიათებს გარკვეული სპეციალიზაცია. ესა თუ ის ინსტიტუტი ითვლება სოციოლოგიურ მეცნიერებაში ამა თუ იმ მიმართულების ცენტრად, სადაც მუშაობენ საკითხის გამოჩენილი სპეციალისტები.

მაგალითად, უმაღლეს გამოკვლევათა პრაქტიკულ სკოლაში 1950 წელს შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა განყოფილებაში ჩამოყალიბებულია სოციოლოგიის, მრეწველობის, იურისპრუდენციის, რელიგიისა და ფსიქო-სოციოლოგიის სემინა-



რები. ამ სემინარებში მეცადინეობა წარმოებს სოციოლოგიისა და ეთნოლოგიის ისეთ დარგებში, როგორიცაა: სოციალური ანთროპოლოგია, ზოგადი სოციოლოგია, კოლექტიური ფსიქოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, შედარებითი სოციოლოგია, ესთეტიკის სოციოლოგია, მრეწველობის სოციოლოგია, იურიდიული სოციოლოგია, შუასაუკუნეობრივ და თანამედროვე საზოგადოებათა, პირველყოფილი ცივილიზაციის, ტრადიციული ცივილიზაციის, მეცნიერებისა და მანქანათა საუკუნის სოციოლოგია, ცივილიზაციის შედარებითი თეორიის სოციოლოგია.

სოციოლოგიურ გამოკვლევათა ცენტრის მუშაობაში წინა პლანზეა სოციოლოგიის კავშირი სოციალურ გეოგრაფიასა, დემოგრაფიასა და ეთნოლოგიასთან, ამ თემებზე დაიწერა ისეთი წიგნები, როგორიცაა, მაგალითად, ამ დაწესებულების ხელმძღვანელის, პროფ. მ. სორის<sup>17</sup> — „ადამიანური გეოგრაფიის საფუძვლები“. ე. ფრიდმანის — „ქალაქები და სოფლები“, დემანჟონის (Demanjeon) — „საფრანგეთის ადამიანური და ეკონომიკური გეოგრაფია“ და სხვ.

დემოგრაფიულ გამოკვლევათა ნაციონალურ ინსტიტუტს, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი დემოგრაფი ეკონომისტი ა. სოვი, აქვს სექციები (განყოფილებები): ისტორიულ გამოკვლევათა, კანონმდებლობის, რაოდენობრივი გამოკვლევებისა და დემოგრაფიული სიტუაციის, ეკონომიკური ფაქტორების, ფსიქო-სოციალური ფაქტორების, მემკვიდრეობისა და გარემოს ფაქტორების, მოსახლეობის რიცხოვნობისა და თვისობრიობას შორის ურთიერთობის, დემოგრაფიული ცოდნის გავრცელებისა და სხვ. აქ მუშაობენ სტატისტიკოსები, მათემატიკოსები, სოციოლოგები, ეკონომისტები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები და სხვ.

თითქმის ყველა ხსენებულ დაწესებულებას აქვს თავისი პერიოდული ორგანო, გარდა იმისა, რომ ისინი ერთდროული გამოცემების სახით აქვეყნებენ თავიანთ მონოგრაფიულ გამოკვლევებს, ანდა ამა თუ იმ პრობლემისადმი მიძღვნილ კრებულებს.

რა თქმა უნდა, შორს წაგვიყვანდა და ჩვენს ძალასაც აღემატება ფრანგული სოციოლოგიის თუნდაც მხოლოდ ხსენებულ მიმართულებათა მარტოოდენ მოკლე დასასიათებაც კი. ჩვენ მიმოხილვის სახით შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

<sup>17</sup> მაქსიმილიან სორი (M. Sorre) დაიბ. 1880 წ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. იყო ლილის უნივერსიტეტის პროფესორი, კლერმონ-ფერანის აკადემიის რექტორი და სხვ. ამჟამად არის პარიზის სამეცნიერო სოციოლოგიური ცენტრის დირექტორი. იგი სორბონის საპატიო პროფესორია.





მართალია, ჟ. სტეტცელი წერს, რომ თანამედროვე ფრანგული სოციოლოგია ვითარდება ემპირიზმის განხრით, მაგრამ იგი ამასთანავე აღნიშნავს, რომ აქ კიდევ ძლიერია ფილოსოფიური (აკადემიური) ორიენტაცია, რაც აღსახა სოციოლოგიასა და სხვა სოციალურ მეცნიერებათა ურთიერთობის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომების გამოქვეყნებით, როგორიცაა, მაგალითად, „ფილოსოფია და სოციოლოგია“ (1951 წ.), „ექსისტენციალიზმი და სოციოლოგია“ (1946 წ.). „სოციოლოგია და ფსიქოანალიზი“ (1950 წ.), „ცოდნის სოციოლოგია და ეკონომიკური იდეოლოგია“ (1957 წ.), „გეოგრაფია და სოციოლოგია“ (1957 წ.), „ისტორიისა და სოციოლოგიის დიალოგი“ (1957 წ.).

ამ მიმართულებით ჟ. სტეტცელი დიდიწილად უმღერის შემოქმედებას ჟორჟ გურვიჩისა, რომელსაც სოციოლოგია მიაჩნია ადამიანის შესახებ მეცნიერების კულმინაციურ პუნქტად. მისი მეტოქეა „პაპერემპირიული დიალექტიკა“, რაც გულისხმობს სისტემების დაუსრულებელ დაშლა-დარღვევას — პრობლემათა დაუსრულებლად განახლებული გაღრმავების ინტერესებისათვის. მისი გაგებით, ემპირიზმი აუცილებლობად იქცა იმიტომ, რომ შეუძლებელია ფაქტების ცოდნა (შეცნობა) გარეშე გამუდმებულად განახლებული ცდებისა, და, რომ აუცილებელია შერჩევა გამოკვლევის სხვადასხვა პროცედურიდან. კვლევის ასეთი ხერხის მეოხებით სოციალური პლიურალიზმი ანუ სხვადასხვაობა ვლინდება ჰორიზონტალურად ურთიერთკავშირის სხვადასხვა ფორმაში და ვერტიკალურად — სხვადასხვა სოციალურ ფენაზე ან დონეზე. თავის ნაშრომში „სოციალური დეტერმინიზმი და ადამიანის თავისუფლება“ (1955 წ.) ჟ. გურვიჩი ადამიანის თავისუფლების ფორმებისა და შესაძლებლობათა შესწავლის გზით ცდილობს გააანალიზოს ისტორიული საზოგადოებები სხვადასხვა ტიპის სოციალური სტრუქტურის შერჩეულ ეტაპებზე და ა. შ.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ჟ. სტეტცელის აზრით, უახლესი ფრანგული სოციოლოგიის ძირითად მიმართულებად მაინც რჩება ქალაქისა და სოფლის სოციოლოგია და აქ წინა პლანზე გამოდის ჟორჟ ფრიდმანის ხელმძღვანელობით შექმნილი კრებული „ქალაქები და სოფლები. ქალაქის ცივილიზაცია და სოფლის ცივილიზაცია საფრანგეთში“ (1958 წ.).

სოციოლოგიის სხვადასხვა მეცნიერებასთან, მაგალითად, ეთნოლოგიასთან კავშირმა გამოიწვია სოციოლოგიის სავსებით ახალი დარგების წარმოქმნა, ასეთებად ჟ. სტეტცელს მიაჩნია, კერძოდ ასაკის სოციოლოგია და სქესის სოციოლოგია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ზოგიერთი დარგი სოციოლო-  
გიისა საფუძვლიანად გადახალისდა და გაფართოვდა. ასეთია მაგა-  
რითად, ეკონომიკის სოციოლოგია, რაც განსაკუთრებით განვითარ-  
და წარმოებისა და შრომის, პროფესიათა დიფერენციაციის, ტექ-  
ნიკის პროგრესის, გეგმიანობის პრობლემათა სულ უფრო გაღრმა-  
ვებული შესწავლის მიმართულებით.

მანც კონკრეტული სოციოლოგიიდან საფრანგეთში ყველაზე  
ფართო ინტერესის საგანია შრომის სოციოლოგია, რა-  
საც უფრო ხშირად „ინდუსტრიულ სოციოლოგიას“ უწოდებენ. აქ  
უპირატესი ყურადღება ექცევა ინდუსტრიულ საწარმოებში და  
საერთოდ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთო-  
ბას. ამ მხრივ ე. სტეტცელი პირველ რიგში აყენებს ფრიდმან-  
ის დამსახურებას, რომელიც ოციოდე წლის განმავლობაში სისტე-  
მატურად იკვლევს შესაბამის პრობლემებს. უკანასკნელის თვალ-  
საზრისით, იმ ადრინდელ ინდუსტრიულ ცივილიზაციასთან შედა-  
რებით, რასაც შეიძლება „ბუნებრივი“ გარემო ეწოდოს, თანამედ-  
როვე მრეწველობა ასაჩვენებს ახალ გარემოს, რომელსაც აქვს თავისი  
ნორმები და ეს ნორმები არ შეიძლება მთლიანად გარეშე და ობი-  
ექტური იყვნენ იმ სიტუაციის მიმართ, რომლებშიც ისინი გამოი-  
ყენებიან.

შრომის სოციოლოგიის საკითხებს უკანასკნელ წლებში ეძღვ-  
ნება გამოკვლევები დაწერილი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მა-  
გალითად, „პროფესიული ცხოვრების საერთო სტრუქტურა“,  
„შრომის ევოლუცია რენოს ქარხნებში“, „არდენის საგლინაჟი დგა-  
ნი“, „საათის მრეწველობა ბენზანსონის რაიონში“, „ქალის შრომა“,  
„ზოგიერთი პროფესიის სოციალური მობილურობა“, „მუშათა  
მდგომარეობა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების მიხედვით“,  
„არაკვალიფიკაციური მუშების მდგომარეობა“, „შინ მომუშავე ქალ-  
თა შრომა“ და სხვ., აგრეთვე ნაშრომები — მუშათა პროფესიული  
კვალიფიკაციისა და კლასობრივი შეგნებულობის საკითხებზე.

არსებითად ისევ შრომის სოციოლოგიის სფეროს მიეკუთვნება  
სოფლისა და ქალაქის თემაზე დაწერილი წიგნები. როგორიცაა:  
„მიღწევები სოფლის მეურნეობაში და მოსახლეობის ტექნიკური  
პროგრესისადმი შეგუება“, „მუშის მოცლილობის ზოგადი ნარკვე-  
ვები“, „ჩრდილოეთ საფრანგეთში მემალაროეთა მოცლილობის შე-  
სახება“, „მუშის ოჯახი“ და ემპირიული ხასიათის სხვ. გამოკვლევე-  
ბი, რომელთა ავტორებისთვის ტონის მიმცემია ე ფრიდმანის მიერ  
წამოყენებული „შრომის ჰუმანიზაციის“ თეორია.

პროფ. ე. ფრიდმანის შეხედულებით, კაპიტალისტური წარ-  
მოების წესის ვითარებაში შესაძლებელია შრომის ჰუმანიზაცია;

მართალია, თანამედროვე კონვეიერულმა წარმოებამ ნაწილობრივი მუშის შრომა გამოფიტა ყოველგვარი შინაარსისაგან, ხოლო ნაწილობრივი მუშა შეადგენს უახლესი ინდუსტრიული წარმოების ყველაზე მასობრივ ფიგურას, მაგრამ სწორედ შრომის „ჰუმანიზაციის“ გზით კაპიტალიზმის პირობებში ვითომ შესაძლებელია შრომას დაუბრუნდეს მისი შინაარსი, ე. ი. ის მუშისთვის საინტერესო გახდეს, მუშა თავისი შრომით კმაყოფილი შეიქნეს.

„შრომის ჰუმანიზაცია“ ამ მიმართულებით გულისხმობს შრომის პირობების წვრილმან გაუმჯობესებას, შრომის პროცესის ერთგვარ გადახალისებას, საწარმოებში „ადამიანურ ურთიერთობათა“ დოქტრინის გატარებას, მოცლილობის დროს „მუშის პიროვნების განვითარებისათვის ზრუნვას“ და, ამ გზით, ნამდვილად შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერებასა და ზედმეტი ღირებულების ამოჭრვის „რაციონალური“ ხერხების გამოყენებას.

პოლიტიკური სოციოლოგიის დარგს საერთოდ მეთაურობს პროფ. რაიმონ არონი, რომლის აღიარება გამოიხატა 1955 წელს სორბონში მისი არჩევით — „პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებზე მრავალი ღრმა მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებით მოპოვებული დამსახურებისათვის“. ამ მხრივ აღსანიშნავია, აგრეთვე, „კონსტიტუციური სამართლისა“ და „არჩევნების გეოგრაფიის“ საკითხებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორთა გამოკვლევები. პოლიტიკური სოციოლოგიის სფეროში წამყვან როლს თამაშობს „Revue Française de Science Politique“, რომელიც 1951 წლიდან გამოიცემა. პოლიტიკურ სოციოლოგიაში მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის, კერძოდ საარჩევნო კამპანიებისა და საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

დემოგრაფიულ სოციოლოგიაში ა. სოვისა<sup>18</sup> და მის თანამშრომელთა გამოკვლევებმა, ე. სტეტცელის აზრით, გაშალეს საესე-

<sup>18</sup> ალფრედ სოვი (A. Sauvy — დაბ. 1898 წ.), სტატისტიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი. სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრი, პარიზის პოლიტიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტის პროფესორი; იგი წევრია საფრანგეთის ეკონომიკურ ანგარიშთა და ბიუჯეტების კომისიის, ეკონომიკური მოდერნიზაციისა და გაწყობილებათა გეგმიანობის უმაღლესი საბჭოსი, გეგმიანობის გენერალური კომისარატის მუშაბაღის საკითხების კომისიის, ხალხთმოსახლეობის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის, მეცნიერული პროგრესისა და მეცნიერულ გამოკვლევათა საკითხების უმაღლესი საბჭოსი; არის ეკონომიკური საბჭოს ეკონომიკური კონიუნქტურის და ხაცონალური შემოსავლის კომისიის თავმჯდომარე და სხვ.

ა. სოვის მთავარი ნაშრომები თემატიკურად შეესხებიან სიმდიდრისა და მასხალეობის, ეკონომიკური წინასწარხედვის, ხალხთმოსახლეობის ზოგადი თეო-

ბით ახალი პერსპექტივები. მოსახლეობის საკითხები ახლა შეისწავ-  
ლება მთელ მის მრავალგვარობაში: მოსახლეობის დაჯგუფებათა  
სტატისტიკური შეფასება, მოსახლეობის ზრდა და შემცირება, წარ-  
სული (ძველი) მოსახლეობის დემოგრაფიული ხასიათი, სახელმწი-  
ფოს, კონტინენტისა და მსოფლიოს მოსახლეობა, მოსახლეობის  
ბუნებრივი მატება, შობადობის, მოკვდაობისა და ქორწინების ნორ-  
მები და სხვ., რომლებიც ნაცვლად უბრალო სტატისტიკური ფაქ-  
ტებისა, ამიერიდან განიხილება, როგორც რთული სოციოლოგი-  
ური მოვლენები, რომელთა მიზეზები და კანონზომიერებანი საჭი-  
როებენ ახსნასა და განმარტებას.

პარიზის უნივერსიტეტში (სორბონში) სოციალური ფსიქო-  
ლოგიის კათედრის შექმნა უკვე თავისთავად მოწმობს ფსიქო-სო-  
ციოლოგიისადმი ინტერესების გაძლიერებას. მიკროსოციოლოგიის  
ამ სფეროში კვლევა-ძიებას აწარმოებს სორბონისავე ფსიქოლოგი-  
ის ინსტიტუტი და ბავშვთა ფსიქოლოგიის ლაბორატორია, აგრეთ-  
ვე პროფესიული ორიენტაციის ნაციონალური ინსტიტუტი და სო-  
ციოლოგიურ გამოკვლევათა ცენტრი.

ფსიქოლოგიის საკითხებზე გამოცემული გამოკვლევები ეხე-  
ბა უმთავრესად დიფერენციული ფსიქოლოგიის, გარემოსა და  
ცხოვრების პირობებით განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ განსხვავე-  
ბულობათა საკითხებს, შრომისა და რელიგიის პერსპექტივებს, —  
სიყვარულის ფენომენს სხვადასხვა, სახელდობრ, მეგობრობის, ბე-  
დნიერების, ხასიათისა და ა. შ. ასპექტებში. მნიშვნელოვანი ყუ-  
რადღება ექცევა ფაბრიკებსა და ქარხნებში შრომის სისტემატური  
დანაწილების შედეგად გამრავლებული ნაწილობრივი მუშის შრო-  
მის საკითხების შესწავლას.

ფრანგული კათოლიციზმიც აქტიურად იბრძვის მშრომელთა  
მასების გათვითცნობიერების წინააღმდეგ. ჟურნ. „Economie et  
humanisme“ გარშემო დარაზმულმა კათოლიკურმა პუბლიცისტებ-  
მა შეიმუშავეს „ადამიანური ეკონომიკის“ თეორია, რომელიც ქა-  
დაგებს პოლიტიკური დემოკრატიის შემავსებელი ეკონომიკის დე-  
მოკრატიზაციის აუცილებლობას, რაც ვითომ კაპიტალისტური სა-  
ხალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარებისა და ეკონომიკის ხელ-  
მძღვანელობაში მშრომელთა „მონაწილეობის“ გზით უნდა განხორ-  
ციელდეს.

რიის, ევროპისა და მისი მოსახლეობის, საზოგადოებრივი აზრის, ბიუროკრატი-  
სა და სხვ. საკითხებს: Richesse et population (1943), La prévision économi-  
que (1944), Théorie générale de la population (1952, 1959), Europe et la  
population (1953), Opinion publique (1956), La Bureaucratie (1950)  
და სხვ.



„ადამიანური ეკონომიკის“ თეორიის, რასაც მხარს უჭერენ ფრანგი პროტესტანტები და ემხრობა ზოგიერთი მემარჯვენე „სოციალისტი“,—ნამდვილი სოციალური აზრი ისაა, რათა მიჩქმალოს კლასობრივი ანტაგონიზმი და შეანელოს კლასობრივი ბრძოლები.



იტალიაში ერთ დროს სოციოლოგია, როგორც იტყვიან, მოდაში იყო და კარგადაც ვითარდებოდა. მაგრამ 30-იანი წლებიდან, ფაშიზმის ვითარებაში, თითქმის სავსებით ჩაქრა. ამჟამად რამდენადმე ცნობილი და გავლენიანი სოციოლოგებია, მაგალითად, ლ. ბელინი, რომელიც, თავის წიგნში „საზოგადოების ზოგადი თეორიის ნარკვევები“, მექანიკურ თვალსაზრისზე დგას; უ. მიონი, თავის „სოციოლოგიის სახელმძღვანელოში“ კათოლიკურ სოციალურ იდეებს ქადაგებს. იტალიელი სტატისტიკოსები კ. ჯინი და ს. აზნარი 1948 წლიდან სცემენ ჟურ. „Rivista international de sociologia“. თავის წიგნში „ხალხთმოსახლეობის ციკლისებური აღმავლობა და დაცემა“ კ. ჯინი ცდილობს დაადგინოს ხალხთმოსახლეობის ზრდის ზოგიერთი კანონზომიერებანი და იცავს თეზისს, რომ დასავლეთის ქვეყნებში ხალხთმოსახლეობას შემცირების ტენდენცია ახასიათებს. ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნიეს სპინელის წიგნი „ევროპის სუვერენული სახელმწიფოებიდან გაერთიანებული სახელმწიფოებისაკენ“<sup>19</sup>.

იტალიაში შემდგარ IV საერთაშორისო სოციოლოგიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ რობერტო არგო, მილანის უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი; ფელიჩე ბატალია, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი, იურისტი, იტალიის ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტი; პასკუალე საროჩენო, მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ და კომერციულ მეცნიერებათა დოქტორი, მრეწველობის მოდერნიზაციის ინსტიტუტის მთ. დირექტორი და სხვ.

<sup>19</sup> Modern Sociological Theory in Continuity and Change, 1957, New-York.



იაპონიაში სოციოლოგიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. საერთოდ სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის, ისტორია აქ იწყება 1893 წლიდან, როდესაც ტოკიოს უნივერსიტეტში შეიქმნა სოციოლოგიის კათედრა; თუმცა სოციოლოგიის, როგორც სასწავლო დისციპლინის, კურსი იაპონიის უნივერსიტეტებში უფრო ადრე იყო შემოღებული.

იაპონური სოციოლოგიის თანამედროვე მდგომარეობას ჩვენ ვეცნობით უმთავრესად კუნიო ოდაკას (Kunio Odaka) ნარკვევით, რომელიც დაბეჭდილია ზემოხსენებულ ამერიკულ სოციოლოგიურ კრებულში, სადაც გამოქვეყნებულია ჟან სტეტცელის სტატია ფრანგული სოციოლოგიის შესახებ.

კუნიო ოდაკას ცნობით, 1957 წელს იაპონიის 140 უნივერსიტეტსა და კოლეჯში არსებობდა სოციოლოგიის ცალკე ფაკულტეტი, ანდა იკითხებოდა ერთი ან რამდენიმე სოციოლოგიური დისციპლინის ლექციების კურსი. ამავე ხანებში 1923 წ. დაარსებულ იაპონიის ახალ სოციოლოგიურ საზოგადოებას დაახლოებით 800 წევრი ჰყავდა, რომელთა შორის ბევრი იყო ეკონომისტი. წევრთა რაოდენობის მხრივ იაპონელ სოციოლოგთა ასოციაცია მხოლოდ აშშ სოციოლოგთა საზოგადოებას (—4500 წევრი) ჩამორჩება და, ოდაკას სიტყვებით, „ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ იაპონიას ყველაზე ძლიერი სოციოლოგიური კადრები ჰყავს მსოფლიოში, რაოდენობრივი მხრივ მაინც“.

პირველი დიდი სოციოლოგიური ნაშრომი იაპონიაში გამოიცა 1883—1884 წწ. ეს იყო ნაგაო არუგას (Nagao Aruga) სამტომიანი „სოციოლოგია“ (Shakaigaku). თავდაპირველად სოციოლოგია იაპონიაში დასავლეთიდან შეტანილ პროდუქტს წარმოადგენდა და თვით მე-20 ს. პირველ წლებშიც აქ დიდი ადგილი ეჭრა პ. სპენსერის თარგმანებს, რომლებიც ხშირად გამოიყენებოდნენ როგორც სახელმძღვანელოები, ანდა იაპონელ სოციოლოგთა მიერ მისი მიზაძვით დაწერილ წიგნებს.

მე-20 ს. დამდეგიდან ჩინეთ-იაპონიის, მერმე რუსეთ-იაპონიის ომების შემდეგ, შესაბამისად იმისა რაც უფრო ფართო მასშტაბით გამოდის იაპონია საერთაშორისო ურთიერთობათა სარბიელზე, ნაცვლად წინანდელი ლიბერალურ-დემოკრატიული შეხედულებებისა, აქ სულ უფრო მაგრად იკიდებს ფეხს კონსერვატორულ-ნაციონალისტური მიმართულება, რომლის ყველაზე გამოჩენილი მეთაუ-

რი შეიქნა ტოკიოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ტონგო ტაკებე (Tongo Takebe). იგი ცდილობდა ო. კონტის სოციალური ფილოსოფია შეეხამებინა სახელმწიფოებრივი მმართველობის კონფუციურ პოლიტიკურ იდეალებთან.

ტონგო ტაკებემ 1913 წ. დააარსა სოციოლოგიის იაპონური ინსტიტუტი და წამოიწყო ამ ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს გამოცემა. 1919 წ. ტოკიოს უნივერსიტეტში შეიქმნა სოციოლოგიის ფაკულტეტი. ამ ხანებში აქ ფართოდ ვრცელდება ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა ფსიქოლოგიური და ფენომენოლოგიური სოციოლოგიური კონცეფციები, მაგრამ განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობს მაქს ვებერის „შეფასებითი მსჯელობისგან თავისუფლების“ თვალსაზრისი.

ამჟამად იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სოციოლოგია იასუმა ტაკადა (Yasuma Takada), რომელიც სოციოლოგიის კურსს კითხულობდა კიუსიუსა და კიოტოს უნივერსიტეტებში. იგი ამასთანავე პოლიტიკური, ეკონომიკის ყველაზე გამოჩენილი სპეციალისტია იაპონიაში. ტაკადეს საქმიანობის შედეგად იაპონიაში სოციოლოგიამ, კონტისა და სპენსერისეული საზოგადოების სინთეზური ფილოსოფიის ნაცვლად მიიღწია სპეციალიზებული მეცნიერების დონეს.

მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე იაპონიაში სულ უფრო ძლიერდება გერმანული სოციოლოგიის (ალფრედ ვებერის, კარლ მანჰაიმის, მაქს შელერის და სხვ.) გავლენა, ამასთანავე მიმდინარეობს ინგლისურ-ამერიკული და ფრანგული სოციოლოგიის წარმომადგენელთა წიგნების თარგმანა და პოპულარიზაცია, ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობს მარქსისტული სოციოლოგია, მაგრამ გზახსნილი ეძლევა ჰანს ფრეიერისა და სხვ. გერმანელ და იტალიელ სოციოლოგთა თეორიებსაც, რომელთა იდეოლოგიური საწყისები, ასე თუ ისე, უკავშირდებოდნენ ნაციისტების ტოტალიტარულ იდეოლოგიას.

ამ ხანებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იაპონელი სოციოლოგი იყო ტონოკუს უნივერსიტეტის პროფესორი მასამიტი სჰიმიე (Masamichi Shimmei). სჰიმიეს აზრით, სოციოლოგია ეს არის სინთეზური მეცნიერება, რომლის ამოცანაა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (მაგალითად, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, მორალური, იდეოლოგიური და სხვ.) ურთიერთკავშირის შესწავლა, რითაც მან ხელი უნდა შეუწყოს ამ მოვლენათა დამოუკიდებლად შემსწავლელ სხვა სოციალურ მეცნიერებათა ინტეგრაციას.

ანალოგიურ შეხედულებებს ავითარებენ კანსაის უნივერსიტეტის (ქ. ისაკა) რექტორი, პროფ. უიჩი ივასაკი (Uichi Iwasaki) და ხოსეის უნივერსიტეტის (ქ. ტოკიო) პროფესორი ძუნიტისო მაცუმატო. ეს უკანასკნელი, თავის ტრილოგიასა („სოციოლოგიის საფუძვლები“) და სხვ. წიგნებში ცდილობდა შეექმნა სოციოლოგიის ყოვლისშემცველი სისტემა, რაღაც მსგავსი გერმანელი პროფესორის ანდრეას ვალთერის ე. წ. იდეალური სოციალოგიისა (Vollständige Soziologie).

30-იან წლებში იაპონიაში ფეხს იკიდებს ემპირიული („პოზიტივისტური“) სოციოლოგია, რაც თავს იჩენს განსაკუთრებით ოჯახისა და სოფლის მოსახლეობის შესწავლაში. ამ მიმდინარეობას სათავეში ედგა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი ტეიძო ტოდა (Teizo Toda), რომელიც ოჯახისა და ნათესაური კავშირების, ამ ფაქტორთა რაიონის, ეკონომიკურ მდგომარეობასა და საქმიანობასთან კორელაციის საკითხს სწავლობდა რაოდენობრივი მონაცემების მოშველებით, რისთვისაც ფართოდ იყენებდა სტატისტიკურ მეთოდს.

ტეიძო ტოდამ შექმნა სოციოლოგიის ე. წ. „ტოკიოს სკოლა“, რომელიც „კიოტოს სკოლისაგან“ განსხვავებით, დიდ გავლენას განიცდიდა რა ამერიკული სოციოლოგიისა (ტოდამ სოციოლოგიური განათლება მიიღო ჩიკაგოში), სულ უფრო უარყოფდა თეორიის მნიშვნელობას და მეტ გასაქანს აძლევდა ემპირიულ კვლევა-ძიებას.

იაპონიის სოფლის მოსახლეობისა და ოჯახის სოციოლოგიურ შესწავლას ნაშრომები მიუძღვნეს სოკაიდოს უნივერსიტეტის პროფ. ეიტარო სუძუკიმ (Eitaro Suzuki), პროფ. კიძაემონ არიგამ (Kizaemon Ariga) და სხვ., რომლებიც, როგორც საერთოდ „ტოკიოს სკოლა“, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ოჯახის შინაგანი და ფსიქოლოგიური სტრუქტურის საკითხებს.

სოფლისა და ოჯახის სოციოლოგიის პარალელურად 30-იან წლებში იაპონიაში ჩნდება დარგობრივი სოციოლოგიები, როგორც, მაგალითად, ეთნოსოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ეკონომიკური სოციოლოგია, პოლიტიკური სოციოლოგია, ქალაქის სოციოლოგია, პროფესიების სოციოლოგია, დემოგრაფიული სოციოლოგია და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო იაპონიაში სოციოლოგიის ახალი აღმავლობა. განახლდა კავშირურობის დასავლეთის, უპირატესად აშშ სოციოლოგიასთან და სულ უფრო იზრდება ყურადღება ემპირიული გამოკვლევებისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისადმი, ვითარდება კოორდინაცია მონათესავე

მეცნიერებებთან. პროფ. კუნიო ოდაკას მაინც საფუძველი აქვს აღ-  
ნიშნოს, რომ ომისშემდგომ პერიოდში მთავრობისა და თვით საზოგადოებრიობის მხრივ სოციოლოგიას არ ექცევა ჯეროვანი ყურად-  
ღება და აქ მეტი უპირატესობით სარგებლობენ სხვა სოციალური  
მეცნიერებები, განსაკუთრებით კი ეკონომიკური და სამართლებრი-  
ვი მეცნიერებანი. ამის მიზეზად ოდაკა ასახელებს იმ გარემოებას,  
რომ იაპონური სოციოლოგია ნაკლებად იყო დაკავშირებული  
ცხოვრების საჭირობოტო მოვლენებთან და უფრო მეტად ვიწრო  
ემპირიულ გამოკვლევათა ჩარჩოებში მოძრაობდა.

ომისშემდგომი პერიოდის იაპონიაში შედარებით შესამჩნევ  
წარმატებას მიაღწია მრეწველობის (ინდუსტრიის) სოციოლოგიამ.  
1947 წლიდან ტოკიოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტე-  
ტმა დაიწყო ტოკიოს მახლობელ მეტალურგიულ ქალაქ კავაგუტში  
„ადამიანურ ურთიერთობათა და მეტალურგთა შრომისადმი შეხე-  
დულებების“ შესწავლა. ამას მიჰყვნენ სხვა დიდი უნივერსიტეტე-  
ბის სოციოლოგები და ადამიანური ურთიერთობანი, მოსამსახურეთა  
მორალური დონე, წარმოების ზედამხედველთა (ათისტავეების)  
მდგომარეობა და როლი, ხელმძღვანელობის სტრუქტურა, აგრეთვე  
ფოლადსამსხმელო ქარხნების, ქვანახშირის მალაროებისა და მრეწ-  
ველობის სხვა დარგთა მუშების მათს ხელმძღვანელებთან და კავ-  
შირებთან ურთიერთობა და საერთოდ ინდუსტრიული ცხოვრების  
პრობლემები გადაიქცა სოციოლოგიური კვლევა-ძიების საგნად.

ამ რიგის გამოკვლევათაგან დიდი ყურადღების საგანი შეიქნა,  
მაგალითად, კ. ოდაკას წიგნი „მრეწველობაში ადამიანურ ურთიერ-  
ობათა მეცნიერება“ (1953 წ.). ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა  
ავტორი სოციოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესზე.

სოფლისა და ოჯახის სოციოლოგიას ომისშემდგომ პერიოდში-  
აც წამყვანი ადგილი ეჭირა იაპონიაში, სადაც 40-იანი წლების მი-  
წურულიდან და 50-იან წლებში საკმაოდ ბევრი ნაშრომი გამო-  
ქვეყნდა ქალაქის სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, სა-  
ზოგადოებრივი აზრის, აღზრდის სოციოლოგიისა და სხვ. საკითხებ-  
ზე. ამ დარგებში, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის შესასწავ-  
ლად შეიქმნა რამდენიმე ინსტიტუტი და ასოციაცია. პირველ ხა-  
ნებში მათ შორის ყველაზე დიდი იყო პრემიერ-მინისტრის კანცე-  
ლარიასთან დაარსებული ნაციონალური აზრის შემსწავლელი ინს-  
ტიტუტი, რომელიც ორმოცდაათიანი წლების შუაში ერთ კერძო  
ორგანიზაციას გადაეცა.

უკანასკნელ ათეულ წელს ფართოდ გაიდგა ფენი მეცნიერე-  
ბის მონათესავე დარგებთან თანამშრომლობის (კოორდინაციის)  
ტენდენციამ, რაც უწინარეს გამოვლინდა სოციალურ მეცნიერება-

თა ცხრა ასოციაციის მიერ, 1948 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად ერთობლივი კონფერენციების მოწყობით. ამ კონფერენციებზე თავიანთი კვლევა-ძიების შედეგებს მოახსენებენ არქეოლოგები, ანთროპოლოგები, დემოგრაფები, ეკონომისტები, იურისტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, მორალისა და რელიგიის სოციოლოგიის სპეციალისტები<sup>20</sup>.

ანალოგიური თანამშრომლობის ერთგვარი უმაღლესი მიღწევაა 1951 წლიდან მოყოლებული სოციალური დაძაბულობის გამოკვლევა, რაც ყოველწლიურად ტარდება. თავდაპირველად ასეთი გამოკვლევა ჩატარდა იუნესკოს საკვლევაძიებო გეგმით, რაც ითვალისწინებდა იაპონიის საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა სახის დაძაბულ სოციალურ ურთიერთობათა შესწავლას. პირველსავე ცდაში მონაწილეობდა სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის 80 სპეციალისტი. ისინი დაიყვნენ 10 ჯგუფად, იმის მიხედვით, თუ რა სახის დაძაბულობის შესწავლა შეადგენდა მათ საგანს.

იაპონელი სოციოლოგები იმთავითვე აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის მუშაობაში და ხშირად აღსაზრდელნი მისი პროგრამით გათვალისწინებულ გამოკვლევებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, მაგალითად, იაპონიის სოციოლოგიური საზოგადოების საკვლევაძიებო კომიტეტის მიერ იაპონიის ექვს უმსხვილეს ქალაქში ჩატარებული სოციალური სტრატეფიკაციისა და სოციალური მობილობის შერჩევითი გამოკვლევა, რისი შედეგებიც მოხსენდა სოციოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესს.

\*

\* \*

სოციოლოგთა I მსოფლიო კონგრესი მოეწყო 1950 წელს შვეიცარიაში (ციურიხში), სადაც მსჯელობა იყო უმთავრესად სოციოლოგიური კვლევა-ძიების საგანსა, პრობლემასა და მეთოდებზე.

II კონგრესი შედგა ბელგიაში (ლიეჟში) 1953 წ.; ის მიეძღვნა სხვადასხვა ქვეყანაში სოციოლოგიის ვითარების, სოციოლოგთა პროფესიული მოღვაწეობისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

მაინც მსჯელობის მთავარი პრობლემა აქ იყო „სტრატეფიკაცია და სოციალური მობილობა“. — საზოგადოების კლასობრივი

<sup>20</sup> იხ. ბურჟუაზიული სოციოლოგიის საცნობარო წიგნი Handbuch der Soziologie, 1956, Stuttgart.



სტრუქტურის შესახებ მარქსისტულ მოძღვრებას სწორედ ამ ცნებებს უპირისპირებს ამჟამად ბურჟუაზიული სოციოლოგია.

1956 წ. ჰოლანდიაში, ქ. ამსტერდამს შეკრებილმა სოციოლოგთა III კონგრესმა განიხილა პრობლემა—„სოციალური ცვლილებანი XX ს“. საბჭოთა მკითხველი იფიქრებს, რომ აქ მსჯელობის საგანი იქნებოდა ის ჭეშმარიტად მსოფლიო ისტორიული მოვლენები, რაც ოქტომბრის დიდი რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენებაში გამოიხატა. — სრულებითაც არა. ბურჟუაზიული სოციოლოგიების განხილვის საგანს შეადგენდა არა ეს ძირეული ხასიათის სოციალური ძვრები, არამედ პალიატიური ხასიათის ცვლილებები თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებისა, რასაც ისინი თვლიდნენ ისეთი პრინციპული მნიშვნელობის ახალ მოვლენებად, რომელთაც ვითომდა უნდა მოყვებოდა მთელი კაპიტალისტური წყობილების „აყვავების“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სფეროში“ გადასვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში მარქსისტულ და ბურჟუაზიულ სოციოლოგიას შორის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი სარბიელი გახდა მსოფლიო სოციოლოგიური კონგრესები, რასაც პერიოდულად, 3 წელიწადში ერთხელ იწვევს სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია.

ამ მხრივ თუ რამდენად სწრაფად ვითარდება ამ კონგრესების როლი და მნიშვნელობა, საკმარისია ვიცოდეთ თუ როგორ იზრდება კონგრესების მუშაობაში მონაწილე მეცნიერთა რაოდენობა, ქვეყნებისა და მოსმენილ მოქსენებათა რიცხოვნობა, რაც უდრიდა:

|                     | მონაწილე მეცნიერთა რაოდენობა | ქვეყნების რიცხვი | წარდგენილ მოსმენებათა რაოდენობა |
|---------------------|------------------------------|------------------|---------------------------------|
| I კონგრესზე 1950 წ. | 124                          | 30               | 56                              |
| II „ 1953 წ.        | 281                          | 34               | 156                             |
| III „ 1956 წ.       | 524                          | 54               | 170                             |
| IV „ 1959 წ.        | 980                          | 52               | 175                             |
| V „ 1962 წ.         | 1030                         | 51               | 230                             |

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კონგრესზე ჩვეულებრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, რაც შეეხება კერძოდ მეხუთე კონგრესს, რომელიც ვაშინგტონში მოეწყო, აქ მონაწილეთა საერთო რაოდენობის (1030) ნახევარზე მეტს (550 კაცს) შეადგენდა ამერიკელთა დელეგაცია. შემდეგ მოდიოდა ფრანგული (40 კაცი) და იტალიური (35) დელეგაცია. სსრ კავშირის დელეგაციაში შედიოდა 18 მეცნიერი<sup>21</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი მეექვსე კონგრესი

<sup>21</sup> Марксистская буржуазная социология сегодня, 1964, М.

რომელიც ა/წ სექტემბერს შეიკრიბება (საფრანგეთში) კიდეც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება.

## II. სოციოლოგიის საზნისათვის

ჩვენი მსჯელობის ამ პუნქტში თავისთავად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რას შეისწავლის დასავლური სოციოლოგია, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი კვლევა-ძიების ობიექტი.

სოციოლოგიის საგნის განსაზღვრაში დავა არსებითად იწყება იმ დროიდანვე, როდესაც გამოქვეყნდა პირველი განმარტება სოციოლოგიის, როგორც მეცნიერული ტერმინისა და როგორც დისციპლინის საგნის არსების შესახებ. ო. კონტიდან მოყოლებული, მრავალ ერთმანეთის საწინააღმდეგო განმარტებათა შემდეგ, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან, ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომ სოციოლოგია ესაა ერთგვარი სინთეზური მეცნიერება. მაგალითად, შარლ ლიმუზენის მიხედვით, სოციოლოგია წარმოადგენს „ყველა სოციალურ დისციპლინათა კონფედერაციას“. ფრანც ოპენჰაიმერის აზრითაც, სოციოლოგია ყოველგვარ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსალიზაციისაკენ მისწრაფებული დისციპლინაა<sup>22</sup>. ამგვარად, ანალოგიურ მიმართულებათა წარმომადგენლების შეხედულებით სოციოლოგია საერთოდ საზოგადოებათმეტყველების თავისებური ენციკლოპედიაა.

მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით XX ს. მეორე მეოთხედში, სოციოლოგიის, როგორც ერთიანი დისციპლინის უნივერსალიზაციისაკენ მიდრეკილებას თანდათანობით მრავალი მომხრე ჩამოეცალა. მდგომარეობას ის მომენტი ართულებდა, რომ სოციოლოგს როგორც ყველა სოციალურ მეცნიერებათა შემჯამებელს და განმაზოგადებელს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი ემპირიული (კონკრეტული) კვლევა-ძიების ობიექტის დაჩემება (გამოყოფა) უძნელდებოდა და, ამგვარად, იგი თითქოსდა მარტოოდენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მეცნიერებათა მიღწევების (დასკვნების) სისტემატიზატორის როლში უნდა გამოსულიყო.

ემპირიზმით გატაცების ტენდენცია მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო „უშინაარსოდ“ და „არამიმზიდველად“ ცხადდებოდა, და, ამა თუ იმ ზომით, ასეთ ხასიათს ღებულობდა კიდევაც კაცობრიობის ისტორიული განვითარების ზოგადი სქემების შემდგენელთა ნაშრომები.

<sup>22</sup> F. Oppenheimer, System der Soziologie, 1922, I, SS., 134—135.

მაგრამ სოციოლოგიას, როგორც საზოგადოებათმეტყველებას არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული სოციალური მოვლენების შესწავლით; მან ამ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირების გამოვლინებისა და ახსნის და, ამდენადვე, გარკვეული გაგებით, მომავლის ჭკერტის უნარიანობით უნდა დაიძვედროს ნამდვილი მეცნიერების სახელი.

ამ საფესურზე უკვე უფრო აუცილებელი ხდება საჭიროება, რათა სოციოლოგია დაიშალოს ზოგად და კონკრეტულ დისციპლინებად, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეისწავლონ საზოგადოებრივი ყოფიერების გამოვლინების ფრიად მრავალგვარი როგორც ვიწრო, ემპირიული მოვლენები, ქცევები, ასევე უაღრესად საყოველთაო ხასიათის პრობლემები, რომელთა საფუძველზე ივარაუდება უნივერსალური კანონების შემუშავების შესაძლებლობაც<sup>23</sup>.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ის, შეიძლება ითქვას, უკვე სავსებით გამოეცო ფილოსოფიას და ჩამოყალიბდა როგორც მთლიანად დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც აქვს თავისი საგანი და ამოცანები.

<sup>23</sup> Von Wiese, Allgemeine Soziologie, 1924, München; П. Сорокин, Учебник социологии, 1920, ч. I.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი პეტრიმ სოროკინი (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 213—225) მერმე გახდა გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი. იგი ავტორია მრავალი ნაშრომისა, რომელთაგან ზოგიერთი თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. პ. სოროკინის შეხედულებანი გადმოცემულია მის მთავარ ოპტომიან ნაშრომში — „სოციალური და კულტურული დინამიკა“ (Social and Cultural Dynamics, 1937—1941 წწ.). ამ ნაშრომში პარავარდის უნივერსიტეტის პროფესორი პ. სოროკინი ყველაზე სახელმძღვანელო ბურჟუაზიულ სოციოლოგთა შორის მოაქცია. პ. სოროკინის ფილოსოფიის ძირითადი აზრი საზოგადოების ციკლასებური განვითარების იდეიდან მომდინარეობს.

პ. სოროკინი ქადაგებს საზოგადოებრივი განვითარების ე. წ. „ფლუქტუაციის“ (რყევადობის) თეორიას, რაც უარყოფს ისტორიაში ყოველგვარ უნივერსალურ კანონზომიერებას და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ფაქტობრივად თვლის ფრიად მრავალგვარ მოვლენათა გროვისა და ურთიერთგავლენის ძალას. სოციოლოგიაში სოროკინი არსებითად მ. ვებერის მიმდევარია და თავგამოდებით ებრძვის პოზიტივიზმსა და თვით მატერიალიზმს. გნოსეოლოგიაში იგი იხრება სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებისაკენ. სოციოლოგიურ კვლევა-ძიებაში რაოდენობრივ მეთოდებს ანიველირებს ინტუიციურთან და საერთოდ გამოდის, როგორც „შეურიგებელი მტერი მარქსიზმისა, რაც ამასთანავე მას დაჰყავს „ეკონომიკური მატერიალიზმის“ დონემდე.

1956 წ. გამოცემული მისი წიგნი — „თანამედროვე სოციოლოგიისა და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებათა პრეტენზიები და სისუსტენი“ (P. Sorokin, Fads and Foibles in Modern Sociology and Related Sciences,

იმის შესახებ, თუ როგორ წარმოდგებათ ბურჟუაზიულ სოციოლოგებს თავიანთი კვლევა-ძიების საგანი, ფრიად საინტერესოა ამერიკელი სოციოლოგის პ. ფერფის ნაშრომი<sup>24</sup>. მასში წარმოდგენილია მე-20 ს. პირველ ნახევარში რამდენიმე ათეული ავტორის მიერ მოცემული სოციოლოგიის საგნის განმარტებათა ურთიერთშედარება და ერთგვარი ანალიზი. ხსენებულ ავტორთა უმრავლესობას სოციოლოგიის საგნად მიაჩნია საზოგადოება, სოციალური ჯგუფი. ამერიკელი სოციოლოგები ლ. რობინსონი და ე. ქრისტოფი წერენ: „სოციოლოგია მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ჯგუფებს, ჯგუფობრივ პროცესებს და ადამიანთა არსებათ, როგორც ჯგუფის წევრებს — ჯგუფური კეთილდღეობის გავრცელების მიზნით“.

სოციოლოგთა მეორე ბანაკის აზრით, ამ მეცნიერების საგანია ადამიანთა ყოფაქცევა გარკვეულ კოლექტიურ სიტუაციაში. პროფ. ლ. ბერნარდი აცხადებს: „ზოგადი სოციოლოგია მიისწრაფვის თავი მოუყაროს ყველა მოპოვებულ ცოდნას სოციალურ სიტუაციებში ადამიანთა ყოფაქცევის შესახებ და დაიყვანოს ის საერთო პრინციპებზე“.

არიან ბურჟუაზიული სოციოლოგები, რომლებსაც თავიანთი კვლევის საგნად მიაჩნიათ „სოციალური ურთიერთობანი“, „სოციალური მოვლენები“, „სოციალური ფაქტები“. ზოგიერთები კიდევ, ნაცვლად იმისა, რომ დაასახელონ სოციოლოგიის საგანი, აცხადებენ, რომ ესაა „სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა და ორგანიზატორთა, ე. ი. სოციალურ ინჟენერთა მეცნიერება“.

ამგვარად, თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგთა ერთი ნაწილისათვის ამ მეცნიერული დისციპლინის საგანი ფრიად ზოგადი ხასიათისაა. ცნობილია, რომ მაგალითად, „სოციალურ მოვლენებს“ მრავალი სხვა მეცნიერებაც სწავლობს. ალბათ, ამიტომ ზოგიერთი სოციოლოგი ცდილობს უფრო დააზუსტოს ეს განმარტება და სოციოლოგიის საგნად დასახოს ადამიანის მოქმედების ზოგადი

1956, Chicago) დიდ მოვლენად იქნა აღიარებული ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. აქ პ. სოროკინი აკრიტიკებს თანამედროვე პოზიტივისტური სოციოლოგიის ემპირიზმსა და აღწერილობითობას, სოციალურ მოვლენათა პსევდომათემატიკურ ინტერპრეტაციებს; — ებრძვის საერთოდ ზუსტ მეცნიერებათა (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) ცნებების საზოგადოებათმეტყველებაში გადატანის ცდებს და ამტკიცებს, რომ მეცნიერების მეთოდად უნდა გადაიქცეს ლოგიკურ-მათემატიკურ და ემპირიულ მეთოდებთან შეთავსებული ინტუიცია. პ. სოროკინის თუნდაც ეს უკანასკნელი წიგნი, ნათელი ილუსტრაციაა იმისა თუ, რამდენად გაიოლებულია დაქანება მისტიციზმისაკენ ბურჟუაზიული სოციოლოგიისათვის, რომელმაც ზურგი შეაქცია პოზიტივიზმს და ამასთანავე შეურიგებელი ომი გამოუცხადა დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდს.

<sup>24</sup> P. Furfey, The Scope and Method of Sociology, New-York, 1953.

ხასიათისა და კანონების შესწავლა. ამ მხრივ აღსანიშნავია პ. სო-  
როკინის აზრი, რომ სოციოლოგია არის „მეცნიერება ყველაზე ზო-  
გად ხასიათებზე, რაც აქვს საზოგადოებრივი მდგომარეობის ყველა  
კლასს და კორელაციებზე, რაც ამ კლასთა შორის არსებობს“.

ამ მრავალგვარ, ზოგჯერ სავსებით უთავბოლო, განმარტებათა  
მიმოხილვის შემდეგ პ. ფერფი ცდილობს წამოაყენოს საკუთარი აზ-  
რი: „სოციოლოგია მეცნიერებაა, რომელიც მიისწრაფვის ყველაზე  
უფრო ფართო განზოგადებისაკენ, რაც გამოიყენება საზოგადოე-  
ბის მიმართ მის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ასპექტებში“.

ბურჟუაზიული სოციოლოგია მართლაც დიდ დროს ანდომებს  
საზოგადოების სტრუქტურული ერთიანობის პრობლემის შესწავ-  
ლას. დღევანდელი ბურჟუაზიული სოციოლოგია უფრო მეტად და-  
ინტერესებულია არა განვითარების პროცესით, არამედ არსებული  
სტრუქტურის უცვლელობით. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა კ. ცი-  
მერმანის მართებული შენიშვნა: „კანტი და ჰეგელი, სურდათ რა  
წესრიგის გაგება, უწინარეს ყოვლისა სწავლობდნენ ცვლილებას.  
ახლა, ქვიშაში ვფარავთ რა საკუთარ თავს, ჩვენ ვცდილობთ წინ-  
აღვუდგეთ ცვლილების შესწავლას“.

ჩვენი მკითხველისთვის, ცხადია, რომ სოციოლოგიურ მოვლე-  
ნათა ასეთ ასპექტში განხილვა ნაკარნახევია იმპერიალისტური  
ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებით.

მაგრამ არამცთუ კვლევა-ძიების საგნის განმარტებათა ურთი-  
ერთშეუთანხმებლობა „აბნელებს“ ბურჟუაზიული სოციოლოგიის  
ჰორიზონტს, არამედ ხშირად თვით სახელმძღვანელოებშიაც  
კი ძლიერ ბლომად ხმარობენ ისეთ ცნებებსა და ტერმინებს, რომ-  
ლებიც მარტოოდენ ამა თუ იმ ავტორის „პირადი საკუთრების“  
სახით არსებობს და სხვა ავტორებისთვის არამცთუ მიუღებელი,  
საერთოდაც გაუგებარია.

1932 წელს ერთმა ამერიკელმა სოციოლოგმა გამოაქვეყნა ამ  
მხრივ თავისი დაკვირვების შედეგები, სადაც ნაჩვენებია, რომ სო-  
ციოლოგიის რვა გავრცელებულ სახელმძღვანელოში არ აღმოჩნდა  
თითქმის არც ერთი ცნება, რომელიც ერთნაირად ესმოდეს ყველა  
ავტორს; ყველა მთავარ ცნებათა 55 პროცენტი აღმოჩნდა სავსებით  
„ინდივიდუალური“, ე. ი. ისეთი რომელთაც მხოლოდ მათი შემქმ-  
ნელი ავტორები იყენებენ.

\*

\* \*

ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთი უახლესი მიმართუ-  
ლებაა ე. წ. „სტრუქტურული სოციოლოგია“, რომლის მთავარი



წარმომადგენლები არიან ტ. პარსონსი<sup>25</sup>, რ. მერტონი, ჰ. ბეკერი და სხვ. ისინი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყოველგვარ ფორმას განიხილავენ, როგორც საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ მოვლენას, და ამტკიცებენ, რომ სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი საუკეთესო გზაა სოციოლოგიური კვლევისთვის.

25 ტ. პარსონსი (T. Parsons), (დაიბ. 1902 წ. ლონდონში) თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის წამყვანი თეორეტიკოსია. 1944 წლიდან ამერიკის უძლიერესი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრის — ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია, 1946 წ. აქვე ინიშნება სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 1949 წ. იყო ამერიკის სოციოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი.

ტალკოტ პარსონსი ამერიკის თეორიული სოციოლოგიის ერთერთი ძირითადი მიმართულების, ე. წ. „სოციალური მოქმედების თეორიის“ მეთაური და დამფუძნებელთაგანია. სოციალურ ურთიერთობათაგან „სოციალურ მოქმედებას“ პარსონსი გამოყოფს როგორც ზოგად, უნივერსალურ მომენტს, რაც, მისი გაგებით, მოიცავს საზოგადოდ სოციალურობის ყველა ძირითად პუნქტსა და ხასიათს. „სოციალური მოქმედება“ მას ესმის როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელსაც ახასიათებს სტიმულის, მიზნის, საშუალების, პირობის (ვითარების) ცნებათა სახით.

პროფ. პარსონსის მთავარი ნაშრომებია: The Structure of Social Action (1937 წ.), Essays in Sociological Theory Pure and Applied (1949 წ.), Social System (1952 წ.), 1956 წელს სმელსერთან (Smelser) ერთად მან დაბეჭდა ფრიად გახმაურებული წიგნი Economy and Society.

სოციალური პროფესიის მამოძრავებელ ძალებად პარსონსს მიაჩნია ადამიანთა შეგნება, მათი წარმოდგენა ურთიერთისა და გარემოწირის შესახებ. თავის პირველ დიდ ნაშრომში, — „სოციალური მოქმედების სტრუქტურა“, — მან გააღმჭრა ადამიანთა შეგნებულ მოქმედების უტილიტარისტული და ინდივიდუალისტური გაგების წინააღმდეგ. მოქმედებათა სტიმულებსა და მის ორიენტაციაში მთავარ მომენტად ტ. პარსონსს მიაჩნია კოლექტიური ნორმებისა და სანქციათაგან ობიექტურად წარმოქმნილი ინდივიდუალური შემეცნების დამოკიდებულება.

ადამიანის სოციალური ყოფაქცევის საკითხთა შესწავლაში პარსონსა, ცხადია, ვერ გასცილდა საერთოდ თანამედროვე ამერიკული ბურჟუაზიული სოციოლოგიის ძირითად საწყისებს. ყოფაქცევის თეორიას ის აიგივებს სოციოლოგიასთან. წიგნში — „სოციალური სისტემა“ — სოციოლოგიური „ანალიზის სფეროში“ მან შეიტანა ყველა საზოგადოებრივი ფაქტი, რაც კი დაკავშირებულია სინამდვილისადმი ადამიანის შეგნებულ დამოკიდებულებასთან. ცენტრალური ფუნქციური ერთეულის მნიშვნელობა პარსონსის სისტემაში ენიჭება „როლს“ — უფლება-მოვალეობათა იმ ჯამს, რომელთაც, მოცემული კოლექტივის წარმოდგენით, უნდა ფლობდეს ინდივიდუმი, რომელსაც რაიმე ადგილი უპირავს მოცემული კოლექტივის სოციალურ ურთიერთობათა ბადეში. ამასთანავე იგი ხშირად მიმართავს სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ ცნებებს, როგორიცაა „კარიერა“, „იდენტიფიკაცია“, „ექსპექტაცია“ და სხვ.

ცხადია, სოციალურობის ასეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გაგებას ტ. პარსონსი მიჰყავს საზოგადოებრივ პროცესთა და კანონზომიერებათა არამეცნიე-

რ. მერტონი წერს, რომ ფუნქციონალური ანალიზი ემყარება სამ ურთიერთკავშირში მყოფ პოსტულატს: 1. სტანდარტიზებული სოციალური მოქმედებანი ანუ კულტურის ელემენტები ფუნქციონალურია მთელი სოციალური ანუ კულტურული სისტემისათვის; 2. ყველა ასეთი კულტურული და სოციალური მომენტი ასრულებს სოციოლოგიურ ფუნქციებს, და 3. მაშასადამე, ეს მომენტები აუცილებელია.

არსებითად აქ ის აზრია გატარებული, რომ საზოგადოების ყველა ელემენტი კავშირშია მთელთან და ერთმანეთთან. ახლა საკითხავია, თუ რაში გამოიხატება ეს კავშირები. მაგრამ, მაგარი ისაა, რომ ამ კითხვაზე პასუხს არც კი იძლევიან სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორიის წარმომადგენლები.

რ. მერტონი<sup>26</sup> თითქოს გრძნობს ამ უზერხულობას და ამისთვის ასხვავებს ფუნქციისა და დისფუნქციის ცნებას. ფუნქციები, ეს ისეთი დასაანახი შედეგებია, რომლებიც ხელს უწყობენ მოცემული სისტემის დაცვას ან შეგუებას, ხოლო დისფუნქციები — ეს შედეგებია, რომლებიც ამცირებენ სისტემის შეგუებულობას ანუ მოწესრიგებულობას.

რულ გაგებად. საზოგადოებაში კონფლიქტების მიზეზად მას მიაჩნია კოლექტიურ ნორმათაგან ადამიანთა გადახრა, ხოლო სოციალური სტრატეგიკის კრიტერიუმად ის თვლის ადამიანთა უმრავლესობის წარმოდგენას საზოგადოების ამა თუ იმ წევრის სოციალური მდგომარეობის შესახებ და სხვ.

26 რ. მერტონი (R. Merton), (დაიბ. 1910). ამჟამად კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია. 1957 წ. იყო ამერიკის სოციოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი. მისი ნაშრომები უმთავრესად ეხება სოციოლოგიის თეორიის საკითხებს. ითვლება სოციოლოგიაში ფუნქციონალიზმის უძლიერეს წარმომადგენლად. თავის მთავარ ნაშრომში „სოციალური თეორია და სოციალური სტრუქტურა“ (1949 წ.), იგი ასხვავებს „ფარულ“ და „აშკარა“ ფუნქციებს, რათა ზღვარი გაავლოს მოქმედებისადმი შეგნებულ მისწრაფებას (მიზანს) და მის ობიექტურ შედეგს შორის. ის ცდილობს დაადგინოს სოციალურ ფაქტორთა შორის ურთიერთ ფუნქციონალური დამოკიდებულება და, ამ მხრივ, აკრიტიკებს თავისი მასწავლებლის ტ. პარსონსის „ფუნქციონალურ წინამძღვართა თეორიას“, როგორც „ფაქტორთა თეორიის“ ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ სქემას.

რ. მერტონმა წამოაყენა „დისფუნქციისა“ და „ფუნქციონალური ალტერნატივების“ ცნება, რამაც, მისი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებათა ყოველმხრივ გაგებას. იგი თუმცა ცდილობს კონკრეტულ მოვლენათა კვლევაში გამოიყენოს თეორიული თვალსაზრისი, მაგრამ მისივე სიტყვებით სოციოლოგია ჭერჭეროვით მაინც თავისი განვითარების დაბალ საფეხურზე დგას და, ამგვარად, ის წარმოგვიდგება როგორც „საშუალო დონის თეორია“.

საერთოდ რ. მერტონის მეთოდოლოგია, ცხადია, ფორმალური ზნაობისაა და განმტკიცებული ბურჟუაზიული თვალსაზრისის მხოლოდმა ერთგვარ „შეფერადებას“ თუ წარმოადგენს.

მაინც, ამგვარ აბსტრაქტულ მსჯელობას, მათ შორის პ. ბეკე-  
რის<sup>27</sup> თეორიულ დებულებებს, ვერავითარი გარკვეულობა ვერ შე-  
აქვს საკითხში. საქმე ისაა, რომ ფუნქციონურობა ერთსადაიმავე  
დროს შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. მაგალითად,  
უმუშევართა სარეზერვო არმია აუცილებელი პირობაა კაპიტალის-  
ტურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მა-  
გრამ იგივე მოვლენა იმავდროულად მეტყველებს კაპიტალიზმის მო-  
უწყსარიგებლობის შესახებაც.

მსგავს გაუგებრობათა და აზრების შეუთანხმებლობათა გამო  
თვით ტ. პარსონსის მოწაფე კ. დევისი ფიქრობს უმჯობესი იქნება  
უარი თქვან საერთოდ ფუნქციონალიზმის ცნებაზე, ხოლო მისი  
ამოსავალი პოსტულატები ისე ჩამოაყალიბონ, რათა ისინი ნაკლე-  
ბად შეიცავდნენ ლოგიკურ შეუთანხმებლობასა და ადვილად იტან-  
დნენ იდეოლოგიურ თავდასხმებს.

„სტრუქტურული სოციოლოგიის“ ცდა გამოყოს საზოგადოე-  
ბის „სოციალური“ სტრუქტურა, რომელიც, როგორც ფსიქოლოგი-  
ური მოვლენა განსხვავებული იქნება ეკონომიკური და პოლიტიკუ-  
რი სტრუქტურისაგან, ცხადია, მოვლენების იდეალისტური გაგების  
უნაყოფო შედეგია მხოლოდ.

შემდგომი გზა კიდევ უფრო რთული და დახლართულია. ინ-  
დივიდუალურსა და საზოგადოებრივს, კონკრეტულსა და ზოგადს,  
ემპირიულსა და თეორიულს შორის ორიენტაციის აღება, ზომიერე-  
ბის დაცვა მით უფრო მიუღწეველია, რაც უფრო იზრდება და  
მწვავედება კონტრასტები საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

დასავლური, ბურჟუაზიული სოციოლოგია მძიმე გასაჭირში  
ვარდება. ოქტომბრის დიდი რევოლუცია, სოციალისტური საზოგა-  
დოების მშენებლობის მსოფლიო ისტორიული წარმატებანი, მარქ-  
სიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფი სულ უფრო და უფრო აძნე-  
ლებს კაპიტალისტური წარმოების წესის შინაგან წინააღმდეგობა-  
თა მიჩქმალვის ამოცანას, — რაც, განსაკუთრებით ამ დროიდან  
აღრინდელზე უფრო მეტად, ძირითადია და უმთავრესი ბურჟუაზი-  
ული სოციოლოგიის ამოცანათა შორის. ასეთ ვითარებაში დასავ-  
ლურ სოციოლოგიას თავისი ინტერესები უკარნახებს უპირატესად  
ემპირიკაში ეძიოს სარბიელი მოღვაწეობისა. იწყება თანამედროვე

27 პ. ბეკერი (დაიბ. 1899 წ.) 1951 წლიდან მეთაურობს ანთროპოლო-  
გიისა და სოციოლოგიის განყოფილებას ვისკონსინის უნივერსიტეტში. დიდი  
გავლენა განიცადა ისეთი ბურჟუაზიული სოციოლოგებისა, როგორიც იყვნენ  
მ. ვებერი, ე. დიურკჰეიმი და სხვ. მისი ნაშრომები, მაგალითად, „თანამედროვე  
სოციალური თეორია“ (1940 წ.) და სხვ. უმთავრესად შეეხება სოციოლოგიის  
ზოგად საკითხებს.

ამერიკულ და საერთოდ პოზიტივისტურ სოციოლოგიაში ემპირი-  
ზმით გატაცება და, მაშასადამე, „დავიწყება და მიტოვება დიდ-  
ლიაპაზონის თეორიული შრომების წერისა“, საერთოდ თეორიულ  
განზოგადებათაგან თავის შეკავების, თავისებური „თეორიული მომ-  
ჭირნეობის“ თუ „თეორიული ლაგამიანობის“ ხანა.

მაგრამ ვიწრო, კონკრეტულ, არაარსებით ხასიათის სოცია-  
ლურ მოვლენათა აღწერისადმი მიდრეკილება არც ისე ახალია  
ბურჟუაზიული სოციოლოგიისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ე. წ.  
მიკროსოციოლოგიას აშშ დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ გასული საუ-  
კუნის უკანასკნელ მეათედში. მან შემდგომი დასაბუთება ჰპოვა  
საფრანგეთშიც, სადაც მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში  
ე. გურვიჩი შეეცადა მიკროსოციოლოგიის უპირატესო-  
ბანი დაემტკიცებინა პოზიტივისტური მოტივებით.

ამერიკული მიკროსოციოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩე-  
ნილი წარმომადგენელი ჯ. მორენო, აცხადებს, რომ იგი სწორედ  
იმით, რომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დაცვის  
იდეას ქადაგებს, თავის თავს რევოლუციონერად თვლის<sup>28</sup>. ბურჟუ-  
აზიული, რეაქციული, იდეალისტური სოციოლოგები, როგორიც  
არიან, მაგალითად, ჯ. სანტაიანა, ე. ბოგარდუსი, ს. ჰუკი, ლ. ბერ-  
ნარდი და სხვ. ამტკიცებენ, რომ ისინი არიან მატერიალისტები,  
ლიბერალები, ხოლო ზოგიერთები მარქსისტობასაც კი ჩემულობ-  
ბენ. მაგრამ პროგრესული საზოგადოება მათ შესახებ მსჯელობს  
ცხადია, არა იმის მიხედვით, თუ როგორ ახასიათებენ ისინი თა-  
ვიანთ თავს, არამედ შესაბამისად იმისა, თუ როგორ აფასებენ და  
სწყვეტენ ისინი სოციოლოგიურ მოვლენებსა და საკითხებს.

მათი პრეტენზიები, რომ თითქოს ობიექტიური, უპარტიო,  
მიუკერძოებელი მეცნიერები არიან, სინამდვილეში მხოლოდ იმის-  
თვისაა მოგონილი, რათა მიჩქმალონ თანამედროვე ბურჟუაზიული  
საზოგადოების შინაგანი, კლასობრივი წინააღმდეგობანი, უშუალო-  
მწარმოებელთა ძირითადი მასების ექსპლოატაცია; — დაუმალონ  
თავიანთ მკითხველებს, რომ ნამდვილად არიან კაპიტალისტური  
მონოპოლიების, საერთოდ ბურჟუაზიული საზოგადოების დაქირა-  
ვებული მეხოტბენი.

ჯ. მორენო ამტკიცებს, რომ მიკროსოციოლოგია სულ ახალი  
და დიდმნიშვნელოვანი საფეხურია სოციოლოგიის განვითარებაში.  
სწორედ ისეთი, როგორიცაა ატომის აღმოჩენა ფიზიკაში და მიკ-  
როორგანიზმებისა ბიოლოგიაში. მიკროსოციოლოგია (სოციომეტ-  
რია), მათი აზრით, ესაა ექსპერიმენტებზე დაფუძნებული მეცნიე-

<sup>28</sup> Дж. Морено, Социометрия, 1958, М.

რება. ისინი ქადაგებენ, რომ კანტისეული აპრიორიზმი შეიცვალა აპოსტერიორიზმით, ე. ი. ზოგადი სოციოლოგიური პრობლემებიდან გადავიდნენ მიკროპრობლემათა, მარტივ სოციალურ სისტემათა შესწავლაზე.

ამგვარად, ასკენის ჯ. მორენო „მილიონობით ადამიანებისგან შემდგარ სოციალურ კლასთა ანალიზის ნაცვლად, ჩვენ ვაკეთებთ არა დიდი ჯგუფების დაწვრილებით ანალიზს. ესაა სოციალური სისტემიდან მის ატომარულ სტრუქტურისაკენ მობრუნება“<sup>29</sup>. რათა გააბუნდოვანონ და უკეთ შენიღბონ თავიანთი მიმართულების იდეალისტური ხასიათი, მიკროსოციოლოგებმა უხვად შემოიტანეს ბუნებათმეცნიერების ტერმინები. ასეთია, მაგალითად, უკნიესი სოციალური ერთეულის აღმნიშვნელი „სოციალური ატომი“, რაც „შეიცავს ინდივიდუმს და იმ ადამიანებს, ახლობლებს თუ შორეულთ. რომლებთანაც ის ემოციურად დაკავშირებულია ამ მომენტში“<sup>30</sup>.

ადამიანთა შორის ფსიქიურ, ემოციურ ურთიერთობას, რაც უშუალოდ არ მქდავდება და შეიძლება დაიფაროს, შეინიღბოს სოციომეტრისტები უწოდებენ „მიკროსკოპულს“, ხოლო მიკრო-ურთიერთობათა საფუძვლად მიიჩნევენ მიდრეკილებასა და განრიდებას. მათი აზრით, სოციალური ვინაობის საწყისები აშენებულია მიკროსტრუქტურაზე, რაც განსაზღვრავს ადამიანთა პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ურთიერთობათ.

გამოდის რომ, ადამიანთა ნივთიერ ურთიერთობათ განსაზღვრავს მათი ფსიქიური, ემოციური მდგომარეობა; ამგვარად, ცხადია, რომ საქმე გვაქვს ტიპიურ იდეალისტურ დებულებასთან, რომ არა ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, არამედ პირიქით.

მიკროსოციოლოგია, მართალია, არ უარყოფს საზოგადოებაში წინააღმდეგობათა არსებობას, მაგრამ არ იფიქროთ, აქ ლაპარაკი იყოს ანტაგონისტურ, კლასობრივ წინააღმდეგობათა შესახებ. არა. ის სწავლობს, მაგალითად, ფაბრიკის მიკროსტრუქტურას, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ურთიერთ სიმპათიებსა და ანტიპათიებს, მუშათა სამუშაო ადგილებზე დანაწილებას და ოსტატისა თუ დირექტორისადმი მათს დამოკიდებულებას. შემდეგ ამის საფუძველზე სოციომეტრისტი იძლევა რეკომენდაციებს, რათა სამუშაო ადგილი ერთმანეთის გვერდით (მახლობლად) ჰქონდეთ ურთიერთისადმი სიმპათიურად განწყობილ ადამიანებს. თითქმის ამით წყდება

<sup>29</sup> Дж. Морено, Социометрия, стр. 60.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 107.



ყოველგვარი წინააღმდეგობა და მყარდება პარმონიული ურთი-  
ერთობა კაპიტალისტურ საწარმოში.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის უკვე გასაგებია ამგვარი  
მიკროსოციოლოგიის საბოლოო მიზანი — ბრძოლა მარქსიზმის  
წინააღმდეგ. სწორედ ამისთვის დასჭირდა ჯ. მორენოს მტკიცე-  
ბა იმისა, რომ თითქოს „ზედმეტი ღირებულების შექმნის მიზეზი“  
ადამიანთა საზოგადოების თვით საფუძვლებშია მოცემული და  
არა კაპიტალისტურ სისტემაში“.

მართალია, ეს ყოველად უსაფუძვლო განცხადებაა, მაგრამ  
ბურჟუაზიულ მიკროსოციოლოგიას არც შეუძლია რაიმე ფაქტური  
არგუმენტებით ამის დამტკიცება. მაინც მას სხვა გზა არა აქვს. საქ-  
მე ისაა, რომ, როგორც ჯ. მორენო აცხადებს, ეს მიკროსოციო-  
ლოგია მოწოდებულია იბრძოდეს კომუნისტური იდეების წინააღ-  
მდეგ: „აუცილებელია და საჭიროა ზღვარი დაედვას კომუნიზმის  
იდეების გავრცელებას... კომუნიზმის შეჩერება არ შეიძლება მარ-  
ტოლდენ ფიზიკური ზომებით. ამ იდეებს უნდა ვებრძოლოთ და  
მათი დამარცხება შეიძლება მხოლოდ იდეათა ჭიდილში“<sup>31</sup>.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი პ. ტაიტესი წერს, რომ  
ჩვენს დროში „მიმდინარეობს დიდი ბრძოლა ადამიანთა აზრებისა-  
თვის. ამ ბრძოლის ბედს არ განსაზღვრავს სამხედრო გამარჯვებე-  
ბი და საომარი იარაღები. შეგვიძლია თუ არა ჩვენ მომავალ ათ-  
წლედში მოვიგოთ ბრძოლა ცივილიზაციისათვის? შეგვიძლია თუ  
არა გავიმარჯვოთ იდეათა შეჯახებაში; ადამიანთა აზრებისა და შე-  
ხედულებებისათვის ბრძოლაში?“

აი რისთვის, თუმცა ამაოდ, იღწვიან ბურჟუაზიული სოციოლო-  
გები. ახლა აქ შეიძლება ისიც ითქვას, რომ თვით ბურჟუაზიულ  
მეცნიერთა მცირე, მაგრამ პროგრესულ ნაწილს საკმაოდ კარ-  
გად ხედავს, და ეს ხშირად გამოსჰყვივის მათი ნაწერებიდან, რომ  
ბურჟუაზიას სინამდვილეში არ გააჩნია ისეთი იდეები, რომელთა  
გარშემო შეიძლებოდეს მთელი მოსახლეობის რამდენადმე მნიშე-  
ნელოვანი მასების დარაზმვა და ამოძრავება. ეს იდეოლოგია მარ-  
ქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბოლოოდ განწირულია.

მეორე მსოფლიო ომის წლებში რეაქციული ბურჟუაზიული სო-  
ციოლოგები აშკარად გამოდიან იმპერიალისტური, ფაშისტური  
მთავრობების აგრესიული, კაცთმოძულე მისწრაფებათა „თეორე-  
ტიკოსების“ როლში. ისინი რასობრივი „თეორიების“ პოზიციე-  
ბიდან ქადაგებენ ცალკე ხალხთა „არასრულფასოვნობის“ იდეას.  
ზოგიერთები (პრაგმატისტები) კიდევ უარყოფენ საერთოდ საზოგა-

<sup>31</sup> Дж. Морено, იქვე, გვ. 31.

დღებრივი განვითარების კანონზომიერებათა არსებობას. ამ „სიტუაციათა თეორიის“ თანახმად ადამიანთა ქცევას (მოქმედებას) განსაზღვრავს არა სამშობლოს (ქვეყნის) სამსახურისათვის ზრუნვა, არამედ პირადი წარმატებისა თუ გამდიდრების ინტერესით ნაკარ-ნახევი მისწრაფება — შეეგუოს ცვალებად საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ნეოპოზიტივისტური მიმართულების სოციოლოგები ფიქრობენ, რომ მთავარია სოციალურ მოვლენათა აღწერა, რამდენადაც ობიექტური კანონები მხოლოდღა „არარეალური წარმოდგენების ნაყოფია“, რეალურია მხოლოდ ინდივიდუმი (პიროვნება) და მისი ინტერესები.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის საგნის უახლესი განსაზღვრების მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ამერიკელ სოციოლოგთა სტატიების კრებული „სოციოლოგიის პრინციპთა ახალი ნარკვევები“<sup>32</sup>.

ამ კრებულის შესავალში ს. სმიტი ვრცლად განმარტავს სოციოლოგიის საგანს. „სოციოლოგია... იხილავს ადამიანთა ჯგუფობრივ ყოფაქცევას, ადამიანთა ურთიერთობათ და ამ ურთიერთობებში შემავალ და მათგან გამომდინარე ფაქტორებს. ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ინდივიდუმი სხვა ინდივიდუმებთან კავშირში, ყველგან, სადაც არ უნდა ხდებოდეს უშუალო თუ არაპირდაპირი კონტაქტები, ასეთი ინდივიდუმი წარმოადგენს ურთიერთმოქმედ წევრს სოციალური წყობილებისა. ელემენტები, პრინციპები და შედეგები ყოფაქცევისა, რაც წინ უსწრებენ ან გამომდინარეობენ ინდივიდუმათა თუ ჯგუფთა ამ ურთიერთმოქმედებიდან, შეადგენენ სოციალოგიის კვლევის მთავარ საგანს“.

სოციოლოგია სწავლობს ისტორიას არსებული ვითარების გენეზისის გაშუქებისათვის. „საერთო გარშემომცველი წრე, ისევე როგორც ადამიანის ბუნებაც განიხილება იმდენხად რამდენადაც ის გავლენას ახდენს მათი ჯგუფობრივი ცხოვრების პროგრესზე და გამოცდილებაზე, რასაც იზიარებენ ადამიანები. ჯგუფობრივი ცხოვრების დროს ვითარდებიან მეტ-ნაკლები რელიეფობით გამოკვეთილი ფორმები, გზები, პრინციპები, მექანიზმები, პრობლემები და ჯგუფობრივი ხასიათები. ყველა ეს ფაქტორები მოქმედებენ ადამიანთა ურთიერთობაზე და შეადგენენ სოციოლოგიური ანალიზის ძირითად ასპექტებს“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე — „სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ესაა ამ ქვეყნად მომზდარი ფაქტების სისტემატური შესწავლა. სოციოლოგია ავლენს მრავალ ფაქტს, რომლებიც მი-

<sup>32</sup> New Outline of Principles of Sociology, 1957, ნიუ-ორკი.

ეკუთვნებიან ადამიანებს და მათს გარშემომცველ სოციალურ წრეს. აქ ისახება მრავალი სიტუაციისათვის საერთო პრობლემები, ხდება გაერთიანება, ფიქსაცია, კლასიფიკაცია და ორგანიზაცია მონაცემებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ პრობლემებს. დაკვირვების საგნად აღებულ მოვლენათა ახსნის ძიებით ხდება თეორიების შემუშავება. დაკვირვება, გამოცდილება, ანალიზი და ექსპერიმენტები გამოიყენებიან თეორიის სისწორის შემოწმებისათვის“.

ამგვარად, „სოციოლოგია სწავლობს სოციალური ცხოვრების სტრუქტურასა და პროცესებს მთლიანად და, ამ მხრივ, სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან შედარებით, რამდენადმე განსხვავებული მიდგომით (ხერხით) სარგებლობს. ეკონომიკური მეცნიერებისგან ის ლეზულობს მრავალ პრინციპსა და ფაქტს, რომლებიც მას ეხმარებიან სოციოლოგიურ პრობლემათა ახსნაში, — ფაქტებს სიმდიდრის წარმოებისა და განაწილების მექანიზმის შესახებ. ფსიქოლოგიიდან ის იღებს მნიშვნელოვან მონაცემებს შესახებ ადამიანის ყოფაქცევისა, მოტივებისა, სტიმულებისა და ზრდისა. ბიოლოგიიდან და მონათესავე ბუნებათმეცნიერებათაგან ის ლეზულობს ფუნდამენტურ დებულებებს. ისეთებს, როგორიცაა მემკვიდრეობითობის კანონები, ცხოველური ცხოვრების ფსიქოლოგიური პროცესების აღწერა და სხვ. მისთანანი“. ერთი სიტყვით, თავისი მიზნებისათვის სოციოლოგია იყენებს „ინფორმაციებს, რომელთაც იძლევიან მეცნიერული ცნობიერების მრავალრიცხოვანი დარგები“.

ს. სმიტი სოციოლოგიას ყოფს შემდეგ „ფართო ქვედანაყოფებად“, რომლებიც შეისწავლიან: სოციალურ პრობლემებს, ადამიანის ეკოლოგიას, რასასა და კულტურას, კოლექტიურ ყოფაქცევას, სოციალურ ინსტიტუტებს, ინდივიდის სოციალიზაციას და სხვ. პირველი, კერძოდ სოციალური პრობლემები, ეს იგივე პოლიტიკური პრობლემებია და მას პირველი ადგილი უჭირავს ს. სმიტის სქემაში, იმიტომ, რომ რიგითი ადამიანი იხილავს რა ამ კოლექტიურ არსებობის პრობლემებს, იწყებს შემეცნებას იმისა, რომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოებას. საქმე ისაა, რომ „მეცნიერი, რომელიც საზოგადოებრივ პრობლემებს შეისწავლის, აღმოაჩენს ჭეშმარიტებებს. საზოგადოებას კი შეუძლია სასიკეთოდ ან ბოროტად გამოიყენოს ეს ჭეშმარიტებანი, — როგორც ის დაინახავს საჭიროდ. სოციოლოგი, როგორც მეცნიერი, ფაქტიური კვლევა-ძიების საქმისადმი უაღრესად ლოიალურია; — როგორც საზოგადოების წევრი, ის თავის ენტერესსა და იმედს ამყარებს შედეგებზე გამოკვლევისა, რაც გამოყენებული იქნება კაცობრიობის კეთილდღეობისათვის“.



როგორც ვხედავთ, ამერიკელ სოციოლოგთა მიერ კვლევა-ძიების საგნის განმარტებასა და თვით ამ საგნის მათ მიერ შესწავლის პრაქტიკულ გამოცდილებას შორისაც დიდი განსხვავებაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, „იუნესკოს“ მიერ 1956 წ. გამოცემულ წიგნში „სოციოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში“, ეს მეცნიერება იყოფა ზოგად და გამოყენებით, ე. ი. თეორიულ და პრაქტიკულ სოციოლოგიად. ამ წიგნის ერთ-ერთ ავტორს მიაჩნია, რომ ომის მერმინდელ წლებში „ამერიკულმა სოციოლოგიამ დიდ წარმატებებს მიაღწია“ და ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ „სახელდობრ ამ ათწლეულში“ (1946—1956 წწ.— პ. გ.) ემპირიულმა სოციალურმა კვლევა-ძიებამ მიაღწია ფართოდ აღიარებულ მდგომარეობას და კარგად უზრუნველყოფილ პროფესიულ მოღვაწეობას“ (გვ. 21).

ასეთისავე აზრს ავითარებდნენ სოციალური კვლევა-ძიების ჩიკაგოს ცენტრის არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კონფერენციაზე გამოსული სოციოლოგები კრებულში „სოციალურ მეცნიერებათა მდგომარეობა“ (ჩიკაგო, 1956 წ.) და საერთოდაც თითქმის ყველა თანაპედროვე გამოჩენილი ამერიკელი ბურჟუაზიული სოციოლოგები, მათგან თვით „თეორიული სოციოლოგიის“ წარმომადგენლებიც, როგორიც არიან ჰარვარდის უნივერსიტეტში თავმოყრილი პროფესორები: მ. ლევი, რ. მერტონი, პ. სოროკინი, ტ. პარსონსი, დ. ჰომენსი და სხვ.<sup>33</sup> აგრეთვე კოლუმბიის, ჩიკაგოსა და სხვა უნივერსიტეტებში მომუშავე სოციოლოგები: მ. ბარბერი, ბ. ბერელსონი, რ. გებერლე, ვ. გორდონი, რ. ვენდიქსი, ე. მაიო, პ. ლასუელი, ს. ლიპსეტი, პ. სელზნიკი და სხვ.

დიდ მნიშვნელობას აძლევენ „საზოგადოებრივ აზრსა“ და „სოციოლოგიას“ შორის განსხვავების დადგენას. საზოგადოებრივი აზრი — ესაა იდეების ყოველი სისტემა თავის მოყვასთან ადამიანის ურთიერთობათა შესახებ. ეს, მეტ-ნაკლებად სისტემატიზებული იდეები, თავის მიმდევართაგან არ გულსისმობს მკაცრ ემპირიულ შემოწმებას. სოციოლოგია კი, როგორც მეცნიერება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ცდილობს მონახოს სხვადასხვა სახის სოციალურ ფაქტებს შორის დეტერმინირებულ ურთიერთობათა არსებობის სისტემატური დადასტურება, იმ მიზნით, რათა შეიმუშავოს გარკვეულ პირობებში ჰეშმარიტების სახით წარმოდგენილი განზოგადებანი. რამდენადაც ეს განზოგადებანი და ჰიპოთეზები, წარმოდგენენ ლოგიკურ დამოუკიდებელ სის-

<sup>33</sup> Review of Sociology..., 1957, New-York.

ტემას, — სოციოლოგია წარმოადგენს ჩამოყალიბებულ მეცნიერებას, — განმარტავენ „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების“ შესახებ ერთ-ერთი უახლესი კომპენდიუმის ავტორები<sup>34</sup>.



როგორც ცნობილია, ფილოსოფიისთვის მთავარი სოციალური პრობლემაა საზოგადოებრივი ცნობიერების საზოგადოებრივი ყოფიერებისადმი მიმართების (ურთიერთობის) საკითხი. ამ ურთიერთობის შესწავლა ისტორიული მატერიალიზმის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, ამოცანას შეადგენს. მაგრამ ისტორიული მატერიალიზმი სწავლობს ამ ურთიერთობის განვითარების კანონზომიერებასაც და, ამგვარად, მოძრაობის იმ საერთო ძირითად კანონებს, რომლებიც მოქმედებენ და, მაშასადამე, ასე ვთქვათ, აწესრიგებენ ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას.

კ. მარქსმა ბოლომდე განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი და ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შეცნობა ადამიანთა საზოგადოების შეცნობაზე გაავრცელა. მარქსის ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია<sup>35</sup>. მარქსმა და ენგელსმა მთელი საზოგადოებრივი მეცნიერება, და კერძოდ სოციოლოგია, ახალ საწყისებზე დააფუძნეს.

სოციოლოგიაში მატერიალიზმის იდეამ პირველად აიყვანა სოციოლოგია შემეცნების სიმალლეზე. მანამდე სოციოლოგებს უჭირდათ საზოგადოებრივ მოვლენათა რთულ ქსელში მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი მოვლენების გარჩევა. მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაყვანამ წარმოებრივ ურთიერთობებამდე და ამ უკანასკნელის მწარმოებლურ ძალთა სიმალლეზე აყვანამ მტკიცე საფუძველი შექმნა იმისთვის, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარება წარმოგვედგინა როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი<sup>36</sup>.

სუბიექტივისტი სოციოლოგები ვერ ახერხებენ მეცნიერულად ახსნან, თუ როგორ ხდება ისტორიაში ინდივიდუალურის სოციალურამდე დაყვანა. ნამდვილად მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის თეორია იძლევა შესაძლებლობას „ინდივიდუალობის

<sup>34</sup> Modern Sociological Theory, 1957, New-York.

<sup>35</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 5.

<sup>36</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 149—151.



ელემენტები სოციალურ წყაროებამდე დაიყვანოს“ და სწორედ ამ პრინციპის თანმიმდევრული გატარების მეოხებით აჰყავს მას სოციოლოგია მეცნიერების ხარისხში<sup>37</sup>. სუბიექტივისტი სოციოლოგები ცდილობენ გასაშუქებელ მოვლენათა საწყისები „იდეალებში“ აღმოაჩინონ და მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ ეს იდეალები თვითონ არიან ობიექტური სინამდვილის ანარეკლები.

როდესაც კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავიანთ მსოფლმხედველობას ახასიათებდნენ როგორც მატერიალისტურს, მათი ძირითადი იდეა ის იყო, „რომ საზოგადოებრივი ურთიერთობანი ორნაირია — მატერიალური და იდეოლოგიური. უკანასკნელნი მხოლოდ პირველთა ზედნაშენს წარმოადგენენ, პირველნი კი ადამიანის ნებისყოფისა და ცნობიერების გარეშე იქმნებიან, როგორც (შედეგი) ფორმა ადამიანის საქმიანობისა, რომელიც მისი არსებობის შენარჩუნებისაკენ არის მიმართული“<sup>38</sup>.

მხოლოდ ისტორიულმა მატერიალიზმმა, ე. ი. მარქსისტულმა სოციოლოგიამ გახადა შესაძლებელი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა და მამოძრავებელი ძალების მწყობრი და თანმიმდევრული მეცნიერული შესწავლა და გაშუქება. ამ გზით კი ისტორიულმა მატერიალიზმმა დასძლია და დაფარა ძველი ისტორიის ფილოსოფია.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორია სწავლობს საერთოდ საზოგადოებრივი განვითარების მოვლენებს, სოციოლოგია მიზნად ისახავს მათს განმარტებას. ამ გაგებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი წარმოადგენს კაცობრიობის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას, ხოლო მეორე თეორიას.

მაგრამ ცხოვრების განვითარების მრავალწახნაგოვანი და მრავალდარგოვანი ფორმა მოითხოვს მოვლენათა სულ უფრო დიფერენციულ შესწავლას. ამ საჭიროებამ არცთუ ისე დიდი ხანია რაც დაბადა აუცილებლობა, მაგალითად, სოციალისტურ სახალხომეურნეობრივი სისტემის უფრო დაწვრილებითი შესწავლისა და წარმოიშვნენ კონკრეტული, დარგობრივ-ეკონომიკური მეცნიერებანი, როგორიცაა: მრეწველობის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ტრანსპორტის ეკონომიკა, ვაჭრობის ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა და სხვ., რომელთა თავისებურ გვირგვინად, ძირითად ეკონომიკურ მეცნიერებად, ცხადია, რჩება პოლიტიკური ეკონომია.

ასე მოხდა სოციოლოგიაშიც და გაჩნდა კონკრეტული სოციოლოგიის დარგები: მრეწველობის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლო-

<sup>37</sup> ვ. ი. ლენინი, გვ. 491—495.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 165.



გია, შრომის სოციოლოგია, ხელოვნების სოციოლოგია, თავისუფალი დროის (მოცლილობის) სოციოლოგია და სხვ.

ისტორიულ მატერიალიზმში ასხვავებენ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ასპექტებს. ისტორიული მატერიალიზმის ფილოსოფიური თეორია გეიხსნის, რომ ადამიანთა ცნობიერება განისაზღვრება საზოგადოებრივი ყოფიერებით, ზედნაშენი — ეკონომიკური ბაზისით და ავლენს მათი განვითარების საერთო კანონებს, ხოლო სოციოლოგიური თეორია სწავლობს საზოგადოებრივ მოვლენათა თავისებურ ბუნებას, მათი განვითარების კანონზომიერებას და როლს სოციალურ მოვლენებში.

მარქსისტული სოციოლოგია თავისი შემოქმედებითი კონსტრუქციებისათვის ემყარება და იყენებს მეცნიერებათა ყველა დარგის მონაცემებს, ხალხთა მასების რევოლუციური მოძრაობის, კლასობრივი ბრძოლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის და საერთოდ მთელი ცხოვრების გამოცდილებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოციოლოგია, საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან ერთად საფუძვლად დაედვას საზოგადოებრივი განვითარების ხელმძღვანელობის საქმეს.

### III. დარგობლივი სოციოლოგია

საჭიროა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფოები უკანასკნელ ხანებში ხელს უწყობენ რიგი დარგობრივი სოციოლოგიის განვითარებას. ასეთებია, მაგალითად:

**სამხედრო სოციოლოგია**, რაც კერძოდ აშშ სულ უფრო მეტ გაქანებას პოულობს მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან და მიზნად ისახავს სათანადო დახმარება გაუწიოს შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციული განმტკიცების საქმეს. ამ სოციოლოგიის შესწავლის მთავარი საგანია ომის პირობებისთვის ინდივიდის შეგუებისა და სამხედრო დაწესებულებათა სტრუქტურული მობილურობის საკითხი.

**სამხედრო სოციოლოგია** სწავლობს აგრეთვე ადამიანის მორალს ფრონტზე. არმიის უმაღლეს და დაბალ ჯგუფთა ურთიერთობას, ომის პერიოდში სოციალური ცხოვრების თავისებურებებს, სამხედრო ვითარებიდან გამომდინარე ტენდენციებს სახელმწიფოებრივ და სამხედრო მმართველობაში და ა. შ.

ინდუსტრიული (მრეწველობის) სოციოლოგია შეისწავლის თუ რამდენადაა მუშა კმაყოფილი თავისი შრომის პირობებით, თუ რაა საჭირო შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისთვის, რა ნორმები და ფასეულობანი განსაზღვრავენ მუშის სულიერ ცხოვრებას, აგრეთვე საწარმოს ხელმძღვანელობასა და პროფკავშირთა ურთიერთდამოკიდებულებას, პროფკავშირების სტრუქტურასა და მათ პოლიტიკას, ინდუსტრიულ საწარმოს როგორც სოციალურ ინსტიტუტს, მუშათა ოჯახის ბიუჯეტს, განათლებისა და სპეციალიზაციის დონესა და სხვ.

უკანასკნელ ხანებში დარგობრივ სოციოლოგთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია სწორედ ინდუსტრიული სოციოლოგია ანუ „ადამიანურ ურთიერთობათა“ სოციოლოგია, როგორც მას ხშირად უწოდებენ ამერიკაში, სადაც ამ საკითხის შესწავლის ძირითადი ცენტრებია ჰარვარდის უნივერსიტეტი და იელის უნივერსიტეტის „ადამიანურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“ (Institute of Human Relations). ანალოგიური ინსტიტუტები, მაგალითად, „შრომის ინსტიტუტისა“ და სხვ. სახელწოდებით არსებობენ აგრეთვე, ილინოისის, მასაჩუსეტის, ჩიკაგოს, კოლუმბიისა და სხვ. უნივერსიტეტებთან.

კომუნიკაციის მასობრივ საშუალებათა სოციოლოგია სწავლობს სტრუქტურასა და ფუნქციებს ადამიანთა შორის კავშირურთიერთობისა და აზრების, ცნობათა ურთიერთგაზიარების ისეთი საშუალებებისა, როგორიცაა ბეჭდვითი სიტყვა (პრესა), კინო, რადიო, ტელევიზია, ბიბლიოთეკები —საერთოდ პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების საკითხები, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კერძოდ წინასაარჩევნო კამპანიების დროს და სხვ.

პროფესიის სოციოლოგია, შედარებით ახალი დარგია, რომელიც სწრაფად ვითარდება; იგი სწავლობს პროფესიულ (ტექნიკურ) ჩვევათა ფორმირების, პროფესიის (სპეციალობის) შერჩევის შემაპირობებელ მოვლენებს, პროფესიულ კარიერას, პროფესიონალსა (მაგალითად, ექიმსა) და მის კლიენტს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, პროფესიების საზოგადოებრივ სტერეოტიპებს, საზოგადოებაში პროფესიის (მაგალითად, ადვოკატის, პუბლიცისტის, ექიმის, ხუცესის, პოლიციელისა და სხვ.) ფუნქციურ მნიშვნელობას.

ამ შტატებში პროფესიის სოციოლოგიის მთავარი შემსწავლელი დაწესებულებაა „საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის ნაციონალური ცენტრი“ და კოლუმბიის უნივერსიტეტის „პროფესიების სემინარი“.

რელიგიის სოციოლოგიის, თეოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებს, რაც საბოლოო ანგარიშით საექლესიო საქმიანობის ახალი, დროის შესაბამისი მეთოდების შემუშავებას ისახავს მიზნად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კერძოდ კათოლიკურ უნივერსიტეტებში. საერთოდ რელიგიის სოციოლოგიის კურსები იკითხება, მაგალითად, პარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებშიაც კი.

საერთოდ ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ამა თუ იმ დარგობრივი სოციოლოგიის განვითარებას ჩვეულებრივ ხელს უწყობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. ესა თუ ის დარგი კონკრეტული სოციოლოგიისა ნელა ან სწრაფად ვითარდება ამა თუ იმ ანალოგიური მოვლენის მეოხებით.

კერძოდ, მაგალითად, სამართლის სოციოლოგიაში ამჟამად მთავარ მისწრაფებად და ამოცანად მიჩნეულია სასამართლო ორგანოების მუშაობის და საზოგადოებასა და კერძოდ ადამიანებზე მისი გავლენის ემპირიულად დეტალური, ზუსტი აღწერა, როგორც ამას ქადაგებენ, მაგალითად, ვ. გორდონი, ვ. ლეველინი, ა. ჯონსი და სხვ.

ამ მისწრაფების აღმძვრელ მიზეზად, როგორც აცხადებენ, შეიქმნა ის „გრანდიოზული სასამართლო პროცესი“, რაც მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ფაშის მის შესწავლას გასამართლების სახით მოეწყო.

უადგილობის გამო კონკრეტული სოციოლოგიის სხვა დარგებს აქ არ შეეხებოდა. ორიოდ სიტყვით, მაგრამ ცალკე უნდა შევიჩინოთ სოციოლოგიის ისეთ სავსებით ახალ საკითხებზე, როგორიცაა თავისუფალი დროის (მოცლილობის) სოციოლოგია, რომლის გარშემო მრავალი შეკითხვა მიმდინიებს ჩემი მსმენელებისა და მკითხველებისაგან. და ხელოვნების სოციოლოგია.

#### თავისუფალი დროის სოციოლოგია

ფრანგული „სოციოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრის“ (პარიზი) მიერ, ერთი პუნქტის (სახელდობრ ანესის) მისახლეობაში 1953 წ. ჩატარებული „ფსიქო-სოციოლოგიური გამოკვლევის“ შედეგად, მიღებული დასკვნით თავისუფალი დროის ანუ მოცლილობის ცნება გულისხმობს „ერთობლიობას საქმიანობისა, რასაც მშრომელები ეწევიან თავიანთი კეთილი ნებით, რათა დაისვენონ, გაერთონ და განვითარდნენ თავიანთი პროფესიულ, ოჯახურ და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან თავისუფალი დროის მონაკვეთში“.

მოცლილობის გამოყენების საკითხი აქტუალურია ყველა ინდუსტრიული ქვეყნისათვის. „ტექნიკური პროგრესისა და სოცია-

ლურ მონაპოვართა მეოხებით, მაგალითად, საფრანგეთში, ჟან ფუ-  
რასტიეს გამოანგარიშებით, მუშამ წლიურად მოიგო 1000 საათი  
წინააღმდეგ 3500 სამუშაო საათისა, რაც, ამ მხრივ, საშუალო ციფ-  
რი იყო გასული საუკუნის ბოლოს მთელი მრეწველობისათვის“.

წარმოების ავტომატიზაციის, ატომური ენერგიის გამოყენებისა  
და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა მიღწევათა ასპექტში უახლოეს  
ხანში (პერსპექტიული ვარაუდების მიხედვით 1975 წლამდე) შრომის  
მწარმოებლურობის, ე. ი. პროდუქციის უმაგალითო ზრდის პირო-  
ბებში შესაძლებელი იქნება ინდუსტრიულ წარმოებაში 40—30 სა-  
ათიან კვირაზე მასობრივი გადასვლა. ამგვარად კი „კულტურული  
მოცლილობისა და გართობის“ დროის შემდგომი გადიდების მეოხე-  
ბით დაიბადება ახალი მოთხოვნილებები (განათლების, აღზრდის,  
ყოფაცხოვრების, ეთიკის და სხვ. სფეროში), რაც აუცილებელს ხდის  
„მასთან დაკავშირებული მოხმარების ხარჯების რეალური ეკოლუ-  
ციის მეცნიერულ შესწავლას“.

აქედან ნათელია: თუ რაოდენ დაკავშირებულია თანამედრო-  
ვე ცივილიზაციის ძირითად პრობლემებთან მოცლილობის სოციო-  
ლოგიური შესწავლა. ამგვარად, მოცლილობის სოციოლოგია, რო-  
გორც ერთ-ერთი დარგი მიკროსოციოლოგიისა, შეისწავლის (აღ-  
წერს) ადამიანის (მოსახლეობის) ცხოვრებას საზოგადოებრივი  
ნორმებით დადგენილი არსებობისათვის აუცილებელი ყოველგვა-  
რი საქმიანობის შემდეგ დარჩენილი თავისუფალი დროის განმავ-  
ლობაში. ასეთია ფრანგ სოციოლოგთა მოსაზრებები.

პროფკავშირის დასავლეთ გერმანელი მოღვაწის ბერნარდ ტა-  
კეს განმარტებით „თავისუფალი დრო ისეთი დროა, როდესაც ადა-  
მიანი უნდა ნებივრობდეს თავისი შრომის პროდუქტებითა და სუ-  
ლის (გონების) ტექნიკური მიღწევებით, ის არის პროფესიული  
შრომის არსებითი მიზანი“. დასავლეთ გერმანელი პუბლიცისტის  
ვალტერ ღირკსის აზრით თავისუფალი დრო ის დროა, როდესაც  
ადამიანს „შეუძლია მიეცეს უშუალოდ ცხოვრებას, მოიხმაროს,  
იყიდოს, ფლობდეს, განცხრომით იყოს, ითამაშოს ფეხბურთი ან  
ჭადრაკი, ან იმოგზაუროს, თავისი ბაღია პატარა სამოთხედ აქ-  
ციოს, ან აშენოს საკუთარი სახლი, ანუ კიდევ უფრო შორს წავი-  
დეს, ხელი მიჰყოს კითხვასა და მუსიკას, აწარმოოს თავისი მსგავს-  
ნი და, უყვარდეს“.

ბურჟუაზიული სოციოლოგები იმაზე შორს ვერ წასულან, რომ  
თავისუფალი დრო დაახასიათონ, როგორც მარტოოდენ სავალდე-  
ბულო სამუშაო დროის მანძილზე მოპოვებული უსაქმურობის,  
განცხრომის დრო.



ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ჟორჟ ფრიდმანი აცხადებს, რომ „მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ და სოციალურ პირობებში მრავალ მშრომელს ნამდვილი ცხოვრებით შეუძლია იცხოვროს მხოლოდ მოცლილობის დროს“.

მაგრამ ბურჟუაზიული სოციოლოგია ახლა ფრიად დაინტერესებულია იცოდეს, რომ „ცხოვრებისთვის აუცილებელი შემოსავლის (ხელფასის) მიღებისთვის საჭირო სამუშაო დროის შემცირება ხელს უწყობს ისეთ მოქმედებათა (ყოფიერების ფორმების) განვითარებას, რომელიც აცილებს (სწყვეტს) მას სინამდვილისგან, თუ ისეთ მოქმედებათა განვითარებას რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან?—შეუძლია თუ არა ამ მოცლილობას ხელი შეუწყოს ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი მუშაობის ფორმების განვითარებას და რა პირობებში?

აი კითხვები რაც მოსვენებას არ აძლევს საზოგადოების აქტივისტების აღმზრდელებს, კანონმდებლებს, პროფკავშირულ, პოლიტიკურ და საეკლესიო მოღვაწეებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მოცლილობის დროის გადიდება „თავისთავად შეიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით შესაძლებლობას“, ოჯახური, პროფესიული, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების დეზინტეგრაციისა თუ განახლების მიმართულებით, მით უფრო რომ მოცალილობის დროისაგან დამოუკიდებლადაც, ტექნიკური და საზოგადოებრივი განვითარება თავისთავად იწვევს სწრაფსა და რთულ ცვლილებებს, რასაც უნდა ეგუებოდეს და, მაშასადამე, შესაბამისად ვითარდებოდეს თანამედროვე ადამიანი.

გართობისა და მოცლილობის დროს ადამიანის გამუდმებული განვითარება-განათლების ღონისძიება მიზნად უნდა ისახავდეს მრავალმხრივი საზოგადოებრივი, ოჯახური, პროფესიული, პირადი ღირსების და, მაშასადამე, ხალხური კულტურის ამაღლებას.

ყოველივე თქმულიდან უკვე ნათელია, თუ რაოდენ მჭიდროდაა დაკავშირებული მოცლილობის სოციოლოგიური შესწავლა თანამედროვეობის დიდ და საჭირბოროტო საკითხებთან.

ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერი აღნიშნავს, რომ მოცლილობის სოციოლოგიაზე, თუძეცა კარგა ხანია რაც წერენ, მაგრამ იგი, როგორც კვლევის ცალკე დარგი ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. ამით, ცხადია, იმის თქმაც სურთ, რომ მოცლილობის ცნება და თვით საგანი მოცლილობის სოციოლოგიისა ზუსტად განსაზღვრული და გარკვეული არაა. ამ მხრივ საკმარისია ითქვას, რომ ორმოციოდე წლის წინათ იყვნენ სოციოლოგები, რომელთაც ფაბრიკიდან შინ დაბრუნებული მუშის მეცადინეობა (სწავლა) კვა-

ლიფიკაციის ამოღებისათვის, საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებისთვის მზადება მოცლილობის დროდ მიაჩნდათ.

ამერიკელი სოციოლოგი მ. კაპლანი, ფიქრობს, რომ მოცლილობის დროის გადიდების, ე. ი. სამუშაო დროის თანდათანობით შემცირების გამო პიროვნების განვითარებასა და გათვითცნობიერებაში მცირდება შრომის როლი. ეს შეხედულება არსებითად განვითარებაა ზემოხსენებული დებულებისა, რომ თითქოს მუშის მიერ სპეციალური ცოდნის შეძენა-ამოღებისთვის შინ მეცადინეობა მოცლილობის დროის გამოყენებას ნიშნავდეს.

ბურჟუაზიული სოციოლოგის დ. რისმენის აზრით, ადამიანს ნამდვილი თავისუფლებისა და ავტონომიის მოპოვება შეუძლია მხოლოდ მოცლილობის ქაშს. სოციოლოგთა V მსოფლიო კონგრესზე (1962 წ.) ფინელი პროფესორი ჟ. ლითტუნენი ამტკიცებდა, რომ შრომის პროცესში ადამიანის განვითარების შესაძლებლობა დახუთულია, აქ თავს იჩენს „სოციალური დამოკიდებულება“, რაც აწმობს პიროვნების ენერგიას, უნარიანობას და შედეგად იწვევს ფიზიკური დაღლილობისგან განსხვავებით „სოციალურ დაღლილობას“, რაც კონფლიქტის საწყისად იქცევა. ამ „სოციალური დაღლილობისაგან“ განთავისუფლების, ე. ი. დასვენების საშუალებად მას მიაჩნია ყოველწლიური შვებულებები, რაც აძლიერებს „ინდივიდუალურ შემოქმედებით ენერგიას“, ზრდის „პირად თვითაქტუალიზაციას“.

იპოვნელი კრიტიკოსის ოკამოტო ტაროს სიტყვებით, თავისუფალი დროის გადიდებასთან ერთად „ადამიანთა უმრავლესობა ამჩნევს, რომ მათ არა აქვთ იდეა იმის შესახებ, თუ რა უყონ ზედმეტ დროს რაც მათ აქვთ“. გარკვეული გაგებით ასეთი სინამდვილე იმას იწვევს, რომ სამუშაო დროის გათავების შემდეგ ადამიანთა ერთი კატეგორია, ასეა თუ ისე, ხელში უნდა ჩაუვარდეს „კულტურის საქმოსნებს“, რომელთაც მოცლილობის დროის ორგანიზაცია მოგების მიღების წყაროდ გადააქციეს. თვით ჟ. ფრიდმანი აცხადებს, რომ ამ მიმართულებით კინოფილმების, ტელეგადაცემების, რადიოპროგრამების, ჟურნალებისა და თავგადასავლური წიგნების ანარქიული წარმოება იწვევს იმას, რომ მთელი საზოგადოება იდენტურად, ერთფეროვნულად იყენებს თავისუფალ დროს.

ბურჟუაზიული სოციოლოგები გამოდიან ცილისმწამებლური მტკიცებით, თითქოს თავისუფალი დროის თავისუფალ გამოყენებას საბჭოთა კავშირში აბრკოლებს „სოციალური და კულტურული

იძულება მოცლილობის დროის სწავლითა და საზოგადოებრივი მუშაობით<sup>39</sup> დასაქმების სახით<sup>39</sup>.

ბურჟუაზიული სოციოლოგები ვერ სწვდებიან იმ ჭეშმარიტებას, რომ მოცლილობის გამოყენების ორგანიზაცია უშუალო კავშირშია საზოგადოებრივ წყობილებასთან და რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანების იდეალები და შეხედულებანი კარდინალურად განსხვავდებიან სოციალურ მოვლენებზე მათი წარმოდგენისგან.

მოცლილობის სოციოლოგიას, ისე როგორც საერთოდ კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეში<sup>40</sup>.

\* \*

ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე წამოყენებულმა ამოცანამ, რომ გამონახულ იქნას საბჭოთა საზოგადოების რაც შეიძლება სწრაფი ეკონომიკური განვითარების ყველაზე უფრო ეკონომიური გზა, თანამედროვე ეტაპზე თავისი გამოხატულება ჰპოვა პარტიის ახალ პროგრამაში, სადაც დასახულია კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმოკლესი გზები.

ქვეყნის სრული ელექტროფიკაციისა და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი სრულყოფის, წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ახალი სახეობის ენერგიისა და მასალათა წარმოების გაფართოების, მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპებთან ერთად, ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესაბამისად სულ უფრო გაიზრდება შრომის მწარმოებლურობა და, მაშასადამე, მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოება, რა მხრივაც სსრ

<sup>39</sup> Марксистская и буржуазная социология сегодня, 1964, стр. 439—448; Д. Гвишиани, Социология бизнеса, 1962; Б. Ломов, Человек и техника, 1963; Ю. Давидов, Труд и свобода, 1962; К. Тессман, Проблемы научно-технической революции, 1963; Я. Ауэрхан, Автоматизация и общество, 1960.

<sup>40</sup> Внеработное время трудящихся, 1961, Новосибирск; П. Маслов, Внеработное время при социализме („Вопросы экономики“, 1961, № 12); Вопросы организации и методики конкретно-социологических исследований, 1963, М.; Г. Волков, Эра роботов или эра человека?, 1965, М.

კავშირი უკვე ამჟამად მთელ რიგ დარგებში უსწრებს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სწრაფი ტექნიკური პროგრესის, შრომის მწარმოებლურობის ზრდის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური ამაღლების შესაბამისად ჩვენი პარტია განუხრელად ატარებს სამუშაო დროის თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკას.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, მატერიალური და სულიერი წარმოების უდიდესი პროგრესის ვითარებაში, როდესაც სულ უფრო და უფრო მცირდება სამუშაო დრო, განსაკუთრებულ შინაარსს ღებულობს კ. მარქსის სიტყვები, რომ თავისუფალი დრო შეიქმნება ადამიანის სიმდიდრის ყველაზე ქეშმარიტ საზომად.

ადამიანის კეთილდღეობისათვის ჩვენი პარტიის შეუწელებელი ზრუნვის შედეგად შექმნილია მრავალგვარი შესაძლებლობა ყოველი ადამიანის ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის ფართოდ გაფუძრებისა და განვითარებისათვის.

სწორედ ამიტომ, უკვე ამჟამად უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემის სახით წარმოგვიდგება ყოველი მუშაკის, განსაკუთრებით ახალი თაობის თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების საქმე.

ადამიანის ცხოვრების ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ სამუშაო (დასაქმებულობის) დროის, არამედ აგრეთვე თავისუფალი (მოცლილობის) დროის გონივრული ორგანიზაცია.



კაპიტალის თვალსაზრისით „მუშა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სხვა არაფერია, თუ არა სამუშაო ძალა“ და „ამიტომ მთელი მის განკარგულებაში არსებული დრო ბუნებისა და უფლების მიხედვით სამუშაო დროა და, მაშასადამე, კაპიტალის თვითზრდის პროცესს ეკუთვნის. დრო ადამიანის განათლებისათვის, ინტელექტუალური განვითარებისათვის, სოციალური ფუნქციების შესრულებისათვის, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობისათვის, ფიზიკური და ინტელექტუალური სასიცოცხლო ძალების ლალი თამაშისათვის, კვირა ღლის უქმობისთვისაც კი ...მტკნარი სისულე-

ლეა! მაგრამ... თავის მგლურ გაუმაძღრობაში ზედმეტი შრომის მართ, კაპიტალი გადალახავს სამუშაო დღის არა მარტო მორალურ საზღვრებს, არამედ წმინდა ფიზიკურ მაქსიმალურ საზღვრებსაც. კაპიტალი უზურპაციას ახდენს იმ დროისას, რომელიც აუცილებელია სხეულის ზრდის, განვითარებისა და ჯანმრთელად შენახვისათვის...“ კაპიტალს მხოლოდ მუშაქალის მაქსიმუმი აინტერესებს და ამისთვის არ ზოგავს მუშაქალის თვით სიცოცხლის შემოკლებასაც, სწორედ ისე, როგორც, „ხარბი სოფლის მეურნე მიწის მოსავლიანობის გადიდებას აღწევს ნიადაგის ნაყოფიერების გამოფიტვით“<sup>41</sup>.

საქმე ისაა, რომ ბუჩქთუხიულ საზოგადოებაში სიმდიდრე, ერთი მხრივ, არის ნივთი, არსებობის მატერიალური საშუალებები, რომელთაც ადამიანი უპირისპირდება როგორც სუბიექტი, ხოლო, მეორე მხრივ, სიმდიდრე ეს არის ღირებულება, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციის საშუალებას იძლევა. ყოველივე ამის გამო აქ „წარმოება გვევლინება როგორც ადამიანის მიზანი, ხოლო სიმდიდრე როგორც წარმოების მიზანი“<sup>42</sup>.

ასეთ ვითარებაში „მუშა მით უფრო იაფი საქონელი ხდება, რაც უფრო მეტ საქონელს ქმნის. ნივთთა სამყაროს ღირებულების ზრდის პირდაპირ შესაბამისად იზრდება ადამიანური სამყაროს გაუფასურება“<sup>43</sup>. მუშა მით უფრო იხუთება, რაც უფრო მეტი რაოდენობით ქმნის ღირებულებრივ სიმდიდრეს.

სულ სხვა ხასიათისაა სიმდიდრე კომუნისტურ საზოგადოებაში. აქ იგი სხვა არაფერია თუ არა „უნივერსალურ გაცვლაში შექმნილი უნივერსალობა ინდივიდთა მოთხოვნილებებისა, უნარიანობისა, გემოვნებისა, მოხმარების საშუალებებისა, მწარმოებლური ძალებისა...“, ბუნების ძალებზე და საკუთარი ბუნების ძალებზე ადამიანის გაბატონებისა, ე. ი. ადამიანის ყველა ძალის განვითარებისა, რაიმე წინასწარ დადგენილი მასშტაბის გარეშე. „ნამდვილი სიმდიდრე“ ესაა — ყველა ინდივიდთა განვითარებული მწარმოებლური ძალა“ (კ. მარქსი).

ცივილიზაციის განვითარების უკვე დღევანდელ დონეზე მეცნიერება და წარმოება არსებითად ურთიერთს შეეზარდნენ და ამის შესახებ მეტყველებენ არა მხოლოდ ქარხნების ლაბორატორიები და მეცნიერული პერსონალი, არამედ თვით სამეცნიერო ცენტრები, თავიანთი ექსპერიმენტული საწარმოებით, რომლებიც ხშირად ნამდვილ ქარხნებს წარმოადგენენ.

<sup>41</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, I, 335—336.

<sup>42</sup> კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, 1952, გვ. 28.

<sup>43</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Из ранних произведений, 1956, стр. 560.



მეცნიერულ ნიადაგზე წარმოების პროგრესის პირველი დიდი შედეგია შრომის მწარმოებლურობის სწრაფი ზრდა და, მაშასადამე, სამუშაო დროის თანმიმდევრული შემცირების შესაძლებლობა და აუცილებლობა, რაც ცხადია, უშუალო კავშირშია მაღალკვალიფიციური წარმოებრივი კადრების ზრდასთან, რომლის ინტენსიურობამ სსრ კავშირში თურიად დააფიქრა ჩემი მეგობარი, ამერიკელ ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. თეოდორ შულცი, რომელიც უშუალო დაკვირვების შედეგად აცხადებს, რომ აქ „ყველაფერზე უფრო საოცარია ადამიანთა კაპიტალის სწრაფი აღზრდა“.



კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებამ ეკონომიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთ ცენტრალურ მომენტად გახადა სამუშაო დროის საკითხი.

მაგრამ, მას მერმე საზოგადოებრივი განვითარების ხანგრძლივი პერიოდი შეიქნა საჭირო იმისთვის, რათა უყურადღებოდ მიტოვებული სამუშაო დროის ანტიპოდი — თავისუფალი დრო გამხდარიყო მეცნიერული შესწავლის საგანი.

სულ რამდენიმე წელია, რაც თავისუფალი დროის (მოცულობის) პრობლემა საერთოდ ინდუსტრიულ ქვეყნებში გახდა მეცნიერული დაკვირვების საგანი და ერთბაშად ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ იგი არის თანამედროვე სოციოლოგიური და ეკონომიკური კვლევა-ძიების პრობლემა № 1.

საქმე ისაა, რომ წინათ ინდუსტრიის, საერთოდ საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების განვითარების შედარებით დაბალ დონეზე, სამუშაო დრო მოიცავდა ადამიანის აქტიური ცხოვრების დროის თუ არა მთელ, ყოველ შემთხვევაში უდიდეს ნაწილს და გრძელდებოდა 10—14 საათი. მაშინ თავისუფალი დრო, როგორც სოციალური ფენომენი მხოლოდ მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობისათვის არსებობდა, და ამგვარად, დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ პრობლემას არ წარმოადგენდა.

მე-20 ს. მეორე ნახევრიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. თუ, მაგალითად, 1913 წელს რუსეთში მთლა ერთ კვირაში საშუალოდ 58 საათს შრომობდა, დღეს, ნახევარი საუკუნის შემდეგ, საბჭოთა კავშირში უკვე 41-საათიანი სამუშაო კვირაა დაწე-

სებული<sup>44</sup>. ახლო მომავალში ის კიდევ უფრო შემცირდება და, შესაბამისად, გაიზრდება თავისუფალი დრო.

ამჟამად კვირის დროის დაახლოებით მეოთხედი ნაწილი შეადგენს სავალდებულო შრომის დროს. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ შვებულებისა და გამოსასვლელ (უქმე), აგრეთვე ავადმყოფობისა და სხვ. გამოტოვებულ დღეებს, დავინახავთ, რომ სამუშაო დრო წლიურად საშუალოდ შეადგენს 1814 საათს, ანუ მშრომელის დროის მთელი ფონდის დაახლოებით ერთ მეხუთედს.

ახლა საკითხავია რას უდრის თავისუფალი დროის ფონდი.

ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განვმარტოთ თავისუფალი დროის ცნება. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ საბჭოთა სოციოლოგებსა და ეკონომისტებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თითქმის მარქსი თავისუფალ დროს უწოდებდეს იმ დროსაც, რასაც ადამიანი ხარჯავს, მაგალითად, თავისი განათლების, კერძოდ პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის<sup>45</sup>.

თავისუფალი დრო (მოცალეობა) შეიძლება იყოს არასამუშაო დროის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რჩება იმ დროის შემდეგ, რასაც ადამიანი ანდომებს: I. თავისი პროფესიული (წარმოებრივი) ცოდნის ამაღლებას და საერთოდ სავალდებულო შრომასთან (წარმოებასთან) დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობას; II. სამუშაო ადგილსა და საცხოვრებელ ადგილს შორის მიმოსვლას; III. თვითმომსახურებას, პირად ჰიგიენას; IV. ოჯახსა და ოჯახისწევრთა მოვლა-პატრონობას, შვილების აღზრდას; V. პასიურ დასვენებას (უმთავრესად ძილს), VI. სმა-ჭამისა, ტანისამოსისა და საბინაო პირობათა ორგანიზაციას.

ამასთანავე ერთად თავისუფალი დრო, ცხადია, უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას, რათა ადამიანს ნამდვილად თავისი ნიჭის, მისწრაფებისა და იდელების შესაბამისად შეეძლოს „გაშალოს ფრთები“, შეიჭრას შემოქმედებითი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ყველაზე სანატრელ სფეროში: დაუკრას ვიოლინოზე, ხატოს, იკითხოს, დრო გაატაროს მეგობრებთან. გააშენოს ყვავილები, ითევზაოს, ისეირნოს, ერთი სიტყვით, თავის პროფესიულ საქმიანობათა გარესფეროში.

44 მართალია, აშშ 40 საათიანი სამუშაო კვირაა დაწესებული, მაგრამ რეალური ხელფასის დაცემა, სახალხო მოხმარების საგნებზე ფასების მატება და სხვ. მშრომელთა დიდ ნაწილს აიძულებს ეძებოს დამატებითი სამუშაო, რასაც ზედ ერთდღის ყოველთვის მოსალოდნელი უმუშევრობის სიმძიმეები და სხვ.

45 შესაბამისი ციტატი „კაპიტალის“ (I) მერვე თავის მეხუთე პარაგრაფიდან (გვ. 335—336) მოგვყავს ზემოთ. იხ. Г. Волков, Эра роботов или эра человека?, 1965, стр. 106—107.

არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებისა და ფორმების საწყისებზე. აქეთოს ყოველივე რაც მოეპოვანება.

თავისუფალი დრო შეიძლება მეტ-ნაკლები იყოს მუშაობის ერთნაირ, მაგრამ განსხვავებულ საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფ ადამიანთათვის, მამაკაცისა და საოჯახო სამუშაოებით ზეტი ზომით დატვირთული ქალისათვის და სხვ.

საბჭოთა ეკონომისტებისა და სოციოლოგების გამოანგარიშებათა მიხედვით ზოგიერთი ჩვენი ინდუსტრიული ცენტრის მუშებს სამუშაო დღეში 3—4 საათი თავისუფალი დრო რჩება. ხოლო გამოსასვლელი (უქმე) დღეებისა და შვებულების ჩათვლით თავისუფალი დროის წლიური ფონდი საშუალოდ 1500 საათს შეადგენს და, მასასადამე, საკმაოდ უახლოვდება სამუშაო დროის ფონდს (1814 საათს).

ამგვარად, ჩვენს დროში ადამიანს შეუძლია თავისი კულტურული, სულიერი, შემოქმედებითი განვითარების საქმეს მოახდომოს დაახლოებით იმდენი თავისუფალი დრო, რამდენსაც მისგან მოითხოვს სავალდებულო სამუშაო დრო. ეს ჩვენი ეპოქის და სისტემის ჭეშმარიტად უდიდესი მონაპოვარია.

ურთიერთს დაპირისპირებული სამუშაო (ანუ, ეკონომიკური იძულების) დრო და თავისუფალი (ანუ ნებისმიერი თავისთავადობის) დრო კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ძალთა ბუნებრივი განვითარების, საერთოდ საამური ცხოვრების ერთ მთლიან და ჰარმონიულად შეხამებულ საწყისებად (კომპონენტებად) გადაიქცევიან და სამუშაო დრო ადამიანის შინაგანი ბუნების ძალთა გამოვლინებისათვის ისეთივე მიმზიდველი იქნება, როგორც თავისუფალი ანუ მოცალეობის დრო. მაშინ, რა თქმა უნდა, სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ცნება სულ სხვა შინაარსს მიიღებს.

ადამიანი თავისი ბუნებით არა მხოლოდ რაციონალური (გონიერი, არამედ, ამასთანავე ემოციური არსებაა. ემოციური, მხატვრული უნარის (ნიჭის) განვითარება ეს იმავე დროს, არსებითად, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდაა, მაგრამ მისი სრული განვითარებისათვის საჭიროა თავისუფალი დრო და სწორედ ამ გაგებით კომუნისტურ საზოგადოებაში თავისუფალი დრო შეიქმნება საზოგადოებრივი სიმდიდრის უმთავრესი საზომი.

სამუშაო დრო „როგორც სიმდიდრის საზომი გულისხმობს, რომ თვით სიმდიდრე დაფუძნებულია სიღარიბეზე და რომ თავისუფალი დრო არსებობს წინააღმდეგობრივობაში და ზედმეტ სა-

მუშაო დროსთან თავის დაპირისპირებულობის მეფობის (კ. მარქსი)<sup>46</sup>.

თავისუფალი დრო იმიტომ გადაიქცევა საზოგადოებრივი სიმდიდრის საზომად, რომ მხოლოდ იგი იძლევა სრულ გასაქანს ადამიანის პიროვნებისა და მის ნიჭთა (უნართა) განვითარებისათვის, ანუ ჰეგელის სიტყვებით, ისეთ ცივილიზებულ ადამიანთა წარმოქმნისათვის, რომელთაც შეუძლიათ აკეთონ ყოველივე, რასაც აკეთებენ სხვები.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონლის ღირებულებასა და მისი წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის შესაბამისობა ხორციელდება მხოლოდ პრინციპში, როგორც საერთო კანონზომიერება. მაგრამ ამ კანონზომიერების, ე. ო. ღირებულების კანონზე აშენებული კაპიტალისტური წარმოების წესის ხასიათი ისეთია, რომ მწარმოებლურ ძალთა განვითარების პროცესში ის თვითუარყოფამდე მიდის. საქმე ისაა, რომ „შრომის მწარმოებლურობის გადიდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ დიდდება ისე, რომ საქონელში მოქცეული შრომის მთელი ჯამი კლებულობს. მაშასადამე, ისე, რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა მატულობს“<sup>47</sup>.

წარმოებაში მეცნიერების გაბატონების, ავტომატიზაციისა და საერთოდ ტექნიკის დიდი პროგრესის, მაშასადამე, ახალი ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად, როდესაც მატერიალურ დოვლათთა წარმოების ინდუსტრიალიზაცია უნივერსალურ ფორმას მიიღებს, ეს პროცესი, სახელდობრ, პროდუქტის წარმოებაში ცოცხალი შრომის თანმიმდევრული შემცირება იწვევს იმას, რომ სიმდიდრის შექმნა სულ უფრო ნაკლები ზომით ხდება დამოკიდებული მისთვის დახარჯულ სამუშაო დროზე, და შესაბამისად ამისა საცვლელი ღირებულება სულ უფრო ნაკლებად ხდება სახმარი ღირებულების საზომი, რასაც, საბოლოოდ, არ შეუძლია არ გამოიწვიოს საცვლელ ღირებულებაზე დაფუძნებული წარმოების რღვევა... ღირებულების კანონმა ადგილი უნდა დაუთმოს კომუნისტური საზოგადოების დიდ კანონს, რომლის თანახმად, სიმდიდრის საზომად გამოდის თავისუფალი დრო. კომუნისტურ საზოგადოებაში თავისუფალი დროის კატეგორია ისეთსავე მნიშვნელობას მიიღებს, როგორც სამუშაო დროის კატეგორიას უჭირავს კაპიტალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში.

<sup>46</sup> „Большевик“, 1939, № 11—12, стр. 64.

<sup>47</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, III, 1, 1959, გვ. 330—331.



ხელოვნების სოციოლოგიის მრავალ საკითხთა შორის დასავლური სოციოლოგია უკანასკნელი 3 ათეული წლის მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კრიტიკის როლს, რამდენადაც ის შუამავალია ხელოვანსა და მის საზოგადოებას შორის, შესაბამისად იმისა, თუ რა (აზრები, იდეები, მოვლენები) მიაწვდის მას თავისი საზოგადოების წარმატებათა საწინდრად. ესეთიკუთ კანონებზე დაფუძნებული კრიტიკის აზრი, — მსჯელობა იმისა, ვისაც უფლება (პრივილეგია) აქვს იყოს შემფასებელი, ე. ი. მფარველიცა და წამქეზებელიც ხელოვნებისა, მეტ-ნაკლები ზომით განსაზღვრავს თვით ხელოვნების განვითარების გზებს.

ეკლესია, სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, კორპორაციები, სკოლა და სხვ. აკრიტიკებენ (აფასებენ) ხელოვნებას საკუთარ მოთხოვნილებათა შესაბამისად. დამოუკიდებლად იმისა, მათი შეხედულება ვლინდება კრიტიკის, ცენზურის, ბაზრის კონიუნქტურის ანალიზის, სასწავლო პროგრამების შეცვლის თუ სხვა სახით, ისინი დიდ გავლენას ახდენენ, — თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ხელოვნების ესა თუ ის დარგი.

ხელოვნების, როგორც სოციალური ინსტიტუტის სტრუქტურული ასპექტის ანალიზის მიზნით ბურჟუაზიული სოციოლოგია ასხევეებს სამ შემადგენელ ელემენტს: მხატვარს (ხელოვანს), საზოგადოებას (აუდიტორიას) და კრიტიკას. ხელოვანის, კრიტიკისა და მაყურებლის (საზოგადოების) ურთიერთზემოქმედების ტიპოლოგიური ფორმა ერთ-ერთ უახლეს სოციოლოგიურ კომპენდიუმში<sup>48</sup>, წარმოდგენილია ერთგვარი, რაოდენობით ხუთი, დახურული სქემის სახით:

1. როდესაც ხელოვნების ნამუშები იქმნება პატარა ინტიმურ წრეებში (ჯგუფებში) — ხელოვნების მიზანი წრის ყველა წევრისთვის ცნობილია: პიესაში მსახიობი და მაყურებელი ურთიერთშეხმაურების მეოხებით მაშინვე ხელავენ და ერკვევიან თითოეულის რეაქციაზე, რამდენადაც კარგად იციან ამ გამომხატურების სიმბოლოები და მათი მნიშვნელობა. დიდი ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობიან მეტი გამოცდილების მქონე პირთა მოსაზრებებს, რა სახითაც ხორციელდება კრიტიკა. მაგრამ მთავარია მაინც მსახიობსა და აუდიტორიას შორის დამყარებული კავშირურთიერთობა.

2. როდესაც ხელოვნების შექმნა მონოპოლიზებულია რომელიმე კლასის, წყობილების, ინსტიტუტის ან ხელოვანთა ჯგუფის მიერ; მაშინ ისინი ვინც ქმნიან ხელოვნებას, თვლიან, რომ წერენ

<sup>48</sup> Modern Sociological Theory, 1957, New-York.



არა ფართო საზოგადოებისთვის, არამედ იმათთვის ვინც ხელისუფლების სათავეში იმყოფება. ამ ვითარებაში მხატვარი საზოგადოებასთან კავშირს ამყარებს მხოლოდ ცენზორთა, ოფიციალურ მსახურთა ანუ კრიტიკოსთა მეშვეობით. ასეთები იყვნენ, მაგალითად, შუასაუკუნეთა კარის მწერლები. მეფეთა მესობენი.

3. როდესაც ხელოვანი (მსახიობი) თვლის, რომ ის მჭიდრო კავშირშია კრიტიკასა და თავის საზოგადოებასთანაც (მაყურებელთანაც), მაგრამ აქ არაა მჭიდრო კავშირი კრიტიკასა და საზოგადოებას შორის. კრიტიკოსებს თავისი როლი წარმოდგენილი აქვთ პროფესიული ოსტატობის ანუ ტრადიციის მცველ-მფარველთა სახით, რომელთაც უნდა დაიცვან განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტები (თავადაზნაურობა, სალონი. გამომცემელი), ანდა, დასასრულ, როგორც პიესის „მკურნალების“ სახით, რათა იგი დასადგმელად მოამზადონ. ასეთ ვითარებაში „იციან“, რომ არსებობს საზოგადოება და კრიტიკოსი თავის საზოგადოებას (რომლის გემოვნების ფორმირება შესაძლებელია) ეპყრობა საქმის მცოდნე, გემოვნების მქონე ადამიანის თვალსაზრისით, ხოლო ფართო საზოგადოებრიობა წარმოადგენს „შავ მასას“, რომლის შეხედულებათა (ინტერესთა) გათვალისწინება კრიტიკოსისათვის დამამცირებელია.

ამ მესამე ტიპის ურთიერთობათა საბოლოო ვარიანტში მხატვარს (მწერალს) შეუძლია თავისი თავი წარმოადგინოს როგორც მოციქული, ლიტერატურული ქურუმი ანუ ხელმძღვანელი, რომელიც ხალხს მიმართავს.

4. მეოთხე ტიპის ურთიერთობათა პირობებში შემოქმედი და კრიტიკოსიც თავის როლს იხილავენ ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. მაინც თვით შემოქმედსა და კრიტიკოსს შორის კავშირი მცირეა. კრიტიკოსი შემოქმედს შეიძლება მიმართავდეს თავისი საზოგადოების სახელით, მაშინ როდესაც შემოქმედი (მხატვარი) შეიძლება ლაპარაკობდეს ხალხის სახელით. პირველსა და უკანასკნელს (რომელიც საზოგადოების გემოვნების საკითხში თავისთავს სპეციალისტად მიიჩნევს) შორის შეიძლება მტრული განწყობილებაც იყოს.

გაზეთის ან ჟურნალის კრიტიკოსი, რომელიც მუსიკის, დრამის, მხატვრული ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, კინოს შემფასებლის როლში გამოდის, ფიქრობს, რომ ის ლაპარაკობს საზოგადოების სახელით, რომლის გემოვნება სტანდარტის სახით აქვს წარმოდგენილი. ისინი მხატვრებს უსაყვედურებენ, რომ უკანასკნელნი არ ითვალისწინებენ, ან არასრულად ითვალისწინებენ ხალხის გემოვნებას და თვლიან, რომ როგორც პოლიტიკაში, ასევე ხელოვნებაში — ხმა ერისა, ესაა — ხმა ღვთისა.

5. ურთიერთობათა მეხუთე ტიპის დროს ხელოვანი, კრიტიკოსი და საზოგადოება გამოდის ერთიმეორისადმი ურთიერთპასუხისმგებლობით, იმ რწმენით, რომ ხელოვნებას საზოგადოებაში უნდა ჰქონდეს ავტონომიური ფუნქცია. ხელოვანი მისი სოციალური ვალდებულების გათვალისწინებით განიხილება როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწე, ჯარისკაცი, ფილოსოფოსი. ის უკვე არ წარმოადგენს უბრალო კარის მასხარას, ჯადოქარს, მენცარს, არამედ ფორმების შემოქმედს, რომელიც წარმოსახვის ძალის მეოხებით გვეხმარება გავიგოთ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ცალკე მოქმედებანი (მოვლენები).

ამ ვითარებაში ხელოვნება გამოდის, როგორც ინსტიტუტი და მიისწრაფვის იმ დონის ძალაუფლებისაკენ, რაც საქმიან წრეებს (კორპორაციებს), ეკლესიას ან სკოლას უჭირავს. ხელოვანი და კრიტიკოსი ფიქრობენ, რომ ისინი უნდა იყვნენ მათ რიცხვში ვინც მართულებას აძლევს ხელოვნებას. არის შესაძლებლობა, რომ ხელოვანი (მხატვრები) ამადლდნენ კორპორაციის სტატუსის დონეზე, როდესაც მათი ორგანიზაცია მიზნად ისახავს ხელოვნების ნაწარმოებთა წარმოების, განაწილებისა და მოხმარების კონტროლს.

ხელოვანს (მხატვარს), კრიტიკოსსა და საზოგადოებას შორის სრული და ტოლფარდოვანი ურთიერთკავშირია.

ამ თვალსაზრისის თანახმად მთავარია არა პატარ-პატარა ინსტიტუტების ცალკეული შესწავლა, არამედ რაიმე ინსტიტუციონური კონცეფციის შექმნა, რაც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ხელოვნება, მისი სტრუქტურისა და ფუნქციის როგორც კომუნიკაციის გათვალისწინებით.

ხელოვნების ძეგლი სიმბოლური ნაწარმოებია. სიმბოლო მაქსიმალურ ეფექტს მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც ის გამოეყოფა კონკრეტულ წრეს და თავისთავადურ ძალად იქცევა. მეცნიერულ კონტექსტში სიმბოლოს ძალა წარმოიშობა დემონსტრაციის დროს, პოლიტიკაში — დარწმუნების (რწმენის) მეოხებით; ხელოვნებაში კი სიმბოლოები ჩვენზე შთაბეჭდილებას ახდენენ იდენტიფიკაციის პროცესის მეოხებით. იდენტიფიკაცია ვლინდება ფორმებში, ანალოგიურად იმისა, რასაც იწვევს პოლიტიკანი, მოყოლისას, რომ ისიც ოდესღაც ცხოვრობდა ჩვენს მშვენიერ ქალაქში, შრომობდა როგორც უბრალო მუშა და სხვ.

რაგინდ იდეალურად არ უნდა იყოს შერჩეული სიმბოლოები, მაინც რჩება სფეროები, სადაც დიდება (სახელი) და ვალდებულება ერთმანეთს არ ემთხვევიან. ასეთი ფიასკო გულისხმობს განტევების ვაცის ან მასხარის საჭიროებას. „უდიდებულესობა უნდა განიწმინდოს — ბოროტება უნდა გადაეცეს განტევების ვაცს. გან-

ტევების ვაცის სიკვდილი, სცენაზე ბოროტმოქმედის გვამი ჩვენს საზოგადოებას ათავისუფლებს მისი ბოროტებისაგან და ჩვენ ინტელექტუალურად ვართ გავყვით ჩვენს ხელმძღვანელებს. მაგრამ მასხარის დაბადებაც ასევე შემსუბუქება ჩვენი მდგომარეობისა, რადგან ახლა ჩვენ ვიცით, რომ ბოლოს შეიძლება სიცილით ითქვას ისეთი რამეები, რაც ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდით თქმას იმის შიშით, რომ არ განგვერისხებინა ისინი, რომლებიც ვალდებული ვართ გვიყვარდეს, ან ისინი, რომელთა უცმაყოფილებას შეუძლია ჩვენ დაგვტანჯოს... ჩვენს ბელადებსაც ასევე შეუძლიათ მასხარის მეშვეობით სთქვან ისეთი რამეები, რომლის სერიოზულად თქმა მათი დიადობისთვის ზიანის მიყენების გარეშე მოუხერხებელი იქნებოდა... ძლევამოსილ ბელადს არ შეუძლია მარცხის აშკარად აღიარება. სიცილში როგორც ბელადი, ასევე ხელქვეითიც გამოდრან თავიანთი ერთგულებისა და რწმენის საზეიმო ნიშანიდან, იმისთვის რათა ამოეფარონ იჭვისა და კითხვის კომიკურ ნიშნებს. კომედიას შეუძლია გახსნას საიდუმლოება, რაც სოციალური კავშირის სიმბოლოებში იფარება. ტრაგედიას — ბურჟუაზიაში გაახვიოს იგი“.

კომედიის გმირი, მასხარა—სიცილით, ხოლო ტრაგედიის გმირი — სიკვდილით სპობს ბოროტებას, მანკიერებას. „როდესაც ჩვენ ერთად ვიცინით, ჩვენ არ შეგვიძლია გვძულდეს, რადგან ამ დროს განვიცდით ძმობის ღრმა გრძნობას ჩვენს საერთო უბედურებაში... ზეაყვანილი სიცილის დროს, დიდი და პატარა, ძლიერი, და უმწეო, სიცილის აქტით განმეორებით შეიგრძნობენ, რომ ისინი ერთრიგად და თანატოლად მიეკუთვნებიან ადამიანთა საზოგადოებას“.

ამ გაგებით, ათასი წლების განმავლობაში ხელოვნება კაცობრიობას ხელს უწყობდა, რათა სოციალური მდგომარეობით გამოწვეული დაძაბულობა ასატან პროპორციებამდე შეენელებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების სოცოლოგიის ბურჟუაზიული სპეციალისტები ვითომდა ცდილობენ ობიექტურად ასახონ და განმარტონ ხელოვნების ურთულესი საკითხები, სინამდვილეში არსად რამდენადმე შესამჩნევად არ სცილდებიან თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების გაბატონებული წრეების მოთხოვნილებას, ხოლო ხელოვნების მარქსისტული თეორიის რიგი ძირითადი დებულების დამახინჯებით ცდილობენ მარქსიზმის ვულგარიზაციას, რაც მაგალითად, იმაში გამოიხატება, რომ თითქოს ხელოვნების კლასობრივი ხასიათი აქ ერთადერთ და საყოველთაო კრიტერიუმად იყოს მიჩნეული.

ბურჟუაზიულ კონკრეტულ სოციოლოგიაში, განსაკუთრებით მიკროსოციოლოგიურ გამოკვლევებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერვიუ ანუ გამოკითხვის აქტი (რაც, ცხადია, ანკეტურ გამოკითხვასაც შეიცავს), როგორც მოვლენის გამოკვლევის მეთოდი.

გამოკითხვა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ორ ძირითად მომენტს: 1. გამოკითხვისთვის პიროვნების (პიროვნებათა ჯგუფის) შერჩევასა და 2. გამოკითხვის მონაცემთა დამუშავებას.

კონკრეტულ გამოკვლევათა ოთხი მეთოდიდან, — 1. დოკუმენტაციის შესწავლა, 2. უშუალო დაკვირვება, 3. სოციალური ექსპერიმენტი, — 4. ინტერვიუ ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება. მაინც ინტერვიუ სხვა არაფერია თუ არა საზოგადოებრივ მოვლენათა, ფაქტებისა და პროცესების შესახებ ცნობათა მოპოვება, რაც თავისთავად, ისევე როგორც ამ მასალის შესწავლა, რთული სოციოლოგიური სამუშაოს შესრულებას გულისხმობს.

ერთი ამერიკელი სოციოლოგის განმარტებით, ინტერვიუ „ესაა მიზანმიმართული საუბარი, რომლის ამოცანა იმდენად ფართოდ იცვლება, რომ შეიცავს, მაგალითად, შეხვედრას შერჩეულ კანდიდატთაგან ვაკანტური ადგილისთვის პიროვნების შერჩევისათვის, შეხვედრას განსაზღვრული სახით მიმართული მოქმედების გატარებისათვის, ანდა ინფორმაციის შეგროვების მიზნით მოწყობილ შეხვედრას“<sup>49</sup>.

მ. ბერნი და ე. ჰიუზი წერენ, რომ ინტერვიუ წარმოადგენს „ურთიერთობას ორ ადამიანს შორის, როდესაც ორსავე მხარეს ისე უჭირავს თავი, თითქოს მათ ამ დროს ერთგვარი სტატუსები ჰქონდეთ (მიუხედავად იმისა ასეა ეს ნამდვილად თუ არა) და როდესაც ორივე ისე იქცევა, თითქოს მათს საუბარს აზრი ჰქონდეს მხოლოდ სხვა მრავალრიცხოვან ანალოგიურ საუბართა მიმართებაში“<sup>50</sup>.

აქედან უკვე ის აზრი გამოდის, რომ ხსენებულ ამერიკელ სოციოლოგებს ინტერვიუ ესმით, როგორც ადამიანთა — გამოკითხველსა და გამოსაკითხს შორის — სპეციფიკური სოციალური ურთიერთშემოქმედების სახეობა. სწორედ ასეთი გარკვეული

<sup>49</sup> I. Mad ge, The Tools of Social Science, 1953, p. 144.

<sup>50</sup> The American Journal of Sociology, 1956, September, p. 141—142.

ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა მიაჩნიათ მათ მოპოვებულ ცნობათა სიზუსტისა და ჭეშმარიტების მთავარ პირობად.

ამ პირობათა შორის უწინარეს ყოვლისა ისინი ასახელებენ ე. წ. გამომკითხველის „პოზიციურ ნეიტრალობას“, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამომკითხველმა ინტერვიუს პროცესში არ უნდა გამოაქვეყნოს საკუთარი თვალსაზრისი და დამოკიდებულება ინტერვიუს საკითხებისადმი. დიდი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე გამომკითხველსა და გამოსაკითხს შორის მეგობრული, ამხანაგური, ინტიმური ატმოსფეროს შექმნას, რათა მოპოვებული ინფორმაცია გულწრფელი და ზუსტი ხასიათისა იყოს.

ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი ინტერვიუს სისრულესა და მთლიანობისათვის დიდ მნიშვნელობას აძლევს ცნობის მოპოვებისას „როლში შესვლის“ ანუ „როლში ცხოვრების“ ხერხს, რაც იმას გულისხმობს, რომ გამომკითხველმა (ინტერვიუერმა) გამოსაკითხი ადამიანი იმ როლში შეიყვანოს, რა ხასიათის ცნობაც სჭირდება გამომკითხველს. ასე, მაგალითად, კითხვაზე „ხომ არ ბრაზდებით თქვენ. როდესაც კომივოიაჟორი გავლენას ახდენს თქვენზე?“— ინტერვიუერი როგორღაც თვითონ უნდა გამოვიდეს კომივოიაჟორის როლში, რათა დაადგინოს გამოსაკითხი ადამიანის ნამდვილი რეაქცია. ამგვარად, ეს ხერხი (მეთოდი) გულისხმობს, ასე ვსთქვათ, ერთგვარი პიესის გათამაშებას.

კარგი და სწორი ინფორმაციის მიღების ხერხად მიჩნეულია აგრეთვე „რეტროსპექტიული ინტროსპექცია“, როდესაც ინტერვიუერი გეზის ასაღები შეკითხვებით ეხმარება ინტერვიუს მიმცემს შეახსენოს, აღადგინოს მეხსიერებაში წარსული სიტუაციის საინტერესო დეტალები.

სოციოლოგებმა, ცხადია, კარგად იციან, რომ ადამიანები ყოველთვის „როდი არიან დაინტერესებული“, რომ ეწეოდნენ მათს გამომკითხვას, ანეკდოტებს. ამიტომ საჭიროდ მიაჩნიათ, რათა სხვადასხვა ხერხით, შეანეკტემ (გამომკითხველმა) მორალურად. ზრდილობიანი მოპყრობით წააქეზოს მოანეკტე (გამოსაკითხი). საჭიროების დროს ის ეკითხება: „ხომ არ დაგღალათ თქვენ ინტერვიუმ (გამომკითხვამ)?“, ანდა, მაგალითად, „იქნებ არასასიამოვნოა თქვენთვის ეს ჩვენი საუბარი?“ და სხვ.

ცხადია, დიდი ყურადღება ექცევა ინტერვიუს ანუ ანეკტის კითხვართა შედგენას. კითხვები, როგორც წესი, უნდა იყოს აბსოლუტურად ნათელი (გასაგები). ამ ასპექტში ბუნდოვან კითხვად ითვლება, მაგალითად, „რატომ ყიდულობთ წიგნს?“ რთულ კითხვად ითვლება: „ყავა გირჩევნიათ თუ ჩაი“.



ინტერვიუს გზით მოპოვებული ცნობების აუთენტურობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოსაკითხი ადამიანის გულწრფელობას, რისი მიღწევისათვის აუცილებელია გამოკითხვის ტექნიკის დეტალური შემუშავება და წინასწარი შემოწმება, რამდენადაც გულწრფელობა მოპოვებულ ცნობათა ობიექტურობის აუცილებელი პირობაა. ამ თვალსაზრისით მიაჩნიათ, რომ ძნელია ასეთი ცნობების მიღება ინტიმურ, მაკომპრომენტირებელ და ზოგიერთ პოლიტიკური ხასიათის კითხვებზე, როგორიცაა, მაგალითად: „ქალწული იყავით თუ არა პირველი გათხოვებისას?“, „გახდებოდა თუ არა ადამიანთა მოტყუება?“, „ეთანხმებით თუ არა მთავრობის საგარეო გავრცობის პოლიტიკას?“ და მისთანანი.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა გამოსაკითხი პიროვნების (ჯგუფის) შერჩევას. ასეთი პირების (შაბლონების) შერჩევა, ამერიკელ სოციოლოგთა შეხედულებით, უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს, მაგალითად, რაიონის მოსახლეობის სიაში უნდა გამოყონ ყოველი მეხუთე, ან მეათე და ა. შ.

ასხვავებენ თვით გამოკითხვის ორ სახეს: ა. შემოქმედებითს, როდესაც გამომკითხველი აქტიურ როლში გამოდის და ცდილობს „მოიპოვოს“ ცნობები „ფსიქოლოგიური ტექნიკის“ გამოყენებით, დამატებითი კითხვების მიცემით, და 2. მასობრივს, როდესაც ყველა გამოსაკითხი პირისთვის მხოლოდ ერთგვარი კითხვებია დასმული.

მაგრამ პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ასეთი, სახელდობრ შემოქმედებითი გამოკითხვის მეოხებით, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის დროს, გამოსაკითხი ადამიანი „უფრო შეგნებული ხდება“, ვინემ ის ნამდვილად არის, მით უფრო, რომ ასეთ პირობებში გამომკითხველის „დახმარების“ წყალობით ინტერვიუს ეძლევა გარკვეული მიმართულება, რასაც ზოგიერთი სოციოლოგი თერაპევტულ ინტერვიუს უწოდებს.

ამერიკაში ინტერვიუს ერთ-ერთი პოპულარული სახეა რ. მერტონისა და პ. კენდალის მიერ შემუშავებული ფოკუსირებული ინტერვიუ. მისი მთავარი ამოცანაა დაადგინოს ფარული, სპეციფიკური ფაქტორი, როდესაც მოცემულია საერთო არადიფერენცირებული ფაქტორი. მაგალითად, დადგენილია, რომ ამომრჩეველთა მიმხრობას ხელს უწყობს ინდივიდუალური საფოსტო მოწოდება ხმის მიცემის შესახებ. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ: ამ ბარათში სახელდობრ რომელმა პუნქტმა მოახდინა ამომრჩეველზე გადამწყვეტი გავლენა. ამ სახის ინტერვიუში ფართოდ გამოიყენება რეტროსპექტული ინტროსპექცია.

სოციოლოგებს შემუშავებული აქვთ სათანადო კიოხვები ფოკუსირებული ინტერვიუსთვის. ასეთებია: არასტრუქტურული კითხვები („რა მოგეჩვენათ ყველაზე მნიშვნელოვნად ამ ბარათში?“), ნახევრადსტრუქტურული („რა ისწავლეთ ამ სტატიის, რადიოგადაცემის მეოხებით, ისეთი რაც აქამდე არ იცოდით?“), მთლიანად სტრუქტურული („როდესაც ჯონსონს უსმენთ, რას ფიქრობთ — პროპაგანდისტია ის თუ აგიტატორი?“).

უკანასკნელ ხანებში სწრაფად ვრცელდება ე. წ. ტენდენციური ინტერვიუ, როდესაც ერთი კაცის გამოკითხვას ეწევა რამდენიმე. დროის ეკონომია ნათელია. გამოსაკითხი შეუწყვეტილ ლაპარაკობს, ორი გამოკითხველი იწერს მის პასუხებს. თუ ერთი გამოკითხველის მიმართ გამოსაკითხმა „უგუნებობა“ (უხალისობა) გამოიჩინა, ვითარების ნეიტრალიზაცია შეუძლია გამოიწვიოს მეორის მიმზიდველობამ. „ორი ჰკუა ერთზე უკეთესია“.

ტენდენციური ინტერვიუს უპირატესად მიმართავენ, როდესაც:

1. გამოსაკითხავია მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის და, იგულისხმება, ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანი, და
2. როდესაც გამოსაყოფია ზოგიერთი სპეციფიკური რამ გამოსაკითხი პიროვნებისა; ასეთი ინტერვიუს მეოხებით შეიძლება ჩვეულებრივი ინტერვიუს გზით მიღებული ცნობის შემამოწმებელი მასალის მოპოვება.

გამოკითხვის ყველაზე გავრცელებული და უკანასკნელ ხანებში გაბატონებული ფორმაა პ. ლაზარსფელდის მიერ შემოღებული პანელური ინტერვიუ, რაც გულისხმობს დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსახლეობის ერთსადამიჯე ჯგუფის „ტალღებად“ ჩატარებულ განმეორებად გამოკითხვას.

1948 წ. აშშ გამოჩენილ სოციოლოგთა ჯგუფმა რ. ბერელსონმა, პ. ლაზარსფელდმა და სხვ. ქ. ელმირში ამ წესით ჩატარეს სამრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემის პროცესის გამოკვლევა.

გატარდა გამოკითხვის 4 „ტალღა“: I — ივნისს, როდესაც კითხვარი შეეხებოდა ზოგად ცნობებს შესახებ იმისა, თუ უპირატესად საიდან გებულობენ გამოკითხულნი ახალ ამბებს: გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, საუბრებიდან, რადიოთი, ტელევიზიით; — რამდენად არიან ისინი დაინტერესებულნი პოლიტიკით, არჩევნებით და რას ფიქრობენ მის (არჩევნების) პერსპექტივებზე და ა. შ. ეს იყო, საცდელი კითხვები; II „ტალღა“ ჩატარდა აგვისტოს, როდესაც უკვე დაწვრილებითი პასუხები უნდა გაეცა გამოსაკითხს არჩევნებისადმი თავისი დამოკიდებულების კითხვებზე, თუ ვის აძლევს უპირატესობას, ვის მისცემს ხმას და რატომ და სხვ.; III „ტალღა“ მოეწყო ოქტომბერს, დაახლოებით იმავე კითხვებით; ხოლო IV

„ტალღა“ ნოემბერის — 2 ნომბერის უკვე ჩატარებული არჩევნების შემდეგ. აქ დასმული იყო კითხვები: მიიღო თუ არა მონაწილეობა არჩევნებში, ვის მისცა ხმა, რომ აღრევე ცოდნოდა ტრუმენსა და დიუის შორის ძლიერი შეჯიბრების შესახებ, ხომ არ მოახდენდა ეს გავლენას ხმის მიცემაზე, მოისმინა თუ არა ტრუმენის, დიუის, უოლისის სიტყვები, როგორ აფასებს ის ტრუმენსა და სხვ. მიერ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას და სხვ.

განმეორებადი ინტერვიუს მიზანია ცნობების მოპოვება იმ ცვლილებათა შესახებ, რაც ხდება ისეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთა გატარების დროს, როგორიცაა არჩევნები — თუ რა გავლენას ახდენს მასზე პოლიტიკურ მოღვაწეთა პრესტიჟი, პოლიტიკური კურსის შეცვლა, პროფკავშირების მონაწილეობა და სხვ.

პროფესორების ბერელსონისა და ლაზარსფელდის მიერ პანელური ინტერვიუს გზით მოპოვებულმა მასალამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება გამოავლინა. ისინი, მაგალითად, წერენ, რომ, როგორც წესი, „რესპუბლიკებს მდიდარი ადამიანები უფრო აძლევენ ხმას, ვინემ ღარიბები“; „ქალები საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიებში ნაკლებად იზღუდებიან თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით; „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები რაც უფრო თანმიმდევრულად აკუთვნებენ თავიანთ თავს საკუთარ ეროვნულ ჯგუფებს მით უფრო ხმას აძლევენ დემოკრატებს“ და სხვ.

რ. ბერელსონმა და კომბ. მაინც ვერ შეძლეს მოეცათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თანმიმდევრული მეცნიერული გამოკვლევა, რამდენადაც ისინი ვერ ჩაწვდნენ ამ მოვლენის მიზეზებისა და კანონზომიერებათა სიღრმისეულ პროცესებს და ეს, შეტანაკლები ზომით, შეიძლება ითქვას საერთოდ ინტერვიუზე დაფუძნებულ ბურჟუაზიულ სოციოლოგთა თითქმის ყველა გამოკვლევის შესახებ.

ინტერვიუ საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას იძლევა გამოკვლევებში, რომლებიც მიზნად ისახავენ სინამდვილისადმი ადამიანთა შეგნებული (ცნობიერი) დამოკიდებულებების ასახვას. მაგალითად, თუ როგორ ესმით საზოგადოების კლასობრივი დაყოფა და საკუთარი კლასობრივი მდგომარეობა; რა სიტყვებით გამოთქვამენ კლასობრიობის მაჩვენებელ (აღმნიშვნელ) ცნებებს; როგორ ხსნიან სხვადასხვა კლასის ადამიანთა სხვადასხვაგვარ ყოფაქცევას; რამდენად გარკვევით შეუძლიათ თავისი თავი მიაკუთვნონ ამა თუ იმ კლასს და გამოთქვან საკუთარი კლასობრივი ინტერესები და სხვ. მაგრამ ამ მიმართულებით სოციოლოგიური კვლევა-ძიების გა-

დრმავეებისაჲენ ბურჟუაზიული სოციოლოგები, ცნობილი მიზნებში-  
სა გამო, ნაკლებად მიისწრაფვიან.

კონკრეტულ სოციოლოგიაში მასობრივი საუბრის ერთ-ერთი  
გაურცელებული ფორმაა გამოკითხვის ფურცელი ანუ  
ანკეტი.

სოციოლოგიურ გამოკვლევაში რაოდენობრივი და თვისობრი-  
ვი მონაცემების მოსაპოვებლად ანკეტურ მეთოდს კ. მარქსი დიდ  
მნიშვნელობას ანიჭებდა. „ჯერ კიდევ ვერც ერთ მთავრობას... ვერ  
გაუბედნია საფრანგეთის მუშათა კლასის მდგომარეობის სერიოზუ-  
ლი ანკეტის ჩატარებაო“<sup>51</sup>, აცხადებს ის.

კ. მარქსმა მოგვცა ამგვარი გამოკვლევის ჩატარებისთვის სა-  
ჭირო ანკეტური გამოკითხვის წესების შესახებ სახელმძღვანელო  
მითითება: „პასუხებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი კითხვის  
რიგითი ნომერი. არაა სავალდებულო უპასუხო ყველა კითხვაზე,  
მაგრამ ჩვენი რჩევაა გაცემული პასუხები შეძლებისამებრ შინაარ-  
სიანი და დაწვრილებითი იყოს. პასუხის გამცემი მუშა ქალის ან  
მუშის სახელი სპეციალური ნებართვის გარეშე არ იქნება გამოქვე-  
ყნებული; მაგრამ სახელი და აგრეთვე მისამართიც უნდა ვუჩვენოთ.  
რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს კავშირის დამ-  
ყარება“<sup>52</sup>.

კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევაში უშუალო და-  
კვირვების მეთოდით მასალის მოპოვებას მარქსიზმის კლასი-  
კოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ფრ. ენგელსი წერს: „მე საშუალება მქონდა 21 თვის განმე-  
ლობაში უშუალოდ, პირადი დაკვირვებითა და პირად ურთიერთო-  
ბაში შემესწავლა ინგლისის პროლეტარიატი, მისი მისწრაფება, მი-  
სი ტანჯვა და სიხარული, ერთდროულად ვავსებდი რა ჩემს დაკვირ-  
ვებას აუცილებელი აუთენტური წყაროებიდან მოპოვებული ცნო-  
ბებით. ამ წიგნში გადმოცემულია ის, რაც მე ვნახე, გავიგონე, წა-  
ვიკითხე“<sup>53</sup>.

კონკრეტული სოციოლოგია უკანასკნელ ხანებში სწრაფად ვი-  
თარდება საბჭოთა კავშირში. „კონკრეტულ სოციალურ გამოკვლე-  
ვათა“ ფართო ნიადაგზე დაყენება საბჭოთა სოციოლოგების საპა-  
ტიო ამოცანაა<sup>54</sup>. სოციალური ექსპერიმენტი, მის მონაცემთა თეო-  
რიული დამუშავება და ანალიზი, განზოგადება, ცხადია, ბევრად  
უფრო მეტ შედეგებს მიაღწევს მეცნიერთა (ეკონომისტების, ფი-

<sup>51</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 19, стр. 572.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 573.

<sup>53</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. 2, стр., 238—239.

<sup>54</sup> XXIII съезд КПСС и вопросы идеологической работы, стр. 38.

ლოსოფიების, იურისტების, ფსიქოლოგების) და პრაქტიკის მუშაობა (პარტიული, მეურნეობრივი, პროფკავშირული აქტივის) კოლპერაციის ვითარებაში, მით უფრო რომ საბჭოთა სოციოლოგიების მიერ მოპოვებულ მრავალმხრივ მასალათა შესწავლა აუცილებელს ხდის მათემატიკის, სტატისტიკის მეთოდების, საანგარიშო მანქანათა გამოყენებას.

## V. საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაცია

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ამ აკადემიის ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და სამართლებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან 1958 წელს შეიქმნა სოციოლოგიური ასოციაცია.

1958 წლის 19 ივნისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში შედგა დამფუძნებელი კრება, სადაც ხსენებული ასოციაციის წევრ-დამფუძნებლად გამოვიდნენ: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, სამართლისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტები, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთისა და ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიების ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომისა და ხელფასის კომიტეტის შრომის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და რიგი სხვა მეცნიერულ-კვლევითი და უმაღლესი სასწავლო ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ სოციოლოგიის სფეროში.

დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული წესდებით საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის ამოცანებს შეადგენს:

1. იკისროს სოციოლოგიურ პრობლემებზე მომუშავე საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციოლოგიურ ასოციაციაში და საზღვარგარეთულ სოციოლოგთა სხვა ორგანიზაციებში;

2. განამტკიცოს სოციოლოგიის სფეროში მომუშავე საბჭოთა მეცნიერების კავშირი საზღვარგარეთელ სოციოლოგებთან და, აგრეთვე, მათ საერთაშორისო და ნაციონალურ ორგანიზაციებთან — სოციოლოგიის განვითარების ინტერესებისათვის;

3. სსრ კავშირში სოციოლოგიის განვითარების შესახებ უცხოეთში შესაბამის მასალათა გავრცელება;



4. სსრ კავშირში სოციოლოგიის სფეროში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა,

5. სოციოლოგიის ცალკე პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო თათბირებისა და აგრეთვე სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საერთაშორისო თათბირის მოწყობა და ჩატარება;

6. ასოციაციის წევრ-დაწესებულებათა მიერ საერთო ძალებით მომზადებული მეცნიერული ნაშრომების გამოცემისათვის ხელის შეწყობა;

7. სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წინაშე სოციოლოგიური საკითხების დაყენება და საერთაშორისო სოციოლოგიურ კონგრესებსა და კონფერენციებზე საბჭოთა მეცნიერების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მომზადება და გატარება.

8. საერთაშორისო სოციოლოგიური და საზღვარგარეთის ნაციონალურ-სოციოლოგიური ასოციაციების მუშაობის შესახებ საბჭოთა მეცნიერული საზოგადოებრიობის ინფორმაცია;

9. საერთაშორისო სოციოლოგიური კონგრესების, კონფერენციებისა და თათბირების მომზადებასთან ან შედეგებთან დაკავშირებით საკითხების დასმა შესაბამის საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებათა წინაშე;

10. სოციოლოგიის სფეროში მომუშავე საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა შორის წიგნთა გაცვლის და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

წესდების მიხედვით საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის წევრად შეიძლება იყვნენ სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრები და ჟურნალების რედაქციები, რომლებიც ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონზომიერებათა და კონკრეტულ საკითხთა შესწავლის სფეროში. ასოციაციის წევრებად პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება ინდივიდუალური წესით მიღებულ იქნან აგრეთვე ცალკეული გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ სოციოლოგიურ პრობლემათა შესწავლაზე.

საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აკადემიკოსები: ი. პ. ფრანცევი, პ. ნ. ფედოსევი, პ. ს. რომაშკინი, ა. ა. არზუმანიანი; უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. მ. მუმინოვი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ფ. ოსტრიანი, პროფ. პ. ბ. გუგუ-

შვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. ი. პოტეხინი, ფი-  
ლოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ც. ა. სტეპანიანი, პროფესო-  
რი ვ. ს. მოლოდცოვი და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდა-  
ტი ნ. ბ. იგნატიევი.

საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარედ არ-  
ჩეულია ი. პ. ფრანცევი, პასუხისმგებელ მდიანად ნ. ბ. იგნატიევი.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საერთაშო-  
რისო სოციოლოგიურ ასოციაციაში შესვლის შესახებ და საერთაშო-  
რისო სოციოლოგიური ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტში  
თავის მუდმივ წარმომადგენლად გამოყო საბჭოთა სოციოლოგიუ-  
რი ასოციაციის თავმჯდომარე ი. პ. ფრანცევი.

საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის დაარსებით უკვე შეი-  
ქმნა საჭირო პირობა ჩვენი მეცნიერების მხრივ საზღვარგარეთის  
მეცნიერებთან სისტემატური კავშირის დამყარებისათვის. როგორც  
ცნობილია, თანამედროვე სინამდვილის და საერთოდ საზოგადოებ-  
რივი განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის სფეროში მრავ-  
ალი პრობლემაა ისეთი, რომლებიც მოითხოვენ სხვადასხვა წრის  
მეცნიერთა შორის აზრთა სისტემატურ გაცვლას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაგროვდა დიდძალი მასალა,  
რაც ნათლად მოწმობს სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრებაში კარდინალ-  
ურ სოციალურ ცვლილებათა შესახებ. კაპიტალისტური ქვეყნე-  
ბის რიგი გამოჩენილი მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენენ სოცია-  
ლისტური ბანაკის ქვეყნების მეცნიერთაგან სოციოლოგიის სფე-  
როში ჩატარებული მეცნიერული მუშაობისადმი.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რასაც განსაკუთრებულ ყუ-  
რადღებას მიაქცევს საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაცია, ესაა სა-  
კითხი მშვიდობიანი თანაარსებობისა, რასაც დიდად შეუწყობს ხელს  
სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა შორის კულტურულ და მეცნიე-  
რულ მიღწევათა გაცვლა, ურთიერთშორისო კონტაქტების დამყა-  
რება, სისტემატური ინფორმაცია და ა. შ.

## VI. სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში

სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი მიმდინარეობდა იტა-  
ლიაში (1959 წ. 8—15 სექტემბერს). კონგრესის პირველი დღის  
ორივე სხდომა შედგა ჯ. მილანში — უნივერსიტეტსა და ლეონარ-

დო და ვინჩის ლიცეუმში, ხოლო მეორე დღიდან მთელი მუშაობა გადატანილ იქნა ქ. სტრეზაში — კონგრესთა სასახლეში.

IV კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა ათასამდე სოციალოგი — მსოფლიოს მრავალი ათეული სახელმწიფოდან.

საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. პ. ნ. ფედოსეევი. დელეგაციაში შედიოდნენ გამოჩენილი საბჭოთა სოციოლოგები: აკად. ვ. ნემჩინოვი, აკად. ი. ფრანცევი, პროფესორები: ა. ბოგოუტდინოვი, ნ. გრაშჩენკოვი, მ. კამარი, ა. ოკულოვი, თ. ოიზერმანი, ა. შიშკინი; დოცენტები: ი. სემიონოვი, ა. ხარჩევი, ე. არაბოლი, ლ. ჩიკოლინი, აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორი.

ამ კონგრესს ესწრებოდნენ აგრეთვე სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ცნობილი სოციოლოგები: აკად. ე. მოლინარი (უნგრეთი), პროფ. ლ. სვობოდა (ჩეხოსლოვაკია), პროფ. პ. შელლერი (გდრ), პროფ. ი. შჩეპანსკი (პოლონეთი), პროფ. ვ. მალინსკი, პროფ. ყ. ნატანი (რუმინეთი), პროფ. უ. ოშავკოვი (ბულგარეთი) და სხვ.

დასავლეთის ქვეყნებიდან კონგრესზე იყვნენ ბურჟუაზიული სოციოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროფესორები: რ. აგო, ტ. აღორნო, რ. ანგელი, პ. ატესლანდერი, რ. არონი, ფ. ბატალია, პ. ბეკერი, ტ. ბოტომორი, ფ. ბურიკო, ფ. ბლიუმი, ე. ბოიქსი, ი. გალტუნგი, გ. გერმანი, რ. გიროდი, დ. გოლდშმიდტი, ნ. გროსი, ლ. გუტმანი, გ. კატლინი, რ. კლემენსი, რ. კიონიგი, ლ. ლივი, პ. ლეო, პ. ლაზარსფელდი, ტ. მარშალი, რ. მერტონი, გ. მიურდალი, ო. ნოილონი, ტ. პარსონსი, ყ. ფრიდმანი, ე. ფრიდენბერგი, ა. დენ-ჰოლანდერი, ტ. ჰაიასე და სხვ. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოციოლოგებმა.

ლომბარდიის ინდუსტრიული და კულტურული გულის ქ. მილანისა და მშვენიერი ლაგო მაჯორეს ნაპირას აშენებულ კომფორტაბელურ საკურორტო ქალაქ სტრეზას ბაღნარად გადაშლილი შემოგარენის მოსავლით, ჭირნახულით, ხეხილით დახუნძლულ, ადრე შემოდგომის ჭრელფოთლება დღეებში, საერთაშორისო პოლიტიკური ჰაერის თბილი სიო თითქოსდა შემპარავი ღიმილით ესალბუნებოდა და ურთიერთის მიუთხრობელი მშვენიერებით ერთრიგად ხიზლავდა საზოგადოებთმეტყველების როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალისტური ბანაკის აქ შეკრებილ ჭურუმებს.

საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის მხრივ კონგრესს მუშაობა მოუხდა ხელსაყრელ ვითარებაში. ეს იყო საბჭოთა მშვიდობიანი პოლიტიკის ერთ-ერთი დიდი გამარჯვებისა და, ამასთანავე,

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი წარმატების — საბჭოთა რაკეტის მთვარეზე მოხვედრის დღეები.

ამ ვითარებას ცხადია არ შეეძლო დადებითად არ ემოქმედა და უფრო არ გაეძლიერებინა ბურჟუაზიულ სოციოლოგთა ინტერესები საბჭოთა მეცნიერებისადმი, სოციალისტური ქვეყნების ისტორიული გამოცდილების შესწავლისადმი, სოციოლოგიის სფეროში მეცნიერული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისადმი.

კონგრესის მუშაობას არსებითად წარმართავდნენ ამერიკელი და ინგლისელი სოციოლოგები. საქმე ისაა, რომ საბჭოთა სოციოლოგები IV კონგრესამდე არ იყვნენ სსა წევრები და, ამგვარად, მათ საშუალება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ კონგრესის მომზადებასა და მისი მუშაობის ხელმძღვანელობაში<sup>55</sup>. ბურჟუაზიული მეცნიერები კი, ცხადია, სოციოლოგიის ამოცანების მათთვის დამახასიათებელი გაგების შესაბამისად წარმართავდნენ დისკუსიებს. სადაც ისინი გაუბრუნდნენ ზოგად თეორიულ პრობლემებზე მსჯელობას და ყურადღებას ამახვილებდნენ უმთავრესად ემპირიული სოციოლოგიის საკითხებზე.

აქ საჭიროა ითქვას, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერებს თანამედროვე ამერიკული სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიაჩნიათ სწორედ ემპირიული და აღწერილობითი მეთოდის გაბატონება საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლაში.

ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული სოციოლოგიური ჟურნალი თავისი არსებობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის პროფ. ს. ტეილორის პირით აცხადებდა, უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე სოციოლოგიის ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისაა, რომ: 1. „სოციალური თეორია შეიქმნა ნაკლებად ფილოსოფიური და ისტორიული და მეცნიერული აზრით უფრო გასაგები“; 2. რომ „სოციოლოგიის ე. წ. მიღწევებში გაბატონდა ემპირიული კვლევა-ძიება“<sup>56</sup>.

როგორც სოციოლოგთა III მსოფლიო კონგრესზე ინგლისური სოციოლოგიის ძირითად მიმართულებათა შესახებ მოხსენებით გამოსულმა ბრიტანეთის ნაციონალური სოციოლოგიური ასოციაციის მდივანმა პროფ. კონ ბეიჯმა აღნიშნა, ამჟამად ინგლისელ სოციოლოგთა შორისაც თეორია არ სარგებლობს ჯეროვანი პატივისცემით და აქ სოციოლოგიურ გამოკვლევათა უდიდესი ნაწილი მიზნად

<sup>55</sup> IV კონგრესმა აირჩია სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ახალი ხელმძღვანელი ორგანო, — აღმასრულებელი კომიტეტი, — რომლის წევრებაც საბჭოთა კავშირის დელეგაციიდან არჩეულ იქნენ აკად. ი. ფრანცევი და პროფ. პ. გუგუშვილი.

<sup>56</sup> „Sociology and Social Research“, 1956, t. 40, p. 412.

ისახავს ამა თუ იმ პრაქტიკული პრობლემების, ე. ი. რაიმე სოციალური რეფორმის გატარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესწავლას.

ამ მხრივ უკანასკნელ წლებში ინგლისელ სოციოლოგთა ყურადღება მიმართულია უმთავრესად მრეწველობის როგორც საერთო, ისე რეგიონალურ და აგრეთვე ცალკე საწარმოთა საკითხებისაკენ. შემდეგ მოდის სოციოლოგია აღზრდის, პოლიტიკის, ჯანდაცვის, ეკონომიკის, რასობრივ ურთიერთობათა და სხვ.

ცნობილი სოციოლოგი პროფ. ტ. ბოტომორი თავის სტატიაში „თანამედროვე ინგლისური სოციოლოგია“, აცხადებს, რომ უკანასკნელ წლებში, ინგლისელ სოციოლოგთა შორის შეიმჩნევა თეორიული პრობლემებისადმი ინტერესის აღორძინება<sup>57</sup>.

ამასთანავე, თვით ტ. ბოტომორის აზრით, აუცილებლობა არ მოითხოვს, რომ სოციოლოგებმა იმუშაონ საყოველთაო (უნივერსალური) თეორიის შექმნაზე და რომ უფრო მიზანშეწონილია, რათა სოციოლოგია „ხელს უწყობდეს პრაქტიკული პრობლემების უფრო ეფექტურ გადაჭრას და აგრეთვე საერთო კეთილდღეობას“<sup>58</sup>.

ემპირიული გამოკვლევები, ფაქტოგრაფია — მთავარი დამახასიათებელი ნიშანია თანამედროვე ფრანგული სოციოლოგიისა, სადაც ამა თუ იმ სოციალური ფაქტის აღწერა, ციფრობრივი გაანგარიშებანი და მათი ურთიერთშედარება, თითქმის ყოველგვარ განზოგადებათა გარეშე, ყველაზე მეტადაა მოწონებული ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის.

პროფ. ჟან სტეტცელი (ერთერთ ამერიკულ კრებულში გამოქვეყნებულ სტატიაში „სოციოლოგია საფრანგეთში“)<sup>59</sup> წერს, რომ თანამედროვე ფრანგული სოციოლოგიის ძირითადი ტენდენცია გამოიხატება ემპირიულ განხრაში, თუმცა იგი იმედოვნებს, რომ ამ

<sup>57</sup> „Cahiers Internationaux de Sociologie“, V, XVIII, 1955, Janvier-Juin.

<sup>58</sup> ტ. ბოტომორი (T. Bottomore), ეკონომიკისა და პოლიტიკური ორდნათა ლონდონის სკოლის პროფესორი, საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის მდივანი; დღახანს მუშაობდა საფრანგეთში, სადაც სწავლობდა სოციალურ სტრატეგიკას.

იგი გულმოდგინედ ეწევა მარქსიზმის ფალსიფიკაციას. 1956 წ. მისი რედაქციით ლონდონში ინგლისურად გამოიცა „კ. მარქსის რჩეული სოციოლოგიური და ფილოსოფიური ნაწარმოებები“; ამავე თემაზე გამოქვეყნებული აქვს საკუთარი გამოკვლევაც. მისი მთავარი ნაშრომია *Classes in the Modern Society* (1955 წ.). სტატიაში „მოსაზრებანი შემეცნების სოციოლოგიის შესახებ“ (1958 წ.) ამაოდ ცდილობს მარქსიზმის ზოგიერთი ძირითადი დებულების „მოდერნიზაციას“.

<sup>59</sup> *Modern Sociological Theory in Continuty and Change*, 1957, New-York.



ტენდენციას არ მოუსპია ფილოსოფიური, აკადემიური ორიენტაცია ფრანგული სოციოლოგიისა. მას მხედველობაში აქვს განსაკუთრებით ცნობილი ფრანგი რეაქციონერი სოციოლოგის ჟორჟ გურვიჩის შრომები.

ემპირიულ სოციოლოგიაში, სტეტცელის<sup>60</sup> აზრით, უკანასკნელ წლებში მთავარი იყო გამოკვლევები სოფლისა და ქალაქის პრობლემებზე და საერთოდ ეკონომიკის სოციოლოგიიდან კი — ინდუსტრიული წარმოებისა, შრომისა და წარმოებრივი ტექნიკის შესახებ.

მაგრამ ამ ასპექტშიც, მაგალითად, ინდუსტრიული შრომის შესწავლის დროსაც კი ბურჟუაზიული სოციოლოგები, მაგალითად, ჟორჟ ფრიდმანი<sup>61</sup>, უპირატესად წმინდა ტექნიკური და „ფსიქოლოგიური ასპექტებით“ არიან დაინტერესებულნი, რათა მიჩქმალონ შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ანტაგონიზმი.

## VII. კონგრესის პროგნოზი და ორბანიზატორთა სულისკვეთება

IV კონგრესი მიეძღვნა პრობლემას: „ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა დ ა ს ო ც ი ო ლ ო გ ი უ რ ი ც ო დ ნ ა“, ანუ სხვა სიტყვებით: „სოციოლოგია მის სოციალურ კონტექსტში“.

<sup>60</sup> ჟ. სტეტცელი (J. Stoetzel), ბორდოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა პროფესორი. საზოგადოებრივი აზრის ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი; მას დიდი სახელი მოუხვეჭა უფრო მისი ნაშრომების სენსაციურმა სათაურებმა, განსაკუთრებით წიგნმა — „Jeunesse sans chrysanthème ni sabre — უქრიზანტემო და უხმლო ახალგაზრდობა“ (1957 წ.); თუმცა, უნდა ითქვას, თანამედროვე ფრანგი ახალგაზრდობის წინაშე მდგარი რიგი სოციალური და მორალური მომენტის „ნამდვილ ბუნებაში შედწევის“ ერთგვარ უნარსაც ამჟღავნებს.

<sup>61</sup> გ. ფრიდმანი (G. Fridmann), დაიბადა 1902 წ. პარიზის უნივერსიტეტის პოლიტიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტის პროფესორი; იყო საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი. 1936 წ. იყო სსრ კავშირში. მართალია „აკრიტიკებს“ კაპიტალიზმის ზოგიერთ მანკიერებას, ზოგჯერ მოჰყავს კ. მარქსის დებულებებიცა და სხვ., მაგრამ ნამდვილად ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტია.

ჟ. ფრიდმანი უმთავრესად შრომის სოციოლოგიის საკითხებზე მუშაობს. ამ მხრე მისი მთავარი ნაშრომია *Problèmes humains et machinisme industriel* (1949 წ.). აქ მან წამოაყენა ე. წ. „შრომის ჰუმანიზაციის“ თეორია, რაც ამტკიცებს, რომ თითქმის კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში შესაძლებელი იყოს მუშათა კლასის „ჰუმანიზაცია“, რაც მას არსებითად, წარმოდგენილი აქვს, როგორც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის მოსპობის შესაძლებლობა. ეს თეორია ახლო კავშირშია „მრეწველობაში ადამიანურ ურთიერთ-

გარდა ზოგადი ხასიათის საკითხებისადმი მიძღვნილი პლენარული სხდომებისა, კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა ინდუსტრიის სოციოლოგიის, სოფლის მეურნეობის, სოციალური გეგმიანობის, ქალაქებისა და სოფლების გეგმიანობის, განათლების, ჯანდაცვის, სახელმწიფოებრივი მმართველობისა და ორგანიზაციის, მედიცინის, ოჯახის, ეთიკის, მასობრივი კომუნიკაციების, რასობრივ ურთიერთობათა, მოსახლეობის, სოციალურ მიმართულებათა საზოგადოებრივი ასპექტების, მოცლილობის სოციოლოგიისა და სხვა კონკრეტული პრობლემისათვის მოწყობილ სექციებში.

კონგრესის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა კერძოდ ვიწრო საკითხებისადმი მიძღვნილმა სემინარებმა და სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგთა პირადმა შეხვედრებმა, ლიტერატურის გაცვლამ და სხვ.

ბურჟუაზიულ სოციოლოგებს ნავარაუდევია ჰქონდათ კონგრესის მთელი მუშაობისათვის მიმართულება მიეცათ პირველ პლენარულ სხდომაზე გამოტანილი რაიმონ არონის მოხსენებით: „თანამედროვე საზოგადოება და სოციოლოგია“.

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის, გაზ. „ფიგაროს“ ერთ-ერთი რედაქტორისა და საერთოდ ცნობილი ბურჟუაზიული სოციოლოგის რ. არონის მთელი გამოხვლა მიმართული იყო მარქსიზმის წინააღმდეგ. ამასთანავე, თანამედროვე სოციოლოგიის საწყისების გაშუქებისას ის ო. კონტისა და მ. ვებერის გვერდით აღნიშნავდა კ. მარქსის დამსახურებას და თანვე მიუთითებდა, რომ ყოველ ქვეყანაში სოციოლოგიის ხასიათის ახსნა შეიძლება მხოლოდ მის „სოციალურ კონტექსტთან“ კავშირში.

მაგრამ, სინამდვილეში რ. არონი ამოდიოდა აბსოლუტური რელატივიზმის პოზიციებიდან და ფაქტიურად უარყოფდა სოციოლოგიის ობიექტურ-მეცნიერულ ხასიათს. იგი იქამდეც კი მივიდა, რომ ჩირქს სცხებდა საბჭოთა საზოგადოებრივ ურთიერთობათ და აცხადებდა, რომ საბჭოთა სოციოლოგია „ტოტალიტარიზმის“, ხოლო ამერიკული—„დემოკრატიზმის“ იდეოლოგია არისო. ამასთანავე საბჭოთა საზოგადოებათმეცნიერება, მისი დახასიათებით, თითქმის ფაქტების კონკრეტული კვლევის ნაცვლად გატაცებულია არაფრად გამოსადეგი, თითქმის მითიური საყოველთაო კანონების ძიებით, მომავლის წინასწარჭვრეტით, რაც სხვა არაფერია თუ არა „ბედნიერი დასასრულის“ შეპირებაო.

ბათა“ დამყარების ბურჟუაზიული სოციოლოგიის იმ მიმართულებასთან, რომელიც ცდილობს მიჩქმალოს იმპერიალიზმის პერიოდში მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და კლასობრივი ბრძოლების გამწვავების ფაქტი.

რ. არონი მაინც აღიარებდა: გვინდა თუ არ გვინდა ფაქტია, რომ „მილიონობით ადამიანები თავის თავს თვლიან მარქსის მოძღვრების მიმდევრებად“. ამავე დროს ის ამტკიცებდა, რომ „ამერიკულ სოციოლოგიასა და საბჭოთა სოციოლოგიას შორის წინააღმდეგობა, ალბათ, აიხსნება ამ ორი ქვეყნის სოციალური კონტექსტით“.

უახლესმა ბურჟუაზიულმა სოციოლოგიამ, საზოგადოებრივი ცნობიერების საზოგადოებრივი ყოფიერებისადმი დამოკიდებულების მარქსისტულ მოძღვრებას დაუპირისპირა „ფაქტორთა თეორიის“ ყაიდაზე შეთხზული ეკლექტიკურ-იდეალისტური ცნება „სოციალური კონტექსტისა“, რაშიაც ის ათავსებს საზოგადოების მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების ფრიადმრავალგვარ მოვლენას.

რამდენადაც ყოველი ქვეყნის სოციოლოგია „შეკრულია სოციალური კონტექსტით“, ამდენადვე შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგთა შორის და განსაკუთრებით კი სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების სოციოლოგთა შორის ურთიერთგაგებაო. ასეთი დასკვნით პროფ. რ. არონი თავის სმას არსებითად უკვე უერთებდა „ცივი ომის“ მესტიყვეთა ღაღადისს.

ბურჟუაზიულ სოციოლოგთა ცდამ, კონგრესის მუშაობა წარემართათ მარქსიზმ-ლენინიზმის და, მაშასადამე, საბჭოთა საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგ, სრული ფიასკო განიცადა.

პირველი სხდომიდანვე სოციალისტური ქვეყნებისა და საერთოდ მარქსისტმა სოციოლოგებმა, საბჭოთა მეცნიერების მეთაურობით მთელის სიცხადით უჩვენეს ბურჟუაზიული რეაქციული სოციოლოგიის უსუსურობა და, ამასთანავე, კონგრესის მიმდინარეობის მთელ მანძილზე, თავიანთ ორმოცამდე გამოსვლაში, ნათელყვეს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქებაში მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიის მეცნიერული ძლიერება.

აღსანიშნავია, რომ ზოგმა ბურჟუაზიულმა სოციოლოგმაც კი ზურგი აქცია რ. არონის ნიჰილისტურ გამოსვლას, მის მტკიცებას, რომ არსებითად განუხორციელებელია სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების სოციოლოგთა შორის მეცნიერული თანამშრომლობა, ისე როგორც შეუძლებელია მეცნიერული სოციოლოგიური წინასწარკვრეტა და სხვ.<sup>62</sup>

<sup>62</sup> რ. არონი Raymond Aron (დაიბ. 1905 წ.) მუშაობდა კელნის, ბერლინის, პავრის, ტულუზის, ლონდონის, პარიზის უმაღლეს სასწავლებლებსა და

კონგრესის მუშაობა ძირითადად მაინც მის სექციებში მიმდინარეობდა. ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა წარმოადგინეს საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესად ცალკე ფაქტების კონკრეტული, ემპირიული კვლევა-ძიების შედეგები. მათი გამოსვლების

რედაქციებში. ამჟამად სორბონის პროფესორია და „ფიგაროს“ ერთ-ერთი რედაქტორი.

თავის წიგნებში Introduction à la philosophie de l'histoire (1938 წ.), L'opium des intellectuelles (1955 წ.), Le développement de la société industrielle et la stratification sociale (1956 წ.), აგრეთვე პოპულარულ ნაშრომებში, როგორიცაა, მაგ., „აზია მალთუსა და მარქსის შორის“ (1955 წ.), „ომების ჯაჭვი“ (1955 წ.) და სხვ. უარყოფს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა არსებობას. მისი თვალსაზრისით, ისტორიული განვითარება ქაოტურ და ირაციონალურ ხასიათს ატარებს. ის იწვევს მალთუსიანური იდეების პროპაგანდას და ომს თვლის საზოგადოების პოლიტიკური განვითარების აღმძვრელ მოტივად.

სოციოლოგთა მეოთხე კონგრესზე რ. არონის მოხსენება — „თანამედროვე საზოგადოება და სოციოლოგია“ — ბურჟუაზიულ სოციოლოგთაგან წარმოდგენილი იყო როგორც ძირითადი პრობლემა. რ. არონმა აღნიშნა: ო. კონტის სოციოლოგია წარსულს ეკუთვნის. მარქსის სოციოლოგია, უნდათ ეს თუ არა, — თანამედროვეობას. ის იყო დოქტრინა პარტიისა, რომელმაც 1917 წელს განახორციელა პირველი რევოლუცია, რომელიც თავის თავს უწოდებდა სოციალისტურს და რომელსაც სურდა ყოფილიყო ასეთი; ის დარჩა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დოქტრინად და ასეთივე მდგომარეობა დაიკავა მან ჩინეთსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ვიქნებით მარქსისტები თუ ანტიმარქსისტები, ვერ უარვყოფთ, რომ მილიონობით ადამიანები იზიარებენ მარქსის აზრს“. პროფ. რაიმონ არონმა განაცხადა, რომ ბურჟუაზიულ და მარქსისტულ სოციოლოგთა შორის ყველაზე უფრო მკაცრად არიან ერთმანეთს დაპირისპირებული ამერიკელი და საბჭოთა სოციოლოგია, იმ ზომით, რომ მათ „თითქმის არ ძალუძთ გამართონ ურთიერთშორის დიალოგი. ყოველი მათგანი მეორე მხარეს ისეთ ინტერპრეტაციას აძლევს, რომელიც მალეა სწევს საკუთარ მნიშვნელობას და აუფასურებს მოპირდაპირისას. სსრ კავშირის მარქსისტებისთვის ამერიკელი სოციოლოგია — ესაა კაპიტალისტური საზოგადოების ზედნაშენი. აშშ სოციოლოგებისათვის, მარქსისტული თეორია, რასაც მიჰყვებიან საბჭოთა სოციოლოგები, — ეს მარტოოდენ ისეთი იდეოლოგიაა, რომელიც ამართლებს გარკვეულ (ტოტალიტარულ) სახელმწიფოს და გარკვეულ (გეგმიან) ეკონომიკას“.

რ. არონის მთელი გამოსვლა მიმართული იყო საბჭოთა სოციოლოგიის წინააღმდეგ. მან ჩვენ გვიწოდა დოგმატიკოსები და ურცხვად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობს მეცნიერული ცნობიერების თავისუფლება. ის აქვე ამბობდა რა, რომ სოციალური განვითარების ზოგადი კანონების პრობლემათა სფეროში შეუძლებელია რაიმე საერთო ენის გამონახვა და, მაშასადამე, თანამშრომლობა საბჭოთა სოციოლოგებთან, ამასთანავე იგი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ კერძოდ მიკროსოციოლოგიის დარგებში მოსახერხებელი იქნება ერთგვარი მეცნიერული კონტაქტების დამყარებაც და ამ მხრივაც „საერ-

ერთგვარ დახასიათებას, ვფიქრობთ, იძლევა თუნდაც მხოლოდ მოხსენებათა თემების დასახელება: „სოციოლოგიური ცოდნა და მისი გამოყენება მრეწველობაში“, „ავტომატიზაციის გავლენა ინდუსტრიულ ურთიერთობებზე“, „მუშათა მონაწილეობა საწარმოს გამგებლობაში“, „ხელმძღვანელთა დისციპლინარული ფუნქცია მრეწველობაში“, „სოფლის მეურნეობა და სოფლური ცხოვრება ინდუსტრიულ საზოგადოებაში“, „კლასობრივი განსხვავებანი ქორწინებით კავშირებში“, „ოჯახთა ბიუჯეტების გამოკვლევა საფრანგეთში“, „სოციოლოგია და გამგებლობის შესწავლა ინგლისში“, „დაწყებითი განათლება და ეკონომიკური განვითარება“ და ა. შ. თითქმის ყველა მათი გამოსვლა სოციოლოგიური ემპირიზმის ჩარჩოებით იზღუდებოდა.

ანალოგიური ხასიათისა იყო თვით კონგრესის დელეგატებისათვის რეკომენდირებული ლიტერატურაც: „ნევროზების პრობლემა ინდუსტრიულ საზოგადოებაში“, „კულტურული რელატივიზმის სექსუალურ ნორმებთან შედარებით, ანალიზი“, „ნაყოფიერება ამერიკელ ქალთა შორის“, „თანამედროვე არშიუობა და ქორწინება“, „მასწავლებელთა გაფიცვები“, „არჩევანი შრომის ბაზარზე“, „პოლიტიკოსები, როგორც ორატორები“ და სხვ.

ცხადია, სოციალურ ურთიერთობათა ფაქტების კონკრეტული, ემპირიული შესწავლა სოციოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია, რასაც ჯეროვან ყურადღებას აქცევენ კიდევაც მარქსისტი ფილოსოფოსები, ეკონომისტები, სტატისტიკოსები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ფსიქოლოგები. საინტერესო იყო რიგი ემპირიული გამოკვლევის შედეგები, რაც კონგრესს თვით ბურჟუაზიულმა სოციალოგებმაც მოახსენეს. მაგალითად, „დროის დანაწილება ოჯახის საქიანობაში“, ანდა, — „ტელეხედვა და ბავშვები“, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ტელეგადაცემების პროგრამები, რასაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში უჩვენებენ, უარყოფითი ფაქტორის სახით მოქმედებს ბავშვთა და ახალგაზრდობის აღზრდაზე.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიული სოციოლოგები ეწევიან მხოლოდ ფაქტების დადგენასა და აღწერას და ხელაღებით უარყოფენ ყოველგვარ „სპეკულაციურ“ მოსაზრებებს, ე. ი. საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნასა და განზოგადებას ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე.

თო ენის“ გამოჩენის შესაძლებლობას ის მხოლოდ იმდენად ცნობს, რამდენადაც ფიქრობს, რომ მიკროსოციოლოგიის საგნად მიჩნეული სოციალისტურ და ბურჟუაზიულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები ერთგვაროვანი სოციალური ბუნებისანი არიან. მას არ სურს დინახოს, ანდა ვერ ამჩნევს, რომ ბურჟუაზიული და სოციალისტური სისტემის ეკონომიკურ მოვლენათა შორის არსებობს პრინციპული ხასიათის განსხვავებანი.



როგორც დამსწრეთ შემადგენლობის, ასევე გამოსვლების მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მრეწველობის სოციოლოგიის სექცია. ბურჟუაზიული სოციოლოგები ყოველმხრივ ცდილობდნენ მიეჩქმალათ კაპიტალისტურ ინდუსტრიულ საწარმოებში შრომასა და კაპიტალს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, მუშათა კლასსა და წარმოების საშუალებათა მეპატრონეებს შორის არსებული ანტაგონიზმი.

მაგალითად, პროფ. ს. მოოსი (საფრანგეთი) ამტკიცებდა, რომ წარმოების მექანიზაცია, ავტომატიზაცია და შრომის მწარმოებლურობის ზრდა, იწვევს რა მატერიალური წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებას, შესაბამისად ადიდებს პროლეტარიატისათვის თავისუფალ დროს, და ამგვარად, სულ მალე „კვარის დიდი ნაწილი დასვენებისათვის იქნება განკუთვნილი“.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ს. მოოსს ამ ასპექტში არც კი უხსენებია სკკპ და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირში სამუშაო დროის 7 და 6 საათამდე შემცირების შესახებ. მისი მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ მუშათა კლასისათვის თავისუფალი დროის პრობლემის გადაწყვეტა თითქოს შესაძლებელია კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, ე. ი. პროლეტარიატის სოციალური გათავისუფლების გარეშე<sup>63</sup>.

რა თქმა უნდა, მარქსისტმა სოციოლოგებმა ნათელყვეს მთელი უსუსურობა ბურჟუაზიულ მეცნიერთა აპოლოგიისა — ვითომდა უახლესი აღმოჩენებისა და გამოგონებათა წარმოებაში დანერგვა სოციალურ ურთიერთობათაგან დამოუკიდებლად აუმჯობესებდეს მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობას; მიუთითეს და დაასაბუთეს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, თვით ატომური ენერგიის ფართო მასშტაბითა და მთელი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის სრული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ, კომუნისტურ საზოგადოებაში<sup>64</sup>.

<sup>63</sup> მრეწველობის სოციოლოგიის ასპექტში საინტერესოა მრავალ წინააღმდეგობათა შემცველი უახლესი ნაშრომი ერთი შვეიცარიელი ეკონომისტისა —

P. Atteslander, *Konflikt und Kooperation im industriell*, 1959, Köln und Opladen

<sup>64</sup> აქ წაკითხული ჩემი მოხსენება — „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის“ - იხ. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1959, № 12; *Журн. „Вопросы экономики“*, 1960, № 5; აგრეთვე ბ. გუგუშვილი, *მონოგრაფიები*, 1963, ტ. V, გვ. 573—590. მისი შინაარსი გა-

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგი ბურჟუაზიული სოციოლოგი, მაგალითად, ს. ბარკინი (აშშ) იძულებული იყო ელიარებინა, რომ კაპიტალიზმის პირობებში ტექნიკური პროგრესი, იწვევს რა შრომის სასტიკ ინტენსიფიკაციას, საფრთხეს უქმნის მუშის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, რომ მუშა საწარმოში მუშაობისას იმყოფება მუდმივ შიშში, რომ ოდნავი უწყესიგრობისათვის დასჯიან, დააჯარიმებენ, რაც რეპრესიულად მოქმედებს მთელ მის ფსიქიკაზე.

ამ მხრივ საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი პროგრესული ამერიკელი მეცნიერი სულ უფრო რწმუნდება, რომ ე. წ. „თანაბარ შესაძლებლობათათვის“, რომ თითქოს ამერიკული საზოგადოების ყველა ფენის (კლასის) წარმომადგენელს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე დაწინაურების ერთნაირი შანსი ჰქონდეს, — მხოლოდ მარტივად მოაზროვნე ადამიანებისათვის გამოგონილი ლათაიებია.

ელი ჩინოი თავის გამოკვლევაში, „ავტომობილის მუშები და ამერიკული ოცნება“, უჩვენებს, რომ თანამედროვე ამერიკული ოფიციალური იდეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი „თანაბარ შესაძლებლობათა თეორიის“ რეალურობა უდაბნოში გზადაკარგულ ბედუინის მიერ ოაზისის მაცდური ხილვის მაგვარი მირაჟია და დაცდილი მუშების სულ უფრო დიდი ნაწილი ნათლად ხედავს, რომ „თანაბარი შესაძლებლობის“ განუწყვეტელი ქაღაგი მარტოოდენ პოლიტიკური ხრიკებია<sup>65</sup>.

ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე და მეწარმე თვლის, რომ „ავტომატიზაცია შეუჩერებლად გრძელდება თვით ისტორიის განთიადიდან“, რომ ავტომატიზაციას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მშვილდ-ისრის სახით და რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია თავისთავად სწვა არაფერია, თუ არა „ათასმეერთე ინდუსტრიული რევოლუცია“.

ნამდვილად დიდი განსხვავებაა სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში მიმდინარე ტექნიკურ (ტექნოლოგიურ) პროგრესსა და ძირფესვიან ცვლილებებში, რაც იწვევს მთელი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გადატრიალებას, მსგავსს მე-18 ს. ინდუსტ-

მოქვეყნდა ინგლისურ და ფრანგულ ენაზე იხ. Transactions of the Fourth World Congress of Sociology, London; Actes du Quatrieme Congrès Mondial de Sociologie, 1962, London. ამას წინათ დაიბეჭდა აგრეთვე სრული რუმინული თარგმანი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ ორგანოში „Revista de Filozofie“, XII, 2, 1965, Bucuresti.

<sup>65</sup> Ely Chinoy, Automobile Workers and American Dream, 1957, New-York.

რიული რევოლუციისა. ასე, მაგალითად, მე-19 ს. 60-იან წლებში კ. მარქსი ერთი მანქანის გამოგონების შესახებ წერდა. რომ მან გამოიწვია გადატრიალება „პურის წარმოების მთელ სისტემაში“. მაგრამ, ცხადია, ამ მანქანის რევოლუციური შედეგები არ შეიძლება შევადაროთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას რაც ხორციელდება ქიმიზაციის, ავტომატიზაციისა და ატომური ენერგიის ათვისების სახით.

დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგები ამტკიცებენ, და ეს ასახულია ამ პარტიის ახალ (1958 წ.) პროგრამაში, რომ ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მწარმოებლურ ძალთა განვითარების მთავარი მომენტებია: ატომური ენერგიის გამოყენება, ავტომატიკისა და ელექტრონიკის განვითარება. ისინი ფიქრობენ, რომ ახალ ტექნიკურ რევოლუციას კაპიტალიზმის პირობებშიც ყველასთვის მოაქვს ბედნიერება და სიკეთე.

მათი ეს ახალი პროგრამა პირდაპირ ამტკიცებს, რომ ძლიერა „სამეული“ — ატომური ენერგია, ავტომატიზაცია და ელექტრონიკა — შეძლებს მთელს ქვეყანაში დაამატოს სიღატაკე და შიმშილი. „მეფრე ინდუსტრიული რევოლუცია წინაპირობას ქმნის ცხოვრების საყოველთაო დონე ამაღლდეს დიდი ზომით, ვინემ აქამდე და მოისპოს გაჭირვება და სიღატაკე, რაც ჯერ კიდევ ძრავად აღამიანს აბეჩავებს (ჩაგრავს)“.

ბურჟუაზიული სოციოლოგები ცდილობენ, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესი გამოაცხადონ კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტური ევოლუციის ბუნებრივ მოვლენად. კიდევ მეტი. ისინი ქადაგებენ, რომ მხოლოდ ამერიიდან შეიქმნა კაპიტალიზმის სახით ნამდვილად ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილება.

ამერიკელი მრეწველი ა. ბერლი, ერთ თავის წიგნში, „გამგებლობა და კორპორაციები 1985 წელს“, ცდილობს რა იწინასწარმეტყველოს, თუ როგორ განვითარდება კაპიტალიზმი უახლოეს ათეულ წლებში, აცხადებს, რომ მე-19 ს. 30-იან წლებში კაპიტალიზმის „ეკონომიკური სისტემა ეს იყო თავისებური ჯუნგლები, რომელშიც იმარჯვებდა ყველაზე შეგუებული (შეხამებული), ხოლო შეუგუებელი კვდებოდა დაავადებათაგან, ისინი კი, რომლებიც ამ საშინელ დონეზე მალა იყვნენ, უზრუნველყოფდნენ თავიანთთვის მხოლოდ საარსებო მინიმუმს“.

ა. ბერლი აცხადებს, რომ დიკენსი და ებტონ სინკლერი, სიმართლეს ლაპარაკობდნენ, როდესაც აღწერდნენ კაპიტალიზმის საშინელებებს. ცხადია ცდებოდნენ ისინი, რომლებიც მსოფლიოში

<sup>66</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 5, стр. 574.

საუკეთესო სისტემად მიიჩნევენ იმდროინდელ კაპიტალიზმს, რომელსაც „არ ჰქონდა ეთიკური ბაზა“. მაგრამ ის დრო უკვე განვლილია. ხოლო მას შემდეგ, რაც 1930 წლიდან 1960 წლამდე განხორციელდა „კაპიტალისტური რევოლუცია“, შეიქმნა ასეთი ბაზა, რამდენადაც ეს რევოლუცია მოასწავებდა „სოციალური ეთიკისა და ადამიანური მორალის გარკვეული ნაწილის შემოღებას“. ამასთანავე ხსენებულ პერიოდში საფუძველი ჩაიყარა „ჩვენს დროსა და 1985 წელს შორის პერიოდში კაპიტალისტური რევოლუციის მშვიდობიანი გაგრძელებისათვის“<sup>67</sup>.

ამგვარად, ვითომ ახლა კაპიტალიზმი შევიდა ისეთ სტადიაში თავისი განვითარებისა, რომ მას შეუძლია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გაიაროს იმ სიძნეელებისა და განსაცდელთა გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა მე-18—19 სს.

ასეთ თვალსაზრისს ავითარებდა აშშ ისეთი სახელმწიფოებრივი მოღვაწეც, როგორიც იყო აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი ჯონ კენედი, რომელიც აცხადებდა: „1961 წელს, ავტომატიზაციის დაწყებასთან ერთად, ჩვენ ის იყო შევედით მეორე ინდუსტრიულ რევოლუციაში. ჩვენ ყველას გვსურს ვისარგებლოთ მისი სიკეთით. მაგრამ მე გადაწყვეტილი მაქვს გავაკეთო ყოველივე, რაც კი შემიძლება, რათა ამჯერად მას თან არ სდევდეს... შიშინაობა და სიდუხჭირე“, რაც თან მოიტანა მე-18—19 საუკუნეების ინდუსტრიულმა რევოლუციამ. „ჩვენ არ გვინდა რომ მანქანები სამუშაოდან ერეკებოდნენ ადამიანებს. ჩვენ გვსურს, რათა მანქანები ეხმარებოდნენ ადამიანებს, რომ მათ უკეთესად იცხოვრონ“, — ირწმუნებოდა იგი.

ამერიკელი ეკონომისტი პ. დრუკერი გვთავაზობს თავის აზრს, როგორც ახალ გამოცხადებას: რომ „მე-20 საუკუნის ინდუსტრიული საზოგადოება — ესაა ახალი და სხვებისგან განსხვავებული, უმაღლესი მსოფლიო, ვინემ „დასავლური“, ან „კაპიტალისტური“ საზოგადოება“<sup>68</sup>.

პ. დრუკერი ამტკიცებს, რომ ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიო რევოლუცია, რომლის მსვლელობაში, თანამედროვე ტექნიკური პროგრესის საზოგადოებაზე გავლენის შედეგად, ჰქრება (ისპობა) განსხვავებანი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს შორის და მთელი მსოფლიო წარმოგვიდგება, როგორც ერთიანი (მთლიანი) საზოგადოებრივი წყობილება.

<sup>67</sup> Management and Corporations in 1985, New-York—Toronto—London, p. 67—68.

<sup>68</sup> P. Drucker, The New Society. The Anatomy of Industrial Order, 1962, New-York, p. XI.



ფრანგი სოციოლოგი და ეკონომისტი ჟ. ფურასტიე ფიქრობს, რომ მწარმოებლურ ძალთა, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის თანამედროვე ვითარებაში წარმოება ყველა ქვეყანაში, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების მიუხედავად, აერთიანებს ყველა ადამიანს და ვითარდება მისი „ნამდვილი (კეშმარიტი) კრიტერიუმების“, ე. ი. მაღალი ეფექტურობისა და ყველა ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საფუძველზე<sup>69</sup>. მ. რუსტანი (პარიზი) დაბეჯითებით აცხადებს, რომ როგორც „კაპიტალისტურ, ისე კომუნისტურ ქვეყნებში ტექნიკურ პროგრესს, თუ მას განვიხილავთ დროის დიდ პერიოდებში, ერთნაირი შედეგები აქვს“<sup>70</sup>.

საერთოდ ბურჟუაზიული სოციოლოგების, ეკონომისტების, ფილოსოფოსების ამგვარი მსჯელობის აზრი ისაა, რათა დაამტკიცონ, ე. ი. თავიანთ მკითხველებს შთააგონონ, რომ ამჟამად მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ყველა ქვეყნის წინაშე იქნება ის კაპიტალისტური თუ სოციალისტური, აყენებს ერთსადაიმანვე პრობლემას და რომ ბურჟუაზიული საზოგადოება, თუ არა უკეთესად, უარესად მაინც არ მოაგვარებს მასთან დაკავშირებულ მოვლენებს. კიდევ მეტი. თვით ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებსაც, ამ მხრივ, სხვა არა დარჩენიათ რა, თუ არა ის, რომ გაჰყვნენ ამერიკის მიერ გატკეპნილ გზას. ამას ამტკიცებს, მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტი ლ. ებოტი: „ყველა ქვეყნისთვის, მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, არის ეკონომიკის განვითარების ერთი გზა, გზა, რომელიც განვლილია კაპიტალისტური ამერიკის მიერ“<sup>71</sup>.

ამგვარად, ბურჟუაზიული მეცნიერები ახლა არა მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმმა განვლო თავისი განვითარების პირველი, ანტაგონისტური ხასიათის, კრიზისებიანი და წინააღმდეგობებით, კლასობრივი ბრძოლებით აღსავსე პერიოდი და შევიდა განვითარების ახალ, სტრატეგის ჰარმონიულ ურთიერთობათა, ჰუმანური საზოგადოებრივი განვითარების ეპოქაში, სადაც ადვილი არ იქნება გადამეტწარმოების კრიზისებსა და სხვ., არამედ იმასაც, რომ საბოლოოდ არ არსებობს სხვა გზა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის, რომლებიც ახალი ინდუსტრიული რევოლუციის მეოხებით მალე, მაგალითად, 100 წლის განმავლობაში, მიუახლოვდებიან ამერიკული კულტურის დონეს.

<sup>69</sup> J. Fourastier, La grande metamorphose du XX-e siècle, 1961, Paris, p. 56.

<sup>70</sup> M. Rustant, L'Automation. Ses conséquences humaines et sociales, 1959, Paris, p. 111.

<sup>71</sup> L. A b b o t, Economics and the Modern World, 1960, New-York, p. 14.



ეს ბურჟუაზიული სოციოლოგები, ცხადია, უგულებელყოფენ იმ დიდ მსოფლიოისტორიული მნიშვნელობის მოვლენას, როგორც კაპიტალიზმის საბაზისი ხელისუფლების მეოხებით სოციალიზმის მშენებლობის კოლოსალური კულტურული და ინდუსტრიული წარმატებები შუა აზიის ქვეყნებში, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე განვითარების ისეთსავე დაბალ საფეხურზე იდგნენ, როგორც აზიისა და აფრიკის რიგი ქვეყნები.

ამ ცრუმეცნიერული ბურჟუაზიული პროპაგანდის პრაქტიკული აზრი ისაა, რომ იმპერიალისტური და ნეოკოლონიური ჩაგვრის არტახებიდან უკვე გათავისუფლებულ და გათავისუფლებისთვის მებრძოლ ქვეყნებს გადაუჩინონ არაკაპიტალისტური განვითარების გზები და კვლავაც დატოვონ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სამხედრო დამოკიდებულებაში.

მაგრამ კაპიტალიზმის ვითარებაში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მაინც უმუშევრობის პრობლემაა.

წარმოების ავტომატიზაციისა და რიგ სხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა შედეგად მოხდა ისეთი რამ, რაც აქამდე უცნობი იყო აშშ გადამუშავებითი მრეწველობის მთელ ისტორიაში: 1953—1962 წწ. წარმოებრივ მუშათა აბსოლუტური რიცხვი არამცთუ არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდევ, — დაახლოებით 8 პროცენტით; მრეწველობის ამ დარგებში დასაქმებულთა საერთო რიცხვი აღებულ ათწლეულში შემცირდა 350 ათასი კაცით. უკანასკნელ ხანებში უმუშევრობა სულ მწვავე ხასიათს ღებულობს აგრეთვე ინგლისში, იაპონიაში, იტალიასა და სხვ. კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბურჟუაზიული ეკონომისტები და სახელმწიფოებრივი მოღვაწენი ენერგიას არ იშურებენ დამტკიცონ, რომ თითქოს ეს ე. წ. „ნორმალური უმუშევრობა“ თანამედროვე ცივილიზაციისათვის, ინდუსტრიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი „ნორმალური“ მოვლენაა და რომ „ასეთი უმუშევრობის მიზეზების (წარმოების რაციონალიზაციისა და სხვ.) აცილებას შეუძლია ზიანი მოუტანოს საერთოდ პროგრესის საქმეს“<sup>72</sup>. ისინი ახლა იგონებენ ახალ ტერმინებს (ცნებებს), — „ტექნოლოგიური უმუშევრობა“, „სტრუქტურული უმუშევრობა“ და სხვ. — რათა კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელი უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული სიძნელეები თვით პროგრესის თანამდევ საყოველთაო (უნივერსალურ) მოვლენად გამოაცხადონ, ხოლო ტექნიკური პროგრესის

<sup>72</sup> F. Pollock, Automation, 1957, New-York, p. 51.

შედეგად გამოწვეული დასაქმებულობის დონის დაცემა დაახლო-  
თონ, როგორც მუშაძალის „დროებითი გადაადგილების“ გარდა-  
ვალი მომენტები, და ამ თეზისის დასასაბუთებლად ხშირად მიმარ-  
თავენ ე. წ. „კომპენსაციის თეორიას“, რომლის ანტიმეცნიერულო-  
ბა ჯერ კიდევ ასიოდე წლის წინათ ამხილა კ. მარქსმა „კაპიტალის“  
პირველ ტომში.

ამასთანავე დასავლეთის ქვეყნებში დღესაც მოიპოვებიან ისე-  
თი სოციოლოგები, რომლებიც განწყობილი არიან, რათა მუშები  
გამოაცხადონ ტექნიკური პროგრესის მტრებად, რამდენადაც ისინი  
საწარმოთა არასრული დატვირთვისა და უმუშევრობის პირობებში  
მოითხოვენ სამუშაო დროის შემცირებასა და, ამ გზით, დაუსაქმე-  
ლობის ლიკვიდაციას.

ამ ასპექტში ზოგიერთი იმისთვისაც კი შიშობს, რომ სამუშაო  
დროის „ზედმეტად“ შემცირების მეოხებით თავს იჩენს „უსაქმე-  
რობისადმი მიდრეკილება“, ისე რომ ადამიანს არ ეცოდინება რო-  
გორ გამოიყენოს თავისუფალი დრო. მაგალითად, იუნესკოს უმაღ-  
ლესი განათლების განყოფილების დირექტორი, ბერჟე აცხადებს,  
რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ვითარებაში დგება  
„მოცლილობის ეპოქა“.

ეს სოციოლოგები, ცხადია, უძლურნი არიან გაითვალისწინონ.  
რომ სამუშაო საათების შემცირებით ეკონომიზებული დრო ადამი-  
ანს შეუძლია ნაყოფიერად გამოიყენოს ნავთიერ და სულიერ მო-  
თხოვნილებათა და კულტურული დონის, შემეცნების, განათლების  
შემდგომი ამაღლებისათვის. ამ მიმართულებით მხოლოდღა დადებ-  
ითი როლი შეუძლია ითამაშოს იმ დიდ ძვრებს, რაც ტექნიკისა და  
მეცნიერების, ინდუსტრიის და საბოლოო ანგარიშში შრომის მწარ-  
მოებლურობის პროგრესის შედეგად ხდება საქონელთა ფასებსა  
და, მაშასადამე, მოთხოვნილებასა და მოხმარებაში. ასე რომ, ე.  
ფურასტიეს ტყუილუბრალოდ აღონებს მისივე საინტერესო გამო-  
ანგარიშების შედეგები, რომ 1800 წელს სარკე 7-ჯერ უფრო მეტი  
ღირდა, ვინემ იმავე ზომის გობელენი, ხოლო 1950 წელს კი სარ-  
კე 75-ჯერ ნაკლები ფასობდა. საქმე ისაა, რომ ამ ხნის მანძილზე  
დიდმნიშვნელოვანი თანამდევი ცვლილებები მოხდა აგრეთვე არა  
მხოლოდ ხელფასის, არამედ მუშათა და საერთოდ მოსახლეობის  
მოთხოვნილებისა და მოხმარების, საერთოდ კულტურული დონისა  
და, მაშასადამე, არსებობის აუცილებელ პირობათა განზომილებებში.

კაპიტალისტი მეწარმენი ამტკიცებენ, რომ „მაღალი“ ხელფასი  
იწვევს წარმოების დანახარჯთა გადიდებას, ამცირებს მოგებას, რაც  
თავის მხრივ იწვევს ფასების აწევას და კაპიტალდაბანდებათა შემ-  
ცირებას, კონკურენტუნარიანობის დაცემას და საბოლოოდ ყოვე-

ლივე ეს საზიანოა თვით მშრომელთათვის. ამ თვალთმაქცურ მტკიცებას მხარს უჭერს ცნობილი ბურჟუაზიული სოციოლოგი-ეკონომისტი ჯ. კეინსი, რომელიც 1930-იან წლებში წერდა: „უმუშევრობა იმპრომაა, რომ მეწარმეებს წაართვეს მოგება. თუ ჩვენ არ გვინდა კომუნიზმში გადასვლა, მაშინ სხვა გზა არ არსებობს, თუ არა ის, რომ მეწარმეებს აღუდგინონ ჯეროვანი ქარბი მოგება“.

ამასთანავე მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტი ჯ. კეინსი გადაჭრით აცხადებს „მსოფლიო მეტს არ მოითმენს უმუშევრობას, რაც ...თანამედროვე კაპიტალისტური ინდივიდუალიზმის განუყრელი თანამგზავრია“<sup>73</sup>. ხოლო იმისათვის, რომ მოსპოს უმუშევრობა, კეინსი მხარს უჭერს იმ რეაქციულ შეხედულებას, რომლის თანახმად ხელფასის შემცირება, როგორც წარმოების დანახარჯების შემცირებისა და მოგების ნორმის გადიდების ფაქტორი ხელს უწყობს კაპიტალდაბანდებათა ზრდას, მაშასადამე, წარმოების გაფართოებასა და უმუშევრობის ლიკვიდაციას.

სწორედ ასე ესმის ჯ. კეინსის შეხედულება ფრანგ კეინსიანელს ე. ჟამსაც, რომელიც წერს: „კეინსი თანხმდებოდა რეალური ხელფასის ერთგვარ შემცირებას და... თვლიდა, რომ მუშებს შეუძლიათ შეურიგდნენ ხელფასის არადიდ შემცირებას, მიიჩნიონ რა ის ფასად (წარსაგებლად) სრული დასაქმებულობისა“<sup>74</sup>.

იმ დროს როდესაც ჯ. კეინსის „დასაქმებულობის, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ იწერებოდა, — როგორც ინგლისში, ისე გერმანიასა და კერძოდ აშშ მრეწველობა ფრიად ნელა ვითარდებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წლიდან მოყოლებული, ტექნიკური რევოლუციის მეოხებით ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლებას ვითარებაში ბურჟუაზიული ეკონომისტების ერთი ნაწილი აშკარად ილაშქრებს კეინსიანური „ნორმების“ წინააღმდეგ. ისინი არ ეთანხმებიან ჯ. კეინსის დებულებას, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკაში კაპიტალური დაბანდება არ შეესაბამებოდა კაპიტალის დაგროვების მასშტაბებს, დანაზოგთა მოცულობას.

პირველი ამერიკელი ეკონომისტთაგანი, რომელმაც კეინსის, შუმპეტერის და სხვ. წინააღმდეგ ხმამაღლა განაცხადა თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის სწრაფი განვითარების ახალი ხანის დაწყების შესახებ, ეს იყო ჩემი პირადი მეგობარი პროფ. ჯორჯ ტერბორგი. ჯერ კიდევ 1945 წ. გამოცემულ ერთ თავის წიგნში მან

<sup>73</sup> Дж. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, стр. 368.

<sup>74</sup> Э. Жамс, История экономической мысли XX века, стр. 265.

აღნიშნა, რომ ატომური მრეწველობის განვითარება მე-20 საუკუნეში გამოიწვევს კაპიტალდებანდებთან ისეთ გაფართოებას, რაც თავისი მასშტაბით შეიძლება გაუთანაბრდეს იმას, რაც მოხდა მე-19 საუკუნეში რკინიგზის ტრანსპორტის, ელექტრომრეწველობისა და ნავთობის წარმოების ერთობლივი აღმავლობის მეოხებით<sup>75</sup>.

მართალია, ატომური მრეწველობის განვითარებამ ფართო გაფართოვა განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი კაპიტალების დებანდების სფეროები, მაგრამ როგორც ამ, ისე, განსაკუთრებით, დასაქმებულობის, ე. ი. უმუშევრობის პრობლემის თვალსაზრისით მას არავითარი არსებითი ხასიათის ცვლილება არ შეუტანია კაპიტალიზმის დამახასიათებელ თვისებებში, გრდა იმისა, რომ ხელი შეუწყო მონოპოლიების გარანტირებული მოგების ამალვებასა და მთელი ეკონომიკის შემდგომ მილიტარიზაციას.

უმუშევრობის საკითხი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა საერთოდ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგებისათვის. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი რ. ჰაროდი აცხადებს, რომ „...ჩვენი მისწრაფებათა მიზანია... სრული დასაქმებულობა“... მაგრამ მავარი ისაა, რომ მას პირველი რიგის პრობლემად მაინც „განვითარების მყარი ტემპი“ ეპრიანება, ხოლო ეს უკანასკნელი იდეა „დიდად განსხვავდება სრული დასაქმებულობის იდეისაგან“<sup>76</sup>.

მაგრამ ყოველივე ეს ვითომდა უნდა მოხდეს მუშათა კლასის „ნორმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვითარებაში“. რატომ უნდა, ეს სხვა არა არის რა თუ არა ზღაპარი მგლებისა და ცხვრების შეხმატკბილებული ცხოვრების შესახებ. კაპიტალიზმის იდეოლოგები ჭეშმარიტად მძიმე მდგომარეობაში არიან. მათ უნდათ ილაპარაკონ მუშების, საერთოდ მშრომელთა მასების კეთილდღეობისათვის. „ჯენერალ ელექტრიკისა“ და „კრაისლერის“ კომპანიების დირექტორი მაკელროი 1962 წ. აცხადებდა, რომ ამჟამად კაპიტალიზმის მიზანია „მოსახლეობის ცხოვრების დონის მუდმივი გაუმჯობესება თავისუფლების პირობებში“.

მთელი ეს ვითარება მშვენივრადაა ასახული სკკპ პროგრამაში, სადაც ნათქვამია: „შიში რევოლუციის წინაშე, სოციალისტური ქვეყნების წარმატებები, მუშათა მოძრაობის დაწოლა აიძულებს ბურჟუაზიას ხელფასის, შრომის პირობების, სოციალური უზრუნველყოფის მხრივ წავიდეს ნაწილობრივ დათმობებზე“<sup>77</sup>.

<sup>75</sup> G. Terborgh, The Bogey of Economic Maturity, 1945, New-York.

<sup>76</sup> Р. Харрод, К теории экономической динамики, 1959, стр. 114.

<sup>77</sup> „Материалы XXII съезда КПСС“, стр. 341.

სოციალური გეგმიანობის სოციოლოგიური ასპექტების სექციის მუშაობამ ცხადყო, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერებას უკვე არ შეუძლია გვერდი აუაროს სოციალური გეგმიანობის პრობლემას.

წინააღმდეგ მათ შორის გაბატონებული აზრისა, რომ „საზოგადოებრივი წყობილებისა და ცხოვრების გეგმიანობის ცდებს შეუძლიათ მხოლოდ ანარქია და ქაოსი გამოიწვიონ“ (გფრ ფილოსოფოს-ეკზისტენციალისტის კ. იასპერსის სიტყვებია), მიუხედავად საბჭოთა გეგმიანობის სისტემის ვითომდა მანკიერების მესახე და უცხორომელი პროპაგანდისა და თვით პირადი სურვილების წინააღმდეგაც, დასავლეთის სოციოლოგები რაც დრო გადის მით უფრო იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ სსრ კავშირისა და საერთოდ სოციალისტური ქვეყნების ბანაკის უდიდეს მიღწევებს სახალხო-ურნეობრივი და კულტურული მშენებლობის დარგებში, წარმატებებს, რომლებიც კომუნისტური და მუშათა პარტიების, მუშათა და გლეხთა მთავრობების მიერ წარმართული სოციალური გეგმიანობის განხორციელებასთან არიან უშუალოდ დაკავშირებული.

სოციალიზმის ამ მსოფლიოისტორიულ გამარჯვებებს მეტ-ნაკლები „სიმორცხვით“ ახლა უკვე აღიარებს ზოგიერთი წარმომადგენელი იმ ბურჟუაზიული სოციოლოგებისა, რომელთაც სწორედ სოციალიზმისა და, მაშასადამე, საბჭოთა გეგმიანობის მეცნიერული საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლა თავიანთ სპეციალობად ჰქონდათ არჩეული.

თვით სექციის პრეზიდენტი პროფ. ბეტელჰეიმი, რომელიც ავტორია რიგი გამოკვლევებისა სსრ კავშირის ეკონომიკის საკითხებზე, აღნიშნავდა, რომ სოციალური გეგმიანობის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიების ასპექტში პირველ რიგში გასათვალისწინებელია სოციალისტური ქვეყნების დიდი ისტორიული გამოცდილება, და რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მეურნეობის გეგმიან წარმართვას აბრკოლებენ სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ბარიერები, რომელთა მოსპობამდე რეალური გეგმიანობის მიღწევა შეუძლებელია.

მით უფრო უცნაური იყო გამოსვლა პოლონელი სოციოლოგის პროფ. ს. ოსოვსკისა, რომელიც აცხადებდა, რომ სოციალური გეგმიანობის საწყისებია არა მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორები, მისწრაფება სასურველი მიზნისაკენ და, ამდენად-ვე, „სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ცენტრალიზე-



ბულ გეგმიანობათა შორის განსწავება არცთუ იმდენად რელიეფურია, როგორც ხშირად ჰგონიათო“.

ს. ოსოვსკი ასახელებდა ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში გატარებულ ღონისძიებებს, ყოველგვარი მეცნიერული ანალიზის გარეშე და, ამასთანავე, იმდენად „სოციალური გეგმიანობის“ ტერმინის ცნების ფრიად „თავისუფალ“ განმარტებას. ამგვარად, პროფ. ს. ოსოვსკიმ, საექვოდ გამოაცხადა რა კაპიტალისტურის მიმართ სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობანი ამით, ცხადია, შეეცადა გაემაგრებინა „გეგმიანი კაპიტალიზმის“ ყოვლად უნიადაგო თეორიის მქადაგებელთა პოზიციები.

ამასთანავე ს. ოსოვსკი უფრო შორსაც წავიდა, როდესაც დაიწყო მტკიცება, რომ გეგმიანობა თითქოს ამავე დროს წარმოადგენს ერთგვარ საშიშროებას პიროვნების თავისუფლებისათვის. შეეხო რა კერძოდ „გეგმიანობის სოციალისტურ სისტემას“, მან თქვა: „ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოებრივ კონტროლს შეუძლია გამოიწვიოს ხელოვნების დაცემა და სტანდარტიზაცია, მეცნიერების ზოგიერთი სფეროდან ზოგიერთი სამუშაოს გამოდევნა“ და სხვ.

ამგვარად, პროფ. ს. ოსოვსკი არსებითად მხარს უჭერდა პროფ. მიურდალს, რომელმაც თავისი მოხსენება — „სოციალური გეგმიანობის შესახებ“—მთლიანად იმის მტკიცებას მიუძღვნა, რომ კაპიტალისტური სახალხო მეურნეობა სულ უფრო ფართო მასშტაბით გადადის გეგმიანობაზე, რაც ყოველდღიურად უფრო მეტად მოიცავს ეკონომიკისა და ფინანსების ყველა სფეროს. გ. მიურდალმა განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანებში კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფოებრივი მმართველობა თანმიმდევრულად იწყებს ხელში აიღოს ეკონომიკური ცხოვრების ბერკეტები და სწორედ ამ გზით გეგმიან საწყისებზე გადაიყვანოს ქვეყანაო<sup>78</sup>.

ს. ოსოვსკის, გ. მიურდალის და მსგავსთა მათთა „აღმოჩენის“ წინააღმდეგ, რომ არა ვსთქვათ საბჭოთა ეკონომისტების შესახებ, გამოვიდა ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგიც კი.

ინდოელმა სოციოლოგმა ს. პატელმა, ურთიერთს შეადარა რა ინდოეთსა და ჩინეთში განხორციელებული გეგმიანობის შედეგები, ის აზრი განავითარა, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპების მხრივ სოციალისტური წყობილების საფუძვლებზე გადასული ჩინეთი მნიშვნელოვნად უსწრებს ინდოეთსო.

<sup>78</sup> ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის სტანისლავ ოსოვსკის გამოსვლა დაიბეჭდა სოციოლოგთა მეოთხე მსოფლიო კონგრესის მასალებში: Transaction of the Fourth World Congress of Sociology, vol. II, 1959, London (S. Ossowski, Social Conditions and Consequences of Social Planning, p. 199—224).

კერძოდ პროფ. პ. ბერენმა (აშშ) დამაჯერებლად უჩვენა, რომ აშშ კაპიტალისტური საკუთრების ბატონობა შეუძლებელს ხდის სოციალურ გეგმიანობას, რომ აშშ მთავრობამ არაერთხელ გამოაქვეყნა, მაგალითად, გეგმა უმუშევრობის ლიკვიდაციისა და არასოდეს ის არ განხორციელებულა. პირიქით დაუსაქმებელთა რიცხვა სულ იზრდება.

უნდა ითქვას ისიც, რომ სექციის მუშაობის შეჯამებისას პროფ. უ. ბეტელჰეიმმა, შეეხო რა სსრ კავშირის შვიდწლიან გეგმას, აღნიშნა, რომ სოციალისტური წყობილების დამახასიათებელი სოციალური გეგმიანობა საშუალებას აძლევს სსრ კავშირს, რათა უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაეწიოს და გაუსწროს კიდევაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარების საგანთა წარმოებაში.

## IX. ოჯახური (პირადი) და საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი)

ოჯახის სოციოლოგიის სექციის მუშაობაში უწინარეს ყოვლისა ნათლად გამოვლინდა იდეალისტურ-ეკლექტიკური ემპირიზმის ჩიხში მომწყვდეული ბურჟუაზიული სოციოლოგიის შეზღუდულობა და მეთოდოლოგიური უმწეობა.

ამ სექციაში წარმოდგენილი იყო ფრიად ვიწრო თემატიკური გამოკვლევები მოკლებული სიღრმისეულ სოციალურ მოვლენათა კრიტიკულ ანალიზსა და თეორიულ განზოგადებას, ხშირად უბრალო აღწერილობითი ხასიათის გამოსვლები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ბურჟუაზიული ოჯახის ხობა, რაც ზოგჯერ პირდაპირ ბანალურ გამოთქმებსა და ყოვლად მარტივი და უმნიშვნელო ფაქტების გადმოცემაში გამოიხატებოდა.

აღსანიშნავია, რომ თვით სექციის ხელმძღვანელის პროფ. რ. ჰილის (აშშ) მოხსენებაში ფრიად დეტალურად იყო განხილული კერძოდ „რანდევესა“ (ამურული, რომანული შეხვედრებისა) და „არშიყობის პრობლემა“, როგორც ოჯახის „საწყისების ფუნდამენტური მნიშვნელობის“ მოვლენა. საბოლოოდ, მომხსენებელს ის დასკვნები გამოჰყავდა, რომ „მამაკაცები არჩევენ ცოლად შეირთონ ქალები, რომლებიც განათლებითა და ინტელექტუალურად მათზე დაბლა დგანან, ხოლო გათხოვების ნაკლები შანსები რჩებათ საჭორწინო ასაკის ყველაზე განათლებულ ქალებს და რომ არშიყობა ესაა

ვაჭრული გარიგება, რომლის საბოლოო კომპრომისი ქორწინების სახით ფორმდება“.

ამასთანავე რ. ჰილი დიდი გულმოდგინებით აშუქებდა ქორწინების რიგ დეტალურ ეკონომიკურ და მორალურ მხარეს, საკითხს შესახებ იმისა, „თუ როგორ შეიძლება შეხვდეთ ისეთ კაცს, როგორსაც თქვენ შეირთავდით“ და სხვ. მისთანებს.

ამერიკული სოციოლოგია ფრიალ დიდ ყურადღებას აქცევს ოჯახისა და ქორწინების პრობლემას, რაც გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ ამ საკითხებზე იბეჭდება დიდძალი ლიტერატურა, არამედ იმითაც, რომ რიგ უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში შემოღებულია სათანადო სალექციო კურსები და გამოიცემა სპეციალური სახელმძღვანელოები. ოჯახისა და ქორწინების თემაზე ბევრი იბეჭდება აგრეთვე დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ყოველივე ამ „დიდი და დიფერენცირებული მუშაობის შედეგად“, ოჯახისა და ქორწინების სოციოლოგია უკვე გაიყო მაკროსოციოლოგიად და მიკროსოციოლოგიად. რ. ჰილის ცნობით, ამ საკითხებზე გამოქვეყნებული თხზულებების ძირითადი თემატიკაა: 1. ოჯახი, როგორც მცირე ჯგუფური ასოციაცია; 2. ოჯახური წრის გავლენა ბავშვის განვითარებაზე; 3. ოჯახისა და ქორწინების, როგორც არაისტორიული და ისტორიული ინსტიტუტების მიკროსკოპული გამოკვლევა; 4. ოჯახის მიკროსკოპული ურთიერთობა საზოგადოებრივ (თემის, გვარის, მეგობრების, მეზობლების, სკოლის, ეკლესიის, მთავრობის და სხვ.) ორგანიზაციებთან; 5. ქორწინება და გაყრა; 6. ოჯახის ტრადიციები და ტიპები, გვაროვნული წესჩვეულებანი და პროცედურები; 7. საცოლეს და საქმროს შერჩევის პროცედურები; 8. ოჯახის გაუმჯობესების ინსტიტუციური საშუალებები; 9. აღწარმოების ფუნქციები ოჯახში; 10. ოჯახის ფუნქციონირება საგანგებო სოციალური ზემოქმედების პირობებში; 11. ოჯახის შესწავლის მეთოდოლოგია და სხვ.

ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერი ოჯახის სოციოლოგიის მთავარ პრობლემად ასახელებს კიდევ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: 1. ოჯახის წევრთა, როგორც პერსონებს (პიროვნებათა) შორის ურთიერთობა; 2. ოჯახური მეურნეობა, ანუ ოჯახის „ნივთიერი საფუძვლები“; 3. ოჯახის შინაგანაწესი—როლების განაწილება და ავტორიტეტის ფორმა; 4. ქორწინებითი პარტნიორობა და თაობათა შორის ურთიერთობა; 5. არასრული ოჯახისა და ოჯახურ ურთიერთობათა დეზორგანიზაციის საკითხი.

მიკროსოციოლოგიის დიფერენციაციის ამ გზაზე ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი ხშირად სენსაციური თემატიკის ძიება-

ში წერს „მეცნიერულ გამოკვლევას“ შესახებ იმისა, თუ რა ზომამდე მიდის „სტუდენტების სქესობრივი აგრესიულობა რანდევუ-დანიშენისას“ და თუ „როგორ იყენებენ სტუდენტები თავის თვეს“.

ანალოგიური „პრობლემების“ შემსწავლელი ემპირიკოსი სოციოლოგები, ცხადია, არაერთად თეორიულ განზოგადებას არ აკეთებენ, მოვლენათა მეცნიერულ ახსნაზე, ეტყობა, არც კი ფიქრობენ. სოციოლოგთა IV კონგრესზე ერთმა მათგანმა კიდევაც განაცხადა: „ჩემი ძირითადი ამოცანა იყო ყოფაქცევის აღწერა და არა მისი მოტივების ძიება“.

თავიანთი კვლევა-ძიების ობიექტთა დეტალური შესწავლის მიზნით ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი და არათუ ცალკე მკვლევარი, არამედ მთელი სოციოლოგიური მიმართულებაც ხშირად მეტისმეტად შორს მიდის. საჭირო მასალებს ისინი ღებულობენ როგორც ოფიციალური სტატისტიკიდან, სასამართლო, სამედიცინო და სხვ. დაწესებულებათა არქივებიდან, აგრეთვე საკმაოდ დიდი ზომით ე. წ. „სპეციალური წყაროებიდან“, როგორიცაა: 1. პირადი დაკვირვება, 2. გამოკითხვა, 3. ანკეტური გამოკითხვის მონაცემები და 4. დღიურების სახით თვით შესწავლის ობიექტის ჩანაწერები. ყველა ეს მეთოდი მეტ-ნაკლები ზომით ცნობილი და გამოცდილია.

მაინც, ჩვენ ვფიქრობთ, ბურჟუაზიული სოციოლოგები პირდაპირ უხერხულობამდე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ავიწროებენ დაკვირვების ობიექტს მეტისმეტად დეტალური ანგარიშგებითი კითხვების შემცველი დღიურების მეშვეობით.

სოციოლოგთა IV კონგრესზე ერთ მოხსენებასთან დაკავშირებით განხილული დღიური შეიცავს 24 გვერდს. აქ დიასახლისმა ყოველ საათში ერთი გვერდი უნდა შეავსოს პასუხით კითხვებზე, თუ რა, როგორ და რამდენი ხნის მანძილზე კეთდება ოჯახში. ამგვარად, აქ ძილის საათებიც აღრიცხულია, რადგან „სხვადასხვა აღამიანს მეტ-ნაკლები ხანგრძლიობით ძინავს“. დღიურის ყოველი გვერდი კიდევ დაყოფილია 12 ნაწილად — 12 „ხუთწუთეულად“. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამ გზით „მივადწიეთ შესაძლებლობას დავკვირვებოდით ყოველ წუთსა და აღგვერიცხა ყოველი მოქმედება“.

მაგრამ მან, სამწუხაროდ, არ აღნიშნა თუ რას იძლევა ასეთი მიღწევა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ოჯახის ინტიმურ ცხოვრებაში შეღწევა, მეცნიერებისათვის. ასეთი შეღწევებით გატაცებული სოციოლოგები დიასახლისებს აძლევენ შეკითხვებს, მაგალითად, სქესობრივი კავშირის სიხშირის და სქესობრივი აქტით მიღებული

კმაყოფილების ხარისხის შესახებაც კი; ანდა ბავშვებს ეკითხებიან: თქვენი მშობლებიდან რომელი უფრო გიყვართო და სხვ.

ნამდვილად, როგორც ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგიც კი აღნიშნავს, „ყოველი ადამიანი არ მოისურვებს განაცხადოს თავის გრძნობათა საიდუმლოებანი“ და, ამდენად, გასაგებია, რომ ასეთ კითხვებზე გაცემული პასუხები, რაც თავის კვლევა-ძიების დიდმნიშვნელოვან მასალად აქვს მიჩნეული მიკროსოციოლოგიის ზოგიერთ მენოტებს, მთელ რიგ შემთხვევაში მაინც არ ასახავს არსებულ ვითარებას და, ამგვარად, არაერთ უკუღმართულ დასკვნათა და უცნაურობათა წყარო შეიძლება გახდეს.

ცხადია, ოჯახის სოციოლოგია თავისთავად უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი მეცნიერებაა, მაგრამ ის უწინარეს ყოვლისა უნდა სწავლობდეს ოჯახს იმ კონკრეტულ საზოგადოებრივ, წარმოებრივ ურთიერთობებში, რომელშიც იგი მოძრაობს და რომელიც საბოლოო გამოვლინებაში განსაზღვრავს მის თავისებურებათა ძირითად მომენტებს.

ამ მხრივ, თვით მეცნიერთა პირად შთაბეჭდილებებსა და გამოვლენებს თუ მიდრეკილებას შეიძლება, უკეთეს შემთხვევაში, დიდაქტიკური და საერთოდ კი მარტოოდენ რეზონერული ხასიათი ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, საკუთარი გამოცდილებიდან იქნება მიღებული ეს შთაბეჭდილებანი, თუ დაკვირვების ობიექტებად შერჩეულ გარეშე პირთა ინტიმური ცხოვრების ფაქტებთან „უაღრესად ინტიმური სიახლოვის“ მეოხებით.

ოჯახის სოციოლოგიის ბურჟუაზიული სპეციალისტები, დაწყებული ადწერენ რა ოჯახურ ურთიერთობათა ფაქტებს, როგორც წესი, არ იძლევიან განხილულ სიტუაციათა მორალურ შეფასებას და განწყობილი არიან იფიქრონ რომ ოჯახის წევრთა შორის კავშირის მთავარი ფორმა მათი ერთ ბინაში ცხოვრებაა — მხოლოდ

ამოდიან რა აბსოლუტური ეთნიკური რელატივიზმის საფუძვლებიდან, სინამდვილეში ისინი მორალურ ნორმებს აიგივებენ დოგმებთან და უარყოფენ მორალის როგორც გარკვეული სოციალური ნორმის კანონიზაციას, რამდენადაც ოჯახურ ურთიერთობათა სფეროში არა საზოგადოებრივი, არამედ ინდივიდუალური, ინტიმური მოტივებია გაბატონებული.

ოჯახის სოციოლოგიის სექციის მუშაობაში, აშკარად გამოვლინდა უახლესი ბურჟუაზიული საზოგადოებათმეცნიერების ღრმა კრიზისი. ეს უწინარეს ყოვლისა პოზიტივისტური ყაიდის აგნოსტიკური ემპირიზმის მანკიერებაში — მეთოდოლოგიურ უმწეობაში გამოიხატება, მიუხედავად იმ დიდი ზათქითა და ზარით კონგრესზე გაკეთებული მრავალრიცხოვანი დეკლარაციისა, რომ თითქოსდა



ამერიკულმა სოციოლოგიამ „დიდი მეცნიერული ხილვისა და ჰერ-ტის“ მეოხებით ფარდა ახადა ურთულეს და აქამდე ბნელით მო-ცულ სოციალურ მოვლენებს, როგორც ამას აცხადებდა, მაგალი-თად, პროფ. ბ. ბარბერი (აშშ) თავის მოხსენებაში („ამერიკული სოციოლოგია მის სოციალურ კონტექსტში“).

სწორედ ამ „ურთულეს სოციალურ მოვლენათა“ შესახებ მსჯე-ლობისას პროფ. ლაზარსფელდი (აშშ) საკმაოდ უახლოვდებოდა სინამდვილის ხილვას, როდესაც აღნიშნავდა: „ჩვენი დრო, ესაა მწვავე სოციალურ პრობლემათა დრო, თუმცა ამერიკული სოციო-ლოგიური ჯურნალები სავსეა წვრილ-წვრილი და ღმნიშვნელო გა-მოკვლევებით შესახებ იმისა, თუ კოტეჯების სტუდენტები — ქა-ლები და ვაჟები — როგორ უნიშნავენ ერთმანეთს ამურულ შენ-ვედრებს“<sup>79</sup>.

„თეორიის დატოვების“ ტენდენციაში აშკარად ვლინდებოდა ემპირიული სოციოლოგიის ღრმა კრიზისი. რამდენადაც ყველაზე ცნობილი ბურჟუაზიული სოციოლოგები ამტკიცებდნენ, რომ სო-ციოლოგიურ განზოგადებათა ნაცვლად ცალკეულ საზოგადოებრივ მოვლენათა, ე. ი. ფაქტების ემპირიულ აღწერაშია ერთადერთი გზა მეცნიერების განვითარებისაო.

თვით პროფ. ტ. მარშალი<sup>80</sup> (ინგლისი), რომელიც IV კონგრესზე საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად აირ-

79 ბ. ლაზარსფელდი — P. Lazarsfeld (დაიბ. 1901 წ. ვენაში). ამ-ჟამად ხელმძღვანელობს სოციოლოგიის განყოფილებას პრინსტონისა და კო-ლუმბიის უნივერსიტეტებში. ის გამოჩენილი პრაქტიკოსი-სოციოლოგია, რომე-ლიც ხელმძღვანელობდა მრავალ კონკრეტულ გამოკვლევას, როგორც მთავრო-ბის, ისე კერძო ორგანიზაციების დავალებით. ითვლება საზოგადოებრივი აზრის სახელმძღვანელო მკვლევარად. მან შეიმუშავა საარჩევნო კამპანიებისა თუ თა-ვისუფალი ორგანიზაციების საქმიანობათა მათემატიკური ანალიზის რიგი ორი-გინალური მეთოდი.

პროფ. ბ. ლაზარსფელდმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა მასობრივი კომუნი-კაციების საშუალებათა გამოკვლევას. ცნობილია მისი გამოკვლევები საზოგა-დოებრივ ცხოვრებაში რადიოს მნიშვნელობის შესახებ. საზოგადოებრივი აზრისა და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხთა კვლევა-ძიებაში ის ფართოდ იყენებს მათემატიკურ მეთოდს. იგი ითვლება „მათემატიკური სოციოლოგიის“ ერთ-ერთ ფუძემდებლად.

მის მრავალ ნაშრომთაგან აღსანიშნავია, მაგალითად, The people look at radio (1946 წ.), Communication Research (1949 წ.), Mathematical Thinking in the social sciences\* (1959 წ.), The Language of social Re- search (1955 წ.) და სხვ. მისი ზოგიერთი წიგნის თანაავტორებია პ. ფილდი (H. Field), ფ. სტენტონი (F. Stanton), მ. როზენბერგი (M. Rosenberg) და სხვ.

80 ტ. მარშალი, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ინგლისელი სოცი-ოლოგია. ის არის ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, „ბრიტანული სო-

ჩიეს, წერს: „სოციოლოგიამ თავისი ენერგია არ უნდა შეაღწიოს ფართო განზოგადებათა, უნივერსალურ კანონთა და ადამიანთა საზოგადოების როგორც ასეთის მთლიანად აღების (გარშემოცვის) მისწრაფებასო“.

ემპირიზმის კრიზისულ მდგომარეობას უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ თვით ბურჟუაზიული სოციოლოგები. მაგალითად, პროფ. რ. მერტონი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ომი და ექსპლოატაცია, სიღარიბე, უსამართლობა და უიმედობა მძიმე ტვირთად აწევს ადამიანთა ცხოვრებას საზოგადოებაში ანდა ემუქრებიან თვით მათს არსებობას, სოციოლოგები თამაშობენ პრობლემებით, რომლებიც იმდენად დაშორებულნი არიან ამ კატასტროფული შექირვებისაგან, რომ უპასუხისმგებლო წვრილმანობას წარმოადგენენ“<sup>81</sup>.

უმნიშვნელოვანეს სოციალურ მოვლენათა თეორიული ახსნის ნაცვლად წვრილმანი ემპირიული ფაქტების თავმოყრითა და აღწერით დაკმაყოფილება, ცხადია, მორსაა ძეცნიერული სოციოლოგიიდან და, როგორც პროფ. პ. კიონიგიც კი (გფრ) აღიარებდა, დასავლეთში გაბატონებული „ემპირიული კვლევა-ძიების მთავარი მანკიერება თეორიის უქონლობაშია“, მაგრამ საქმე ისაა, რომ სახელდობრ ამ გზითაც ამაოდ ცდილობენ ბურჟუაზიული სოციოლოგები დრომოკმულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაცვასა და ამდენადვე განმტკიცებას.

---

ციოლოგიური ჟურნალის“ რედაქტორი, იუნესკოს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორი.

თავის წიგნებში *Sociology of the Crossroads* (1940 წ.), *Citizenship and Social class...* (1950 წ.) და სხვ. სოციოლოგიის ძირითად პრობლემად მიაჩნია „ჯგუფთაშორისი ურთიერთობათა ბუნების“ და არა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა შესწავლა. კლასობრივი ბრძოლის თეორიას იგი უპირისპირებს სოციალური სტრატეფიკაციის, ე. ი. საზოგადოების „სტრატეფად“ (ჯგუფებად), აგრეთვე ეთნიკური და რელიგიური დაყოფის თეორიას. საზოგადოების კლასებად დაყოფას იგი თვლის დამკვლევებულ ცნებად და, მართალია, ცნობს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს შემოსავალთა და სოციალური მდგომარეობის მხრივ უთანასწორობა, მაგრამ, მისი აზრით, ამ უსამართლობის ლიკვიდაციისთვის აუცილებელია არა კაპიტალიზმის მოსპობა, არამედ მუშათა კლასის მოქალაქეობრივ უფლებათა გაფართოება, მისი აღზრდისა და განათლების სისტემატური ამაღლება.

<sup>81</sup> ციტირებულია კრებულიდან: *Вопросы организации и методики конкретно-социологических исследований*, 1963, Москва.

## X. სოციალური კლასების უახლესი ბურჟუაზიული თეორიები



საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ სოციოლოგთა IV კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ V მსოფლიო კონგრესი (1962 წ.) მიეძღვნას პოლიტიკური სოციოლოგიის საკითხებს. ეს გარემოება უკვე თავისთავად მოწმობს, თუ რამდენად ღრმად განიცდის თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება და პირველ რიგში მშრომელი მასები, რომელთა მისწრაფების უგულებელყოფა დასავლეთის სოციოლოგიას არ შეუძლია, საჭირობოვით სოციალურ მოვლენათა ახსნისა და გადაჭრის საჭიროებას, რაც შეუძლებელია ძირეული ხასიათის პოლიტიკური ძვრების გარეშე.

ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ბურჟუაზიულ სოციოლოგიას არ შეუძლია ყოველი ღონით არ ცდილობდეს მონოპოლიური კაპიტალის ბურჟუაზიული სახელმწიფოების საერთაშორისო თუ შინაგანი, სოციალური თუ ნაციონალური პოლიტიკის გამართლებასა და დასაბუთებას.

ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ ისტორიული სოციოლოგიის, შედარებითი მეთოდისა და სოციალური ანთროპოლოგიის გაერთიანებულ სემინარზე „აჯანყებებისა და რევოლუციების“ საკითხის გარშემო გამართულ დისკუსიაში რევოლუციის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის კრიტიკით გამოსული პროფ. რ. არონი, ბოლოს და ბოლოს, იძულებული იყო განეცხადებინა, რომ მხოლოდღა მარქსიზმ-ლენინიზმს აქვს მეცნიერულად შემუშავებული მოძღვრება სოციალურ რევოლუციათა შესახებ და სწორედ ამის აღიარებით უმტკიცებდა ის ბურჟუაზიულ მეცნიერებას რევოლუციის შესახებ ანტიმარქსისტული თეორიის შექმნის აუცილებლობას.

კამათში გამოსულმა მარქსისტმა სოციოლოგებმა ნათლად უჩვენეს, რომ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული რევოლუციური სიტუაციის ბუნების ანალიზი არის თანამედროვე ისტორიული სინამდვილის ერთადერთი სწორი მეცნიერული ასახვა.

სამარცხვინოდ დამთავრდა, როგორც მერმე ცნობილი გახდა, განსაკუთრებული მონდომებით მომზადებული გამოსვლები, რომელთა მიზანი იყო, რათა კონგრესზე გაეშალათ დიდი დისკუსია მარქსიზმის „უახლესი ინტერპრეტაციის“ საკითხზე; შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატის პროფ. ვალტერის გამოსვლამ ამ მხრივ თვით ყველაზე რეაქციულად განწყობილ ბურჟუაზიულ სოციოლოგებზედაც კი, როგორც ისინი აშკარად აღნიშნავდნენ, ვერ მოახდინა „რამდენადმე დამაჯერებელი შთაბეჭდილება და მნიშვნელოვანი ეფექტი“.

ბურჟუაზიულ სოციოლოგთა თეორია ე. წ. პოლიტიკური ელიტისა, რომ თითქოს სახელმწიფოს განაგებს არა ერთი რომელიმე კლასის წარმომადგენლები, არამედ რჩეულ საზოგადოებრივ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც არა ცალკე კლასის, არამედ მთელი ხალხის ინტერესებს ემსახურება, — მეტისმეტად უძწეოდ გამოიყურებოდა ამ გაერთიანებულ სემინარზე. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის ორგანიზატორებმა ამ საკითხზე გამოიყვანეს თავიანთი „მიმღე არტილერია“.

პროფ. ე. პენატი ამაოდ ცდილობდა ემტკიცებინა, რომ „პოლიტიკური ელიტა“, როგორც ტერმინი და ცნება თანამედროვე სოციოლოგიის მონაპოვარია... და ბოლოს მან მაინც გაიზიარა ის თითქოს ტრივიალური აზრი, რომ ელიტა ესაა კვალიფიციური უმცირესობა და თანვე განაცხადა, რომ „ელიტას ცნება, როგორც წესი, უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი ფასეულობრივი კვალიფიკაციისაგან“.

თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევდნენ კონგრესის ორგანიზატორები პოლიტიკური სოციოლოგიის პრობლემაში კერძოდ პოლიტიკური ელიტის საკითხს იქიდანაც ჩანს, რომ სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილი სემინარისათვის მათ ცალკე ბროშურის სახით დაბეჭდეს და, კონგრესის დელეგატებს დაურიგეს ათი მოხსენება, მათ შორის პროფ. ე. პენატის დასახელებული გამოსვლა<sup>82</sup>.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სოციოლოგთა III მსოფლიო კონგრესის სამზადისში, 1954 წ. ლონდონს გამოქვეყნდა წიგნი „სოციალური მობილურობა დიდ ბრიტანეთში“, რომლის რედაქტორი პროფ. გლესი ამტკიცებს, რომ შეხედულება საზოგადოების კლასებად დაყოფის შესახებ უკვე დაძველებულიაო. იგი საზოგადოებას ჰყოფს ჯგუფებად, სოციალურ ფენებად, ე. წ. სტრატეებად, რამდენადაც თვლის, რომ ამჟამად მთავარია ინდივიდუუმის არა კლასობრივი, არამედ სოციალური მდგომარეობა, მისი სოციალური სტატუსი.

სწორედ ამას ქადაგებდნენ სოციოლოგთა III კონგრესზე (1956 წ. ამსტერდამში) გამოსული ბურჟუაზიული მეცნიერები: ტ. მარშალი, ჯ. ვერნარდი, ს. მილერი, კ. მაიერი და სხვ.

პროფ. გლესის (ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ლონდონის სკოლის) მიერ ჩატარებული ცდის სიახლე ისაა, რომ, განსხვავებით იმ სოციოლოგებისაგან, რომლებიც სწავლობდნენ ინდივიდუალურ სტატუსსა და ინდივიდუალურ მობილურობას, მან

<sup>82</sup> Informal discussion meeting on political Sociology, 1959, მილანი.

მიზნად დაისახა შესწავლა მთელი სახელმწიფოს — დიდი ბრიტანეთის — სოციალური სტატუსი და სოციალური მობილურობა.

მისი წარმოდგენით ყოველი თანამედროვე საზოგადოება შედგება სოციალური სტრატეების იერარქიისა და შესაბამისად ამისა — სოციალური სტატუსის იერარქიისაგან, რაც პროფ. გლესს საერთოდ არ მიაჩნია საკამათო და სადავო საკითხად. ამგვარად, მისი გამოკვლევა შეეხება „სოციალურ სტატუსს ანუ სოციალურ პრესტიჟს და არა სოციალურ კლასს ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით“.

მაგრამ სოციალური სტატუსის გასარკვევად საჭირო იყო სათანადო კრიტერიუმის გამოჩენა. ასეთი შეიძლება ყოფილიყო: შემოსავალი, ქონებრივი მდგომარეობა, განათლება, საქმიანობა და სხვ. გლესის კოლეგები ამტკიცებენ, რომ ინგლისში სოციალური სტატუსის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სახელდობრ საქმიანობა; იგი თავის თავში ასახავს სხვა ფაქტორთა გავლენასაც, რადგან „საქმიანობა — ეს ისეთი ასპექტია სოციალური სტატუსისა, რაც უწინარეს ყოვლისა მოუვა თავში ადამიანს, როდესაც ის ცდილობს წარმოიდგინოს რომელიმე ინდივიდუუმის მდგომარეობა სოციალურ იერარქიაში“.

სინამდვილეში ამ მხრივ საქმიანობის, როგორც კრიტერიუმის უპირატესობა ისაა, რომ მის შესახებ შეიძლება სუსტი ინფორმაციის მიღება, რომ ადვილია მისი კლასიფიკაცია და რომ ის დიდადაა განსაზღვრული სხვა კრიტერიუმებითაც.

მოპოვებულ მასალათა შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანთა სოციალური პრესტიჟის შესაბამის საქმიანობათა შეიდი კატეგორიისგან შემდგარი კლასიფიკაცია, რასაც ეწოდა სტანდარტული კლასიფიკაცია. იგი საფუძვლად დაედვა სოციალური სტატუსის ანალიზს.

I კატეგორიაში შევიდა თავისუფალი პროფესიები და უმაღლესი ადმინისტრაციული კადრები — ყველა ის საქმიანობა, რაც მაღალ სპეციალურ ცოდნა-გამოცდილებას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწავლა-განათლების შედეგად მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციას მოითხოვს;

II კატეგორიას ქმნიან — დირექტორები და ადმინისტრატორები — ისეთ თანამდებობათა პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ინიციატივის გამოჩენისა და გარკვეული მიმართულების დავალებათა შესრულებისათვის (მაგალითად, დაწყებითი სკოლის დირექტორი);

III კატეგორიას შეადგენენ — ინსპექტორები, ზედამხედველები და სხვ. არაფიზიკური შრომის მაღალი თანამდებობის



მუშაკები (მაგ., დაწყებითი სკოლის ზედამხედველი);

IV კატეგორიაში მოექცნენ — ინსპექტორები, ზედამხედველები და სხვ. არაფიზიკური შრომის დაბალი თანამდებობის მუშაკები, რომელთა ძალაუფლება სხვების მიმართ უფრო შეზღუდულია, მაგრამ სამუშაოს ხასიათი გულისხმობს გარკვეულ პასუხისმგებლობას (მაგალითად, კალკულატორი);

V კატეგორიას ქმნიან ფიზიკური შრომის კვალიფიციური მუშაკები (რაც გულისხმობს სპეციალურ ცოდნას და წარმოების პროცესისთვის პასუხისმგებლობას) და არაფიზიკური შრომის რუტინული თანამდებობის მუშაკები (მაგ., დაბალი მოსამსახურენი), რომელთა სოციალური პრესტიჟი ერთნაირია;

VI კატეგორიას შეადგენენ ფიზიკური შრომის ნახევრადკვალიფიციური მუშაკები, რომლებიც, არ ფლობენ რა სპეციალურ ოსტატობას, სისტემატურად ასრულებენ გარკვეულ სამუშაოს მრეწველობის განსაზღვრულ დარგში.

VII კატეგორიაში მოექცნენ ფიზიკური შრომის არაკვალიფიციური მუშაკები, რომელთაც არ აქვთ სპეციალური ცოდნა და რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მრეწველობის განსაზღვრულ დარგთან.

ხსენებულ შვიდ სტანდარტულ კლასიფიკაციაში შევიდა 156 საქმიანობა, შესაბამისად მათი სოციალური პრესტიჟისა.

შემდეგ, თუ რამდენად შეესაბამება ამ სახით შემუშავებულ აპრიორული სკალა სინამდვილეს, საკითხზე საზოგადოებრივ შეხედულებას, ამ მიზნით მოეწყო საზოგადოებრივი აზრის შემოწმება — სანიშნო და საერთო გამოკვლევის ვით.

მასალათა მოპოვების გაადვილების და გამოსაკითხ პირთათვის პასუხის გამარტივების მიზნით 138 საქმიანობათაგან შერჩეულ იქნა 30 ძირითადი საქმიანობა. მოპოვებულ მასალათა დამუშავებამ გამოავლინა, რომ, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, სტანდარტულ კლასიფიკაციას შესამჩნევად არ დასცილებია 1400 გამოკითხვის ფურცლის მონაცემები. იყო, მაგალითად, ასეთი დაცილებები: სტანდარტული კლასიფიკაციით ფერმერი შევიდა პირველ კატეგორიაში, ხოლო გამოკითხვის შედეგებით ის მიეკუთვნა მეორე კატეგორიას; სტანდარტული კლასიფიკაციით მწერველი (მაღაროს მუშა) მიეკუთვნა მეხუთე კატეგორიას, ხოლო გამოკითხვის შედეგებით — მეექვსეს და ა. შ.

საბოლოოდ სოციოლოგებმა, გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, დააზუსტეს სტანდარტული კლასიფიკაცია. მაინც ამ გამოკვლევის მთავარი ნაკლოვანება ისაა, რომ გამოკითხული 1400 კაცი უმთავრესად პირველი 1—4 კატეგორიის წრეს ეკუთვნოდა და

საერთო რაოდენობიდან (1400-დან) 6 და 7 კატეგორიაზე, ე. ი. ნახევრადკვალიფიციურ და უკვალიფიკაციო მუშეებზე მხოლოდ პროცენტი მოდიოდა. არც ის იყო მართებული, რომ ქალების სტატუსი ისაზღვრებოდა ქმრის ან მამის სტატუსის შესაბამისად. იგნორირებული იყო ქონებრივი მდგომარეობისა და ამა თუ იმ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლის საკითხი, რაც საერთოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და კერძოდ ინგლისში მნიშვნელოვანი ზომით განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ პრესტიჟს.

მართალია, ინგლისელი სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ მათ შექმნეს მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური პრესტიჟის სკალა და რომ, ვითომ, მათ მიერ ჩატარებულმა ემპირიულმა გამოკვლევამ დაადასტურა ერთსულოვნება საზოგადოებრივი აზრისა საქმიანობის სოციალური პრესტიჟის საკითხში, მაგრამ სინამდვილეში მათ მიერ კონსტრუირებული საქმიანობის სოციალური პრესტიჟის სკალა მხოლოდ რამდენადმე ასახავს და ისიც უპირატესად საზოგადოების უმაღლესი და საშუალო ფენების აზრს და არა აზრს მთელი საზოგადოებისა, რომელიც თავისი კლასობრივი წასიათისა გამო (მაგალითად, მუშა და ფაბრიკანტი, ფერმერი და დაწყებითი სკოლის მასწავლებელი) შეუძლებელია სხვადასხვა შეხედულებისა არ იყოს (მაგალითად, პოლისმენის სოციალურ პრესტიჟზე).

ბურჟუაზიული სოციოლოგების, ვითომდა თვით საზოგადოების მიერ მოწონებული სტანდარტული კლასიფიკაციით პოლისმენის სოციალური პრესტიჟი უფრო მაღალია, ვინემ მემალაროესი კომპანიის დირექტორის (ფაბრიკანტის) საქმიანობა უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი, ხოლო დურგალი ყველაზე დაბალი პრესტიჟით სარგებლობს.

აქედან ნათელია მისწრაფება ბურჟუაზიული სოციოლოგიისა: თანამედროვე ინგლისი წარმოვიდგინოს როგორც დაახლოებით ერთგვაროვან ადამიანთა კრებული, მიჩქმალონ კლასობრივი ანტაგონიზმი და ამასთანავე ხელი შეუწყონ კაპიტალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა, როგორც თანაცხოვრების ვითომდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთათვის სასურველი ფორმის, განმტკიცებას.

ახლა იქ ისიც უნდა ითქვას, რომ სოციალური სტრატეფიკაციის საკითხი უკანასკნელ წლებში ამერიკელმა სოციოლოგებმა დაუკავშირეს სოციალური მოზილურობის პრობლემას. სოციალური სტრატეფიკაცია სწავლობს საზოგადოების ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ და ა. შ. დიფერენციაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. სენტერსის, ა. ჯონსის, ა. პოლინგსპედის, რ. ბენდიქსის, ჰ. ჰაიმენის და სხვ. ნაშრომები.

სოციალური სტრატეგიკის პრობლემათა შესწავლის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია სტანფორდის უნივერსიტეტთან არსებული ჰუვერის ინსტიტუტი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური ელიტის საკითხთა გაშუქებას, იმ მოსაზრებით, რათა დაამტკიცოს, რომ, ვითომ, თანამედროვე ეპოქაში არ არსებობს მსოფლიო რევოლუციის აუცილებლობა.

სწორედ ასეთია თანამედროვე ოფიციალური ამერიკული სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება, რასაც უდიდესი ყურადღება ექცევა, როგორც იდეოლოგიური თავდაცვის, როგორც კაპიტალიზმის აპოლოგეტიკის ყველაზე ძლიერ იარაღს.



თანამედროვე ამერიკული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი კ. გოლბრეისი თავის წიგნში, — „სიუხვის საზოგადოება“, წერს, რომ ახლა სულ სხვაგვარი სოციალურ-ეკონომიკური პირობები ბატონობენ, ვინემ მე-19 ს. შუაში. ძირფესვიანად შეიცვალა საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაცია, გაქრა სოციალური ანტაგონიზმი და მასთან ერთად საფუძველი გამოეცალა კლასობრივი ბრძოლის თეორიაზე აშენებულ მარქსიზმს<sup>63</sup>.

ბურჟუაზიული საზოგადოების ახლანდელი სტრუქტურა ამ სოციოლოგებს წარმოდგენილი აქვთ, როგორც განსაზიერება სოციალური მობილურობისა, სადაც მოხსნილია კლასობრივი ბარიერები და საზოგადოების ყველა წევრისათვის, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის შექმნილია „თანაბარი პოტენციური შესაძლებლობის“ პირობა.

ამ ურთიერთობათა, ე. ი. „თანაბარი პოტენციური შესაძლებლობის“ საფუძველს წარმოადგენს საკუთრების ახალი ფორმა; ესაა „საზოგადოებრივი საკუთრება“, „სახალხო საკუთრება“, „დემოკრატიული საკუთრება“ — რა სახესაც წინანდელი კერძო ბურჟუაზიული საკუთრება ამჟამად ატარებს აქციონერულ გაერთიანებათა (კომპანიების) მეოხებით.

საკუთრების ეს ახალი ფორმა, გაპირობებულია უახლესი ტექნიკისა და მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საწყისებით და ემორჩილება რა სახელმწიფოებრივ კონტროლს, თითქმის მთელი ქვეყნის საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს ემსახურება.

<sup>63</sup> K. Galbraith, The Affluent Society, 1958, Boston.

„სოციალური მობილურობისა“ და „თანაბარ შესაძლებლობათა“ თეორია ემყარება კაპიტალისტური საკუთრებისა და წარმოების „ხალხურობის“ შესახებ შეოხზულ თეორიას, რასაც ასე გულმოდგინედ ქადაგებენ ბურჟუაზიული სოციოლოგები — განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

„ხალხური კაპიტალიზმის“, „კოლექტიური კაპიტალიზმის“, „წრომითი კაპიტალიზმის“, „შერეული კაპიტალიზმის“, „საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის“, „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ მქადაგებელი ბურჟუაზიული სოციოლოგები ამტკიცებენ, ახლა, მეოცე საუკუნის შუაში, ჩამოყალიბებულია საკუთრებისა და წარმოების სულ სხვა ფორმა, ვინემ ის კაპიტალისტური ურთიერთობები, რაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეისწავლეს მე-19 საუკუნის შუაში.

ასე რომ, ახლანდელი კაპიტალიზმი სულ სხვანაირია და ნაცვლად ქონებრივი განსხვავების ზრდისა დას. ევროპასა და აშშ სულ უფრო იზრდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, მცირდება სამუშაო დრო, უმჯობესდება მუშათა საერთო კეთილდღეობა და მატერიალური დონე. მუშათა „უმრავლესობას აქვს საკუთარი სახლი, ზოლო აშშ ავტომობილიც. ზოგიერთებმა შეიძინეს აქციები იმ კორპორაციისა, რომლებშიც მუშაობენ და თვითონ გადაიქცნენ კაპიტალისტებად... დემოკრატიულმა მთავრობებმა... სცნეს მუშათა კავშირების უფლება, რათა ხელფასისა და შრომის პირობების საკითხები შეათანხმონ მეწარმეებთან“, აცხადებს ერთი ამერიკელი სოციოლოგი.

ასეთი ქადაგებით გატაცებული ზოგიერთი ბურჟუაზიული სოციოლოგი კიდევ უფრო შორს მიდის. მაგ., ფ. ალენი აცხადებს, რომ „ხალხური კაპიტალიზმი“ უფრო მაღალი დონეა, ვინემ სოციალიზმი, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უკვე „განვლილ საფეხურს“ წარმოადგენს<sup>84</sup>.

მაგრამ მოსახლეობის ფართო მასების თვალში კაპიტალიზმი, როგორც გინდ ლამაზი ეპითეტებით ის არ შეამკონ, იმდენად სახელგატეხილია, რომ მისი აპოლოგეტები იმასაც კი ცდილობენ სულ უკუაგდონ ეს სიტყვა (ტერმინი) და სხვა რამით შეცვალონ იგი სალაპარაკო და სამწერლო ენაში. ბურჟუაზიული ჟურნალისტი ნიკოლსი პირდაპირ მოითხოვს: „კაპიტალიზმისათვის საჭიროა ახალი სახელი... მხოლოდ-ღა ერთი სიტყვის გამოცვლას შეუძლია გამოიწვიოს ისტორიის მსვლელობის შეცვლა“.

<sup>84</sup> В. У г р ю м о в, Новейшие теории современной буржуазной социологии, 1961, М., стр. 201.



აშშ შრომის მინისტრის ყოფილი თანაშემწე ჯ. ლოჯი აღიარებს, რომ „თვით სიტყვა კაპიტალიზმი თითქმის ერთსულოვან მტრობას იწვევს“ მსოფლიოს ხალხებში, რადგან ეს ისეთი სიტყვაა, რომელიც ყოველთვის მოაგონებს კოლონიალიზმსა და ექსპლოატაციას. ცნობილი ამერიკელი სახელმწიფოებრივი მოღვაწე და მილიონერი ა. ჰარიმანი მოითხოვს სიტყვა „კაპიტალიზმის“ სრულებით უარყოფას და მის ადგილას შემოღებას ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა, მაგალითად, „ეკონომიკური დემოკრატია“, „ეკონომიკური ჰუმანიზმი“, „ხალხური კაპიტალიზმი“, „სოციალური კაპიტალიზმი“.

ბურჟუაზიულ სოციოლოგთა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა, საერთოდ კაპიტალიზმის აპოლოგეტების მთელი ამ მისწრაფების აზრი ისაა, რომ „ხალხური კაპიტალიზმის“ თეორიის პროპაგანდის მეოხებით მიჩქმალონ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორია, პრაქტიკულად შეანელონ კლასობრივი ანტაგონიზმი და თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმი დასახონ როგორც „საყოველთაო კეთილდღეობის“ სამყარო, სადაც მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი, ვითომ თანაბარი შესაძლებლობით სარგებლობს მატერიალური თუ სულიერი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში.

ბურჟუაზიული სოციოლოგები, მაგალითად, პროფ. ბ. ბარბერი ამტკიცებს, რომ „სოციალური მობილურობისა“ და „თანაბარ შესაძლებლობათა“ პირობებში აშშ საზოგადოება გადაქცეულია „ლია-კლასობრივი ტიპის“ საზოგადოებად, სადაც უკვე არ არსებობს ექსპლოატაცია, სადაც პროლეტარიატი და ბურჟუაზია უკვე გარდაიქმნენ და მათ წარმოქმნეს სავსებით ახალი კლასი, ე. წ. „საშუალო კლასი“, რამდენადაც მუშები გახდნენ მესაკუთრენი (აქციონერები), ხოლო კაპიტალისტები უკვე არ არიან საწარმოთა (ფაბრიკების, ქარხნების) მებატრონენი, არამედ წარმომადგენენ ინდუსტრიული, ფინანსური და სხვ. კომპანიების მოსამსახურეებს. ამ სისტემის თანმიმდევრულ წარმატებათა მეოხებით მიმდინარეობს „ამერიკული სტრატეგიკაციის ლია-კლასობრივი სისტემის შემდგომი განმტკიცება“<sup>85</sup>.

ამგვარად, ბურჟუაზიული სოციოლოგია ე. წ. „სოციალური მობილურობის“, „სოციალური სტრატეგიკაციის“, „საშუალო კლასების“ თეორიებს უპირისპირებს კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ მარქსისტულ მოძღვრებას და ეწევა ბურჟუაზიული

<sup>85</sup> B. Barber, Social Stratification, New-York, 1957, p. 501.



საზოგადოების ნამდვილი კლასობრივი სტრუქტურის ფაქტობრივად  
ცის.

პროფ. ბ. ბარბერი პირდაპირ აცხადებს, რომ სიმდიდრე და სა-  
კუთრება წარმოადგენენ თანამედროვე საზოგადოების სოციალურა-  
დიფერენციაციის არა ძირითად, არამედ უფრო მეორე რიგის კრი-  
ტერიუმებს, რომ „სიმდიდრე და მაღალი პოზიცია სტრატეფიკაციის  
სისტემაში ურთიერთკავშირში არ არიან“<sup>86</sup>.

საერთოდ, საზოგადოების სოციალურ სტრატეზად დაყოფას  
საფუძვლად ედება ეკონომიკური, სოციალური, თანამდებობრივი,  
პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური და სხვ. მრავალგვარი ნიშა-  
ნი და ამდენადვე ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა შეიმუშავეს ე. წ.  
„მრავალგანზომილებიანი სტრატეფიკაცია“, რის მიხედვითაც ერთი  
და იგივე ინდივიდი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე სტრატს  
მიეკუთვნოს და სწორედ ამგვარად მიიჩქმალოს საზოგადოების ნამ-  
დვილი, კლასობრივი, ანტაგონისტური ხასიათი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბურჟუაზიული სოციოლოგები ხმა-  
რობენ ტერმინს „კლასი“, ისინი სულ სხვადასხვანაირად განმარტა-  
ვენ მის ცნებას და საზოგადოებას ყოფენ მთელ რიგ, ზოგჯერ 8—12  
კლასად: თანამდებობის, პროფესიის, განათლების, შემოსავლის, სა-  
დიდის, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების, პოლიტიკური მი-  
მართულების, დასაქმებულობის, საბინაო პირობების, საცხოვრებე-  
ლი ადგილის (რაიონის) და სხვ. მაჩვენებელთა ფრიალ თვითნებუ-  
რი ინდექსის მეოხებით.

სოციალური მობილურობისა და სოციალური სტრატეფიკაციის  
თეორიასთან შეხმატკბილებულია „საშუალო კლასების“ თეორია  
და ამის შესაბამისად მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის  
შესწავლის, მაგალითად ანკეტური გამოკითხვის შედეგები მოწო-  
დებულია უჩვენოს, ბურჟუაზიული საზოგადოების ერთფეროვანება.  
როგორც ცნობილია, აშშ მოსახლეობის ანკეტურმა გამოკითხვამ  
უჩვენა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 88 პროცენტმა თავისთა-  
ვი „საშუალო კლასს“ მიაკუთვნა<sup>87</sup>. რაც, ცხადია, ასახავს არა ობი-  
ექტურ სინამდვილეს, არამედ მხოლოდ იმას, თუ რას ფიქრობს ესა  
თუ ის ადამიანი თავისი სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ „საშუალო კლასის“ ცნება  
ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ფრიალ არასტაბილურია და შეიძ-  
ლება მას მიეკუთვნოს მოსახლეობის მრავალგვარი ფენა, როგორც  
მაგალითად, თავისუფალი პროფესიის ადამიანები, ტექნიკური დარ-  
გების სპეციალისტები, მომსახურების სფეროში დასაქმებული

<sup>86</sup> B. Barber, Social Stratification, New-York, 1957, p. 42.

<sup>87</sup> Э. Грант, Социализм и средние классы, 1960, М.

ხალხი, სოფლისა და ქალაქის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია (ვაჭრები, ხელოსნები, შინამრეწველები, ფერმერები და სხვ.) მრავალგვარი დარგისა და რანგის სახელმწიფოებრივი მოხელენი და მოსამსახურენი, ინტელიგენცია და ა. შ.

ასეთი „კრიტერიუმის“ გამომთქცევისა და გამოყენების შედეგად, ადვილად გასაგებია, თუ როგორ ხერხდება რომ „საშუალო კლასი“ შეიცავს ბურჟუაზიული, მაგ., აშშ საზოგადოების მთელი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ნამდვილად კი ასეთი „საშუალო კლასი“ ფიქციაა და მოგონილია მხოლოდ იმისთვის, რომ მიჩქმალულ იქნას რეალურად არსებული კლასობრივი განსხვავებანი და ანტაგონიზმი.

აქ საჭიროა გავისენოთ, რომ ამერიკელ მილიონერებს, რომლებიც მთელი მოსახლეობის ერთ პროცენტს შეადგენენ, ხელთ უპყრიათ აშშ მთელი ნაციონალური სიმდიდრის 55 პროც. ხოლო მშრომელთა მასებზე, რომლებიც მთელი მოსახლეობის ცხრა მეათედს შეადგენენ, მოდის ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ 35 პროცენტი.

სულ უფრო მწვავედება აშშ კლასობრივი ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლები; ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 1960 წელს აქ ინდუსტრიული წარმოების სხვადასხვა დარგის მუშებმა მოაწყვეს 3300 პოლიტიკური და ეკონომიკური გაფიცვა, რაშიც 1,4 მილ. კაცმა მიიღო მონაწილეობა.

წინააღმდეგ აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ა. ბერლის მტკიცებისა, რომ წვრილ აქციონერთა გამრავლებამ თითქოს განაპირობა „სახალხო კაპიტალიზმის“, „ინდუსტრიული საზოგადოების“ და თვით „სახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ დამახასიათებელ ურთიერთობათა განვითარება<sup>88</sup>, ნამდვილად აქციონერული კამპანიები მოსახლეობაში აქციების გავრცელებას ეწვეიან არა ამ უკანასკნელთა ინტერესებისათვის, არამედ იმიტომ, რომ გაერთიანებათა აქციური ფორმა, მოსახლეობის თავისუფალ ფულად საშუალებათა მობილიზაციისა და წარმოებაში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესის გაძლიერების მიზნით ფრიად ხელსაყრელია მსხვილი მონოპოლიებისათვის. ფაქტიურად ამ ხერხით ხორციელდება მრავალ წვრილ აქციონერთა საშუალებების მითვისება. აღსანიშნავია, რომ აშშ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის საერთო ჯამი წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის სისტემატურად კლებად ნაწილს. სამაგიეროდ სულ უფრო იზრდება მილიონერთა ხვედრიწილი ნაციონალურ შემოსავალში<sup>89</sup>.

<sup>88</sup> A. Berle, Power without Property, 1959, New-York.

<sup>89</sup> Дж. Б у д и ш. Народный капитализм, 1959; Г. Ф а б и ю к е, Народный капитализм в теории и на практике, 1959, М.

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების პრაქტიკულმა გამოყენებამ დახმარება უნდა გაუწიოს კაპიტალისტურ მონოპოლიებს, საერთოდ გაბატონებულ კლასებს, რათა მოსპოს კლასობრივი კონფლიქტები და ხელი შეუწყოს „მოსახლეობის ხნეობრივი და ფსიქოლოგიური დონის განმტკიცებას“.

ამ მიზნით ამერიკელი სოციოლოგები მუშაობენ უწყება-დაწესებულებებში, წარმოებაში, უშუალოდ მონაწილეობენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის გამომკვლევი სოციოლოგები უდიდეს გავლენას ახდენენ არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეზე. სოციოლოგები გამოდიან როგორც მრჩეველები მსხვილ საწარმოებში და ა. შ. ისინი მიისწრაფვიან, რათა სოციალურ ურთიერთობათა შესწავლა შესცვალონ „ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა“ შესწავლით, რის შედეგადაც ამჟამად როგორც ამერიკულ, ისე საერთოდ ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა სოციალურმა ფსიქოლოგიამ.

საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენათა ახსნა-გაშუქებაში ფსიქოლოგიზმი შეიქმნა წამყვანი მდინარება. ისინი თვლიან, რომ ადამიანზე ადამიანის წარმოდგენა — ესაა ყოველგვარ სოციალურ ურთიერთობათა მიზეზი და საფუძველიც, ისინი საზოგადოებრივი მოვლენების ასახსნელად იყენებენ ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ცნებებსა და კანონებს და, ამგვარად, საზოგადოების განვითარების საკითხებს სწავლობენ ადამიანთა ყოფაქცევის კანონზომიერებათა შუქზე, რითაც ცდილობენ დაჩრდილონ „სოციალურ დაძაბულობათა“ მთავარი მიზეზები, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ურთიერთობანი და საერთოდ ყველაფერი დაიყვანონ გარეგნულ, ფსიქოლოგიურ მოჩენებამდე.

მათი აზრით, მუშებსა და მეწარმეებს, დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის კონფლიქტების მთავარი მიზეზია ურთიერთგავეების არასაკმარისობა. საჭიროა ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშისადმი, როგორც ადამიანისადმი, ე. ი. როგორც მორალური, ფსიქოლოგიური და კულტურული არსებისადმი, ყურადღება და მაშინ უზრუნველყოფილი იქნება როგორც შრომის მწარმოებულობის ამაღლება, ასევე ლიკვიდაცია კონფლიქტების შესაძლებლობისა. ამ გზაზე ზოგიერთი რეაქციული სოციოლოგი იქამდეც მიდის, რომ ცდილობს საზოგადოების სოციალურ კლასებად დაყოფას საფუძვლად დაუდვას ადამიანთა ფსიქოლოგიური და კულტურული განსხვავებულობის ნიშნები.

ასე მიისწრაფვის ბურჟუაზიული სოციოლოგია, რათა მიჩქმლოს საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის და, რაც მთავარია, კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობა, „უმეურნალოს“ მუშათა კლასსა და საერთოდ მშრომელ მოსახლეობას, რათა „მოარჩინოს“ იგი სოციალისტური იდეებისა და კომუნისტური წყობილებიდან მიდრეკილების „ავადმყოფობისაგან“, რაც მით უფრო საშიში ხდება მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი სისტემისათვის, რაც უფრო პოპულარული ხდება დასავლეთის ქვეყნებში მუშათა კლასის, მშრომელთა ხელისუფლების, სახელდობრ სსრ კავშირის, და მთელი სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებები.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია პოლიტიკური ელიტის საკითხისადმი მიძღვნილმა პროგრესული ამერიკელი სოციოლოგის ჩარლზ რაიტ მილსის წიგნმა — „მმართველი ელიტა“<sup>90</sup>. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი მილსი ეკუთვნის ამერიკელ სოციოლოგთა იმ წრეს, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე, ასე ვთქვათ, ოპოზიციაში ჩაუდგა ბურჟუაზიულ მეცნიერებასა და იდეოლოგიას საერთოდ. თავის ხსენებულ ნაშრომში მილსმა ნათელჰყო, რომ თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ელიტას; რომლის შემადგენლობაში შედიან კორპორაციების მეთაურები, სახელმწიფო მანქანის ხელმძღვანელები და მაღალი თანამდებობის სამხედრო მოხელეები. რაიტ მილსმა დიდძალი ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე უჩვენა, რომ ამერიკული „დემოკრატიის“ ხალხურობა, — ეს ამერიკული პროპაგანდის მონაკორი ამბავია.

შვეციელი სოციოლოგი გ. მიურდალი დაახლოებით ამავე პრობლემაზე დაწერილ ნაშრომში — „ამერიკული დილემა“ — სადაც ის ამერიკული დემოკრატიისა და ამერიკული რასიზმის საკითხს ნაციონალურ ურთიერთობათა ასპექტში იხილავს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ აშშ კონსტიტუციაში ჩაწერილი „დემოკრატიული უფლებები სინამდვილეში მხოლოდღა აბსტრაქტულ უფლებებს“ წარმოადგენენ. ყოველდღიურ ცხოვრებაში დემოკრატია გამუდმებულად ითელება. ამის ძირითად მაგალითად გ. მიურდალს მოჰყავს ზანგთა

<sup>90</sup> Ch. W. Mills, The Power Elite, 1956, London; აქ მინდა დავსძინო რომ პროფ. მილსი მონაწილეობდა სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. იგი 1960 წ. აპრილის ბოლო რიცხვებში ესტუმრა თბილისს. აქ ჩვენ მასთან საინტერესო საუბარი გვქონდა სოციოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ამჟამად იგი მუშაობს ინტელიგენციის სოციოლოგიისა და მარქსიზმის ისტორიის საკითხებზე. პროფ. მილსზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებმა ჩვენს ქვეყანაში.

ფაქტური მდგომარეობა, რასობრივი უთანასწორობა. ფერადკანიანთა „არასრულფასოვანობის“ იდეა ამერიკული „დემოკრატიის“ განუყრელი თვისებაა — აცხადებს იგი<sup>91</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში თვით ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში თავს იჩენს ერთგვარი ტენდენცია როგორც ამერიკულ, ისე საერთოდ თანამედროვე დასავლურ საზოგადოებათმეტყველებაში ფესვგადგმული პესიმიზმისა და ირაციონალიზმის აღიარებისა და, ამასთანავე, მართალია ცდებიც მისი დაგმობისა.

ამ მხრივ საყურადღებოა ამერიკელი სოციოლოგიის რ. ბეილის წიგნის თვით სახელწოდებაც: „სოციოლოგია პესიმიზმის პირისპირ...“<sup>92</sup>, რომლის აზრი ისაა, რომ სოციოლოგიაში, რომელიც ოპტიმიზმის ეპოქაში (XIX ს.) წარმოიშვა, მეოცე საუკუნე შეიქმნა პესიმიზმის ეპოქად და რომ ევროპაში დაწყებული უიმედობის ეს განწყობილება უკანასკნელ ხანებში მოედვა ამერიკულ სოციოლოგიას და ვრცელდება თვით საზოგადოებაში.

რ. ბეილის მიაჩნია, რომ პესიმიზმი სოციოლოგიური მეცნიერებისათვის უდიდესი საფრთხეა და მოუწოდებს მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ; თუმცა საბოლოოდ თვითონვე პესიმიზმში ვარდება, რამდენადაც იძულებულია აღიაროს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები ირაციონალიზმითაა გატენილი და მოკლებულია ადამიანთა საზოგადოების პოტენციისა და ძლიერებისადმი, საერთოდ პროგრესისადმი რწმენასო.

ასეთს პირობებში ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერი, მაგალითად, პროფ. ბ. ჰელბერნი, ვფიქრობთ, მართებულადაც მიუთითებს, რომ სწორედ ბურჟუაზიული სოციოლოგიის უმწეობით, გამოიკვლიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები, აიხსნება სოციოლოგიის სოციალური ფსიქოლოგიით შეცვლის ცდები<sup>93</sup>.

## XI. ინტიმური და მეცნიერული

ჩინური ანდაზაა: ადამიანი რომელსაც შეგნებული არა აქვს, რომ ის მოწოდებულია იკისროს თავისი ქვეყნის მისიის, ელჩის მოვალეობა, არ შეძლება იყოს განათლებული და სრული მოქალაქე.

<sup>91</sup> G. Myrdal, *An American Dilemma*, 1944, New-York.

<sup>92</sup> R. Bailey, *Sociology Faces Pessimism, a Study of European Sociological Thought amidst a Fading Optimism*, 1958, ჰააგა.

<sup>93</sup> B. Halpern, *History Sociology and Contemporary Area Studies* („The American Journal of Sociology“, 1957, July).





კონგრესის ერთ-ერთი დადებითი მნიშვნელობა ისიც იყო, რომ აქ ეწყობოდა სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების შეხვედრები. ზოგმა დელეგაციამ მოაწყო სპეციალური მიღებები, მაგალითად აშშ სოციოლოგთა დელეგაციამ მიღება გაუმართა საბჭოთა დელეგაციას. თავის მხრივ საბჭოთა დელეგაციამ მოაწყო მიღება ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი და სხვა სოციოლოგებისა.

ამგვარ მიღებაზე, აგრეთვე თვით საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის მიერ მოწყობილ ბანკეტებზე, კონგრესის სხდომებს შორის კულუარებში, სასტუმროებში, სასადილოებში, ექსკურსიებსა, გასეირნებათა და დასვენებათა დროს სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგთა ჯგუფებსა, თუ ცალკე პირებს შორის შეხვედრებზე, ურთიერთნაცნობობის უფრო ახლობლურ ვითარებაში, ხშირად იმართებოდა აზრთა გაცვლა, ბაასი, მსჯელობა და, მე ვიტყვოდი, არაოფიციალური დისკუსიებიც კი ამა თუ იმ სოციოლოგიური პრობლემების გარშემო, სხვადასხვა ქვეყანაში სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების მდგომარეობის შესახებ, ცალკე მეცნიერთა ნაშრომებისა, თუ გამოსვლების თაობაზე.

უნდა ითქვას, რომ ასეთ შეხვედრებზე საბჭოთა დელეგაციის წევრები მოწოდების სიმალლეზე იდგნენ. ისინი ამომწურავ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ თავიანთ დასავლეთელ კოლეგებს სსრკ-ში სოციოლოგიური კვლევა-ძიების მიმართულებათა და მიღწევათა შესახებ და სხვ.

მაგალითად, ზოგიერთ ბურჟუაზიულ სოციოლოგს თურმე ეგონათ თითქმის სსრკ-ში ყურადღება არ ექცეოდა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული საკითხების კვლევა-ძიებას და, ამ მხრივ, უფრო ისტორიული თემატიკა იყოს მოწონებაში.

საბჭოთა სოციოლოგებმა მათ განუმარტეს, რომ მარქსისტების მხრივ პოზიტივისტური სოციოლოგიური ემპირიზმის უარყოფას არაფერი აქვს საერთო სოციალურ ურთიერთობათა გარკვეული ფაქტების კონკრეტულ შესწავლასთან, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციოლოგიისა და კერძოდ ისტორიული პროცესის თეორიის განვითარება, და რომ მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით საზოგადოებრივ მოვლენათა (ფაქტების) კონკრეტული შესწავლის ერთადერთი მეცნიერული საფუძველია ისტორიის მატერიალისტური გაგება.

ანალოგიური იყო დავა პიროვნებისა და თავისუფლების მარქსისტულ-ლენინური გაგების გარშემო. ა. ბუჰპოლცი (გფრ) ამტკი-

ცემა, რომ თავისუფლება არ შეიძლება გავიგოთ როგორც შენე-  
ნება აუცილებლობისა და უკანასკნელთან შეთანხმებული მოქმე-  
ლება, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჰქრება განსხვავება თავისუფ-  
ლებასა და მორჩილებას შორის, ხოლო პიროვნება კარგავს თავის  
ინდივიდუალობას; რომ თავისუფლება გამოირიცხულია ინდივიდუ-  
ალური თვითნებობის თუნდაც მცირეოდენი გამოვლინების გარეშე.

საკითხის განმარტებისას საბჭოთა ფილოსოფოსებმა მიუთი-  
თეს, რომ თავისუფლების მართებული აგება დამოკიდებულია აუ-  
ცილებლობის სწორი გაგებისაგან, თუმცა, ცხადია, რომ თუ ბურ-  
ჟუა ვაიგებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის აუცილებ-  
ლობას, ეს მას არ შეიქმს თავისუფალს, რამდენადაც ის მაინც დარ-  
ჩება კაპიტალიზმის მომხრედ და სწორედ ამიტომ საზოგადოების  
სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობა მას წარმოუდგება რო-  
გორც მიუღებელი და მტრული რამ;—რომ თავისუფლება ესაა  
აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობა განხორციელებისათვის აუცი-  
ლებლობისა, რომელიც მრავალგვარ ფორმაში ვლინდება. ასე რომ,  
ადამიანები, ობიექტური შესაძლებლობის შესაბამისად ახორციე-  
ლებენ ისტორიული აუცილებლობის სწორედ იმ ფორმას, რაც  
ყველაზე მეტად შეესაბამება მათს საკუთარ ინტერესებს.

ამასთანავე შეუძლებელია თვითნებობა ავრიოთ არჩევანის შე-  
დარებით თავისუფლებაში, რასაც ადგილი აქვს ადამიანთა რო-  
გორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში, ცხადია, ობიექ-  
ტური აუცილებლობის ფარგლებში. მაგალითად, საბჭოთა ახალ-  
გაზრდის წინაშე გაშლილია ინდივიდუალური განვითარების მრავალ-  
გვარ შესაძლებლობა: ქარხნის მუშას შეუძლია შევიდეს უმაღ-  
ლეს სასწავლებელში, გახდეს მომღერალი, ინჟინერი და ა. შ., ის  
თვითონაა, ასე ვთქვათ, თავისი ბედის უფალი; თუმცა, ცხადია, არ-  
ჩევანის თავისუფლების საფუძველია საზოგადოების სოციალის-  
ტური სისტემა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარ შეხვედრებზედაც ბევრი  
რამ სასარგებლო გააქეთეს საბჭოთა სოციოლოგებმა, რომ პირადი  
კონტაქტები, ნაცნობობა და, მაშასადამე, აზრთა უშუალო გაცე-  
ლის მთელი საშუალებები მათ წარმატებით გამოიყენეს, რათა შე-  
საძლებლობა მიეცათ ბურჟუაზიული სოციოლოგიებისათვის უფრო  
ახლოს გაეცნობოდნენ საბჭოთა წყობილების, სოციალისტური სა-  
ზოგადოების უდიდეს მიღწევებს, როგორც სახალხომეურნეობრი-  
ვი, ისე საერთოდ კულტურული მშენებლობის სხვადასხვა სფე-  
როში.

საბჭოთა მეცნიერებმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპე-  
ციალისტებთან ერთად მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ფა-

როდესაც გააშუქეს თანამედროვე სოციოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. საბჭოთა დელეგატების გამოსვლები კონგრესის ყურადღების ცენტრში იყო. დიდად გაიზარდა ინტერესი საერთოდ საბჭოთა საზოგადოებათმეცნიერებისადმი<sup>94</sup>.

კონგრესმა გამოავლინა, რომ მრავალი დასავლეთელი სოციოლოგი კრიტიკულად უყურებს პოზიტივისტური სოციოლოგიის მეცნიერულობის საკითხს, რომ მათში, სულ უფრო იღვიძებს შეგნება ამ სოციოლოგიის უსუსურობისა და იზრდება ყურადღება საზოგადოებათმეცნიერების ზოგადი, თეორიული პრობლემებისადმი<sup>95</sup>.

\* \* \*

სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესის მრავალფეროვანი მუშაობის შეფასება და მის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება სოციოლოგიის მრავალი დარგის მცოდნეთა სპეციალურ შრომას მოითხოვს. აქ შეეჩერდით მხოლოდ რამდენსამე ძირითად მომენტზე, რათა მკითხველისათვის გაგვეზიარებინა ჩვენი შთაბეჭდილებანი და მიგვეწოდებინა ზოგიერთი მასალა, როგორც სოციოლოგთა IV კონგრესის, ისე საერთოდ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის მდგომარეობის შესახებ.

---

<sup>94</sup> ეს ინტერესი შემდგომში სულ უფრო იზრდება და ელინდებოდა, მაგალითად, მუშაობაში 1960 წ. იენის-იელისში სსრკ მყოფ ამერიკელ სწავლულ ეკონომისტთა დელეგაციისა, რომელშიც შედიოდნენ პროფესორები: ტედორ შულცი (აშშ ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი), ჯორჯ ტერბორგი (ჩიკაგო), ჰერბერტ სტაინი (ვაშინგტონი), ფლოიდ ბონდი (ნიუ-იორკი), გრეგორი გროსმანი (კალიფორნიის უნ-ტი), ლეონ ჰერმანი (აშშ კონგრესის წიგნთსაცავი). ამ მეცნიერებმა ექვსი დღე გაატარეს საქართველოში, სადაც ისინი გაეცნენ სახალხო მეურნეობრივი და კულტურული მშენებლობის, ყოფიერების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწრაფი განვითარების ფაქტებსა და მასალებს, კერძოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მუშაობასაც.

<sup>95</sup> ტ. ოიზერმანისა და ა. ოკულოვის სტატია ჟურნ. „Вопросы философии“, 1959, № 12; ე. არაბოლისა — ჟურნ. „Проблемы мира и социализма“, 1959, № 12; IV международный социологический конгресс, 1960, Изд. „Знание“. „Вопросы марксистской социологии“, 1962.

## საბჭოთაობა

წინამდებარე ბროშურა პირველად გამოქვეყნდა 1960 წ. — საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამომცემლობის მიერ — 6,5 ათასი ცალის რაოდენობით. მთელი ტირაჟი ერთ კვირაში ჩანთა წიგნის ბაზარმა.

ამ ნაკვეთზე გამოქვეყნდა ორი რეცენზია: გაზ. „თბილისის“ 1960 წ. 27 ოქტომბრის ნომერსა და ჟურნ. „საქართველოს კომუნისტის“ 1961 წ. № 12-ში.

მკითხველთაგან მიღებულ წერილებში გამოთქმული იყო საჭიროება და რეცენზენტებიც აღნიშნავენ, ჩვენს ნაშრომში აღძრული საკითხების უფრო ვრცლად გაშუქების სასურველობას.

„თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ“ მეორე, შევსებული, არსებითად ახლადდაწერილი წინამდებარე გამოცემა, საკმაოდ დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მიზნად ისახავს მკითხველთა სწორედ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუ რამდენად მივალწიე ამ მიზანს, ამას, ცხადია, თვით პირუთენელი მკითხველი განსჯის.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალი სოციოლოგიური ტერმინოლოგიის, განსაკუთრებით უახლეს ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში შემოღებული მრავალი, ხშირად ბუნდოვანი, ე. წ. ინდივიდუალური ტერმინისა და ცნების გაქართულება მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენდა. ამ მხრივ ჩვენი ზოგიერთი ცდა შეიძლება მხოლოდ პირველ საფეხურად მივიჩნიოთ, რაც შემდგომში ასეთ ტერმინთა მოთხოვნა-მომხარების გახშირების შესაბამისად, ცხადია, დაჩვეწება და, მაშასადამე, უფრო ექვივალენტური შესატყვისებით დაიფარება.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიის კურსი თბილისის უნივერსიტეტში შემოიღეს 1923 წ., როდესაც სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების პირველი კურსის სტუდენტებს იგი წაგვიკითხა პროფ. ალ. ვაჩიშვილმა. იმავე 1923 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს მიერ ლითონგრაფიულად გამოცემული ალ. ვაჩიშვილის „სოციოლოგიის შესავალი“ (ნაწ. 1)\* და მისივე ლექციების ჩემი ჩანაწერები, რაც ახლა თვალწინ მიდევს, მოწმობენ თუ რა დონეზე აეწყო იმთავითვე აქ სოციოლოგიის კურსის კითხვა, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა და ამჟამადც არაა აღდგენილი.

20.8.66

\* პროფ. ალ. ვაჩიშვილის, სამართლებრივ მეცნიერებათა დარგში მრავალ ნაშრომთა ავტორის, კალამს სოციოლოგიის საკითხებზე ეკუთვნის აგრეთვე „სოციოლოგიური მიმართულება ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერებაში“ (თსუ შრომები, ტ. 89, 1960, გვ. 17—33) და სხვ.

## შინაარსი

|                                                                               |     |
|-------------------------------------------------------------------------------|-----|
| 1. ზოგი რამ საერთოდ . . . . .                                                 | 5   |
| სოციოლოგია აშშ . . . . .                                                      | 7   |
| ინგლისური სოციოლოგია . . . . .                                                | 12  |
| სოციოლოგია გერმანიაში . . . . .                                               | 16  |
| სოციოლოგია საფრანგეთსა და იტალიაში . . . . .                                  | 25  |
| იაპონური სოციოლოგია. . . . .                                                  | 33  |
| 2. სოციოლოგიის საგნისათვის . . . . .                                          | 39  |
| 3. დარგობლივი სოციოლოგია . . . . .                                            | 54  |
| თავისუფალი დროის სოციოლოგია . . . . .                                         | 56  |
| ხელოვნების სოციოლოგია . . . . .                                               | 67  |
| 4. გამოკვლევათა მეთოდის შესახებ . . . . .                                     | 71  |
| 5. საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაცია . . . . .                                   | 77  |
| 6. სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში . . . . . | 79  |
| 7. კონგრესის პრობლემატიკა და ორგანიზატორთა სულისკვეთება . . . . .             | 83  |
| 8. თემატიკური ვარაუდები და პრაქტიკული მიზნები . . . . .                       | 86  |
| მრეწველობის სოციოლოგია . . . . .                                              | 88  |
| სოციალური გეგმიანობისათვის . . . . .                                          | 97  |
| 9. ოჯახური (პირადი) და საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) . . . . .            | 99  |
| 10. სოციალური კლასების უახლესი ბურჟუაზიული თეორიები . . . . .                 | 105 |
| სტრატეფიკაცია . . . . .                                                       | 105 |
| „სიუხვის საზოგადოება“ . . . . .                                               | 110 |
| 11. ინტიმური და მეცნიერული . . . . .                                          | 117 |
| ავტორისაგან . . . . .                                                         | 121 |



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბუღალსო დამგვნილებით



რედაქტორი ც. თაგაძე  
ტექნედაქტორი ე. ბოკერია  
კორექტორი ე. შაიხურაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.9.1966; ქალაღლის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>;  
ნაბეჭდი თაბახი 7,75; საღარიცხო-საგამომცემლო თაბახი 6.82;  
ზე 02407; ტირაჟი 5000; შეკვეთა 1049  
ფასი 49 კაბ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Типография Илдательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

Паата Виссарионович Гугушвили

О СОВРЕМЕННОЙ БУРЖУАЗНОЙ СОЦИОЛОГИИ

712/54



ფასი 49 კპ.